

ლიბიო აზიანების
მოგონებები

პროექტის ავტორი: ნინო ისაიაძე

მთავარი რედაქტორი: ანტონ ვაჭარაძე

IDFI-ის მხსენიარებისა და ღაინფორმაციის ყვლავეზის მიმართულების ხალმძვანელი

რედაქტორი: ესმა მანია, ააა ჯალანდიაძე

ღიზინერი და ღამაზადლოვებელი: ნინო ისაიაძე

ნიგნის გამოცაამი ხალმძვობისთვის მადლოზას ვუნდით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI), შვადეთის სართაშორისო განვითარების თანაშრომლოზის სანგებოლა (SIDA) და სართვალოს ვარლაამების ეროვულ ბიბლიოთეას.

ISBN 978-9941-9903-3-5



ეპოქა და ადამიანი

"შეკრულ ბარგს რომ დავინახავ ცუდად ვხედები..."

საბჭოთა ეპოქა გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი სოციალური და კულტურული ტრავმით, რაც გამოწვეული იყო ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეპრესიებით. საბჭოთა ეპოქა, იოსებ სტალინისა და მისი თანამოაზრეების ხელმძღვანელობით, იმ ფართომასშტაბიანი რეპრესიების შემოქმედი იყო, რომელმაც ღრმა გავლენა იქონია ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოების კულტურულ და სოციალურ ასპექტებზე. 1920-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1991 წლამდე, საბჭოთა რეჟიმმა ძალაუფლების შენარჩუნებისა და ტოტალიტარული კონტროლის დამყარების მიზნით, განსხვავებული აზრის ჩახშობისა და რეჟიმისთვის მოსალოდნელი საფრთხის აღმოსაფხვრელად, მილიონობით ადამიანის სიცოცხლის უფლება ხელყო.

მასობრივი რეპრესიების ყველაზე დიდმა ტალღამ ქვეყანას 1937-1938 წლებში გადაუარა. ეს იყო შეუბრალებლობის ხანა, როცა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს გასამართლებისა და ბრალის დადასტურების გარეშე ხვრეტდნენ ან შორეულ, უკაცრიელ ადგილებში ასახლებდნენ. მათი ოჯახის წევრებს - მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ღია ცის ქვეშ ტოვებდნენ, ართმევდნენ სახლებს და, რაც მთავარია, ულახავდნენ ღირსებას *"სამშობლოს მოღალატის"*, *"ხალხის მტრის"* ოჯახის წევრის იარლიყით. იოსებ სტალინისა და პოლიტიკურს მაღალჩინოსნების მიერ მოსკოვში შემუშავებული მეთოდებით სრულად განადგურდა არა მხოლოდ საბჭოთა სისტემის მოწინააღმდეგე პოლიტიკური და საზოგადოებრივი კლასი, არამედ ყველა, ვინც განსხვავებულად ფიქრობდა.

საქართველოში 30,000-მდე ადამიანი გახდა *"დიდი ტერორის"* მსხვერპლი¹, მათი ნახევარი დახვრიტეს, მეორე ნახევარი კი უზარმაზარი იმპერიის გადაკარგული ადგილების - ციმბირის, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთის გრძელ გზას გაუყენეს, საიდანაც მათი უმრავლესობა ვეღარ დაბრუნდა. ჯერაც დაუდგენელია ე.წ. *"გულაგებში"* გარდაცვლილთა ზუსტი რაოდენობა. სულ საბჭოთა კავშირში 45,000, ხოლო საქართველოში 3,616 ადამიანი პირადად სტალინის ხელმოწერილი დოკუმენტით გასამართლდა, რომელთაგან 3,000-ზე მეტი დაიხვრიტა.

რეპრესიებში *"არაკანონიერი"* არაფერი ყოფილა: 1927 წლის 25 თებერვალს მიღებული საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი ყველა სახის დამოუკიდებელ აზროვნებასა და ქმედებას დანაშაულად მიიჩნევდა და ამისთვის უმკაცრესად სჯიდა.

¹ იუნგე მ. თუშურაშვილი, ო. ბონეჩი, ბ. ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, ტომი 1, თბილისი, 2015.

მასობრივ იძულებით შრომას, ხალხთა დიდი ჯგუფების დეპორტაციასა და სიკვდილით დასჯის არამართლზომიერ გამოყენებას კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მასობრივი რეპრესიები კანონებით, დადგენილებებითა და ბრძანებებით იყო გამყარებული.

1930-იანი წლების **"დიდმა ტერორმა"** მილიონობით ადამიანის დევნა გამოიწვია, მათ შორის ინტელექტუალების, მწერლების, მხატვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეების, რომლებიც გამოხატავდნენ განსხვავებულ მოსაზრებებს ან აკრიტიკებდნენ მთავრობას. **"ხალხის მტრად"** წოდების მუდმივი შიში ქმნიდა უნდობლობისა და ეჭვის ატმოსფეროს, სადაც ცალკეულ პირებს უშინოდათ არა მხოლოდ განსხვავებული აზრის გამოთქმის, არამედ უახლოესი ადამიანებისაც. დევნის შიშმა მოიცვა საზოგადოება, რაც გადაიხარდა თვითცენზურასა და გაუცხოებაში.

საიდუმლო პოლიცია და ინფორმატორების ქსელი ქმნიდა პარანოიულ გარემოს, სადაც ახლო მეგობრებისა და ოჯახის წევრების ნდობაც კი არ შეიძლებოდა. რეჟიმის მიერ ტერორის სისტემატურმა გამოყენებამ მოსახლეობაში ღრმა შიშის გრძნობა გააჩინა, რამაც ბევრი აიძულა, თვითგადარჩენის ინსტინქტით ემოქმედა. დაპატიმრების ან სიკვდილით დასჯის საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანები განსხვავებულად რეაგირებდნენ. ზოგიერთი ცდილობდა მორგებოდა და დამორჩილებოდა რეჟიმს, აკრიტიკებდა საკუთარ თანამოაზრეებს და აღიარებდა სავარაუდო დანაშაულს, თუნდაც ის არ ჩაედინა. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო სასოწარკვეთითა და იმედით, რომ თანამშრომლობას შეიძლება შეემსუბუქებინა მათი სასჯელი ან უზრუნველყო მათი გადარჩენა. საბჭოთა რეჟიმის პროპაგანდამ და იდეოლოგიურმა ინდოქტრინაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც საზოგადოების, ისე დაპატიმრებულთა აღქმის ჩამოყალიბებაში. რეჟიმის ნარატივის დაჯერება კი იწვევდა უსაფრთხოების ცრუ განცდას და ინდივიდებს აიძულებდა, მიეღოთ თავსმოხვეული სიმართლე?

მუდმივმა მეთვალყურეობამ და შიშმა ღრმა გავლენა მოახდინა პირად ურთიერთობებსა და სოციალურ ერთიანობაზე. ფართოდ გავრცელებული რეპრესიების, შიშისა და დანაკარგის კუმულატიური ზემოქმედება საბჭოთა მოქალაქეების კოლექტიურ ტრავმაში გადაიხარდა. ბევრი ადამიანი და ოჯახი ებრძოდა მუდმივი მეთვალყურეობის გამო ცხოვრების ფსიქოლოგიურ და ემოციურ ტრავმას და თვითნებური დაპატიმრების ან დასჯის შიშს.

საბჭოთა კავშირში რეპრესიების ცენტრალური ინსტრუმენტი იძულებითი შრომის ბანაკის სისტემა იყო, რომელიც ცნობილია გულაგის სახელით. უამრავი ადამიანი იგზავნებოდა ე.წ. შრომა-გასწორების ბანაკებში. გულაგში პირობები უკიდურესად მძიმე იყო - იძულებითი შრომით,

2 Robert W. Thurston, "Fear and Belief in the USSR's 'Great Terror': Response to Arrest, 1935-1939," *Slavic Review* 45:2 (1986): 213-34.

არასრულფასოვანი კვებითა და ფსიქოლოგიური ტანჯვით. გადასახლებით გამოწვეულმა ოჯახების ნგრევამ და ახლობლების განცალკევებამ ხანგრძლივი კვალი დატოვა სოციალურ სტრუქტურებსა და ემოციურ კავშირებზე. საბჭოთა პერიოდში მიყენებული ტრავმა ხშირად გადადიოდა თაობებზეც. რეპრესიებს გადარჩენილები, ისევე როგორც მათი შთამომავლები, ატარებდნენ წარსულის ფსიქოლოგიურ და ემოციურ ნაჭდევს, რაც ცვლიდა ოჯახურ დინამიკასა და საზოგადოებაში ურთიერთქმედებებს.

ჯეფრი ალექსანდერის მიხედვით, **"კულტურული ტრავმა თავს იჩენს მაშინ, როდესაც რამე საშინელი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე, სამუდამოდ ასვამს დაღს მებსიერებას და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას"**.³ კულტურული ტრავმა ეხება ღრმა და დამლუბველი ცვლილების კოლექტიურ გამოცდილებას, რომელსაც აქვს ხანგრძლივი გავლენა საზოგადოებაზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე. ის არ შემოიფარგლება ტრავმის ინდივიდუალური გამოცდილებით, არამედ მოიცავს ფართომასშტაბიანი ისტორიული მოვლენების ეფექტებს კოლექტიურ დონეზე. კულტურული ტრავმა არღვევს დადგენილ მნიშვნელობებსა და სიმბოლოებს, რომლებსაც ადამიანები იყენებენ სამყაროს გასააზრებლად. ის ამსხვრევს არსებულ კულტურულ ჩარჩოებს და ქმნის დაბნეულობისა და დეზორიენტაციის განცდას დაზარალებულ საზოგადოებაში.

ტრავმული მოვლენები ხშირად იწვევს კოლექტიური იდენტობისა და საერთო ღირებულებების გადაფასებას. ტრავმის გამოცდილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ან ხელახლა განსაზღვროს, თუ როგორ აღიქვამს ჯგუფი ან საზოგადოება საკუთარ თავს და თავის ადგილს მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც კი, რეპრესიებისა და ტრავმების მემკვიდრეობა განაგრძობდა გავლენას პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების კულტურულ და სოციალურ ლანდშაფტზე. ამ ღრმად ფესვგადგმული ტრავმისგან განკურნება უწყვეტი პროცესია და ჯერ არ დასრულებულა.

3 Alexander J. C., Toward a Theory of Cultural Trauma, Ron, Cultural Trauma and Collective Identity, Berkeley, CA: University of California Press. (2004): 1

ლიზიკო აბზიანიძე

გადასახლებიდან დაბრუნებული ქართველი ქალის ისტორიის მიმოხილვა

ლიზიკო სარდიონის ასული აბზიანიძის მოგონებები დიდი ტერორის შესახებ მნიშვნელოვანი მემუარული ტიპის ნაშრომი გახდება. ავტორი აღწერს თავისი ცხოვრების ტრავმულ პერიოდს - 1937-1938 წლების რეპრესიებს, რომელიც მას და მის მეუღლეს, თბილისში გაზეთ **"წითელი არმიელის"** რედაქტორს, ანდრო მიხეილის ძე კობაძეს შეეხოთ.

ლიზიკო აბზიანიძე თბრობის განსაკუთრებული სტილით, სხვადასხვა მხატვრული ხერხით ოსტატურად აღწერს საბჭოთა რეპრესიის სისასტიკესა და იმ ლაიტმოტივს, რომელიც რეპრესიების თითოეული მსხვერპლის ცხოვრების თანმდევი იყო.

ლიზიკო აბზიანიძე მოკლე პასაჟებით აფასებს ქვეყნის ზოგად პოლიტიკურ სიტუაციას და დეტალურად განიხილავს ცხოვრების განვლილ გზას 1937 წლის რეპრესიამდე. აღწერს 18 წლის ასაკში დაოჯახების შემდეგ შექმნილ წინაღობებს ოჯახისა და მეუღლის შეხედულებებს შორის: **"მიუხედავად იმისა, რომ მამა სულ მინერგავდა, უსათუოდ გამეგრძელებინა სწავლა, რათა გყოფილიყავი დამოუკიდებელი პიროვნება, იმავე ზაფხულს გავთხოვდი, რამაც დიდი უსიამოვნება გამოიწვია ოჯახში. როგორც ვიცით, საქართველოს გასაბჭოება სულ რაღაც 3-4 წლის წინ იყო მომხდარი და ქართველები ამას ვერ ურიგდებოდნენ, რაც გამოიხატა 24 წლის აჯანყებაში. ჩემი ოჯახი ზედმიწევნით პატრიოტული იყო და სხვაგვარად როგორ უნდა შეხვედროდნენ?! 18 წლის ასაკში გავთხოვდი, გავეყვი სამხედროს და ისიც კომუნისტს. მე, რასაკვირველია, არც მისი წარსული ვიცოდი და არც ოჯახი. მხოლოდ მწამდა, რომ თავად ჩემი ქმარი იყო დადებითი პიროვნება, რაშიც არ შევმცდარვარ"**.

ლიზიკო განსაკუთრებული პატივისცემით აღწერს ანდროს ძმის, მიშა კობაძის როლს მისი თავდაჯერებულობისა და მიზნისკენ სწრაფვის განმტკიცებაში. სწორედ მიშას წაქეზებით, ის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. თანამშრომლობდა პროფესორებთან, კალგინსა⁴ და გრანეცთან. მოგვიანებით, მე-4 კურსზე შეასრულა ქუთაისის თეატრის ტექნიკური პროექტი, რომლის კონსულტანტი იყო ცნობილი რეჟისორი **სანდრო ახმეტელი**. 1936 წელს კი დაიცვა სადიპლომო ნაშრომი და მუშაობა დავიწყო **"ქალაქკომუნპროექტში"**, შემდგომ კულტურის სამინისტროში საპროექტო განყოფილების არქიტექტორად.

განსაკუთრებული ემოციით აღწერს ლიზიკო 1937 წლის დადგომასა და იმ აღქმებს, რომლებიც მისი მეგობრებისა და ნაცნობების თანდათან გაქრობას უკავშირდებოდა: **"ჩვენი ოჯახის კარგი მეგობრები ყოველდღე ქრებოდნენ... მაშინ მჯეროდა, რომ უდანაშაულოდ არავის იჭერდნენ."**

⁴ ანატოლი კალგინი (1875-1943) - ინჟინერი და არქიტექტორი. საქართველოში განხორციელებული მრავალი არქიტექტურული პროექტის ავტორი და მშენებლობების მონაწილე.

საშინელმა გრძნობამ მოიცვა ჩემი არსება, ეს მხიარული ქალაქი ჩამკვდარიყო, ირგვლივ ჩაბნელებული ფანჯრები, შემზარავი სიჩუმე სუფევდა". ამავდროულად, იხსენებს მეუღლის მიმართ ურყევი ნდობისა და იმედების განცდას, მას წარმოაჩენს თავისი საქმისადმი ერთგულ პიროვნებად, რომელმაც არ იცოდა მის გარშემო არსებული სისასტიკე.

ლიზიკო აბზიანიძე ასევე საუბრობს თავისი მეუღლის რეპრესიის საბაზზე და უკავშირებს ანდრო კობაძის კარგ ურთიერთობას თავის ყოფილ ხელმძღვანელთან, რომელიც დაუპირისპირდა ლავრენტი ბერიას და ის ფაშისტური პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა. როგორც აღნიშნავს, ანდრო კობაძემ უარი განაცხადა კოლია ბლუაშვილის⁵ წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, რის გამოც, მიუხედავად მამის რკინიგზაში ხანგრძლივი სამსახურისა და დედის პენსიონრობისა, პარტიიდან გარიცხეს როგორც **"აზნაურისა და ბურჟუას შვილი"**. 1937 წლის 5 სექტემბერს კი დააპატიმრეს.

ანდრო მიხეილის ძე კობაძეს ბრალად ედებოდა საქართველოს სსრ-ისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში არსებული კ/რ ტროცკისტული, ტერორისტული, ჯაშუშური სამხედრო ორგანიზაციის წევრობა, ორგანიზაციის დავალებით კ/რ მავნებლური საქმიანობა გაზეთში **"წითელი ჯარისკაცი"**. ამის გამო მას ე.წ. განსაკუთრებული სამეულის 1937 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა. განაჩენი აღასრულეს 1937 წლის 10 ნოემბერს.

როგორც ავტორი იხსენებს, სახლის ჩხრეკის პროცესში, როცა ცდილობდნენ აკრძალული ლიტერატურის პოვნას, მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის **"საქართველოს ისტორიას"** მიაგნეს, რომელიც მათთვის საკმარისი მტკიცებულება იყო: **"გაგაფრთხილე, აკრძალულ წიგნებს ტყუილა ეძებთ-მეთქი. ერთი წიგნს ატრიალებდა ხელში გამარჯვებული იერით, აი, ხომ გამოგჩხრიკეთო... ვუთხარი, კარგად წაიკითხეთ-მეთქი, უფროსმა ისე შეხედა, ლამის თავისი ქვეშევრდომები იქვე გაშეშდნენ, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩააგდეს იგი"**.

სწორედ მეუღლის დაპატიმრების შემდეგ იწყება ლიზიკო აბზიანიძის ცხოვრების რთული და მეტად გრძელი გზა, რომელიც 1937 წლის 17 ნოემბერს მისი დაპატიმრებითა და შემდგომში შორეულ შრომა-გასწორების ბანაკში რვაწლიანი გადასახლებით გაგრძელდა: **"ბინა დალუქეს, მერე მეც დამიჭირეს როგორც "член семьи врага народа", ჩემი შვილი კი ბინიდან გამოასახლეს და დედასთან ერთად სადღაც, სარდაფში შეასახლეს, სხვა ოჯახთან ერთად. აღარავინ ხმას არ მცემდა, ქუჩაში რომ დამინახავდნენ, პირს მარიდებდნენ, ჩემი ფეხის ხმაზე ფარდებს**

5 ნიკოლოზ ბლუაშვილი (1901-1938) - დაპატიმრებამდე იყო ხარკოვის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი. ბრალად დასდეს, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ღივრსიული და მეამბოხე ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციას. დახვრიტეს 1938 წლის 9 ოქტომბერს.

ჩამოაფარებდნენ ხოლმე. ოი, ღმერთო, ამაზე უფრო საშინელება არაფერია. ასე მეგონა, სიკვდილს ვუყურებდი თვალებში, მაგრამ არ ვგეუბობდი, თავს არ ვაძლევდი იმის უფლებას, ცრემლი მომრეოდა".

მნივზნელოვან და ამბლეულვებულ ფრაგმენტს ქმნის ლიზიკო აბზიანიძის შვილთან და დედასთან ურთიერთობა, მათთან გამომშვიდობების სიმბოლური ფორმა, რომელიც, როგორც ძლიერი ქალის, დედისა და შვილის მაგალითი, მრავლისმეტყველ ნაბიჯად წარმოგვიდგება დღიურში: "ჩემი შვილი, ლამარა, მაშინ 10 წლისა იყო... ადრე ვთხოვე ლამარას, ისტერიკები არ მოეწყოთ, როდესაც წამიყვანდნენ. ვთხოვდი, თქვენს ცრემლებს იმათ ნუ დაანახებთ-მეთქი, და, აი, მოვიდნენ კიდეც... სარდიონოვნა, ჩვენ რასაც გვიბრძანებენ, იმას ვაკეთებთ და რა გჭნათ, თქვენ უნდა წამობრძანდეთო. ალბათ ეგონათ, წივილ-კივილს ავტებდი... ბავშვს და დედას ტირილი რომ არ დაეწყოთ, ვუთხარი, აბა, ჩემოდანი გამოიტანეთ-მეთქი... როდესაც ჩამიყვანეს ქვემოთ, მანქანაში, ლამარა გამოვიდა აიგანზე და დაიწყო ყვირილი, დედიკო, ბებიას უთხარი, ნუ ტირისო. ასე გამოვემშვიდობე ჩემს დანგრეულ ოჯახს..."

ავტორი დეტალურად აღწერს დაპატიმრების შემდგომ პერიოდს, ორთაჭალის ციხეში არსებულ გაუსაძლის პირობებსა და ქალების მიმართ სასტიკი მოპყრობის შედეგებს, რომელმაც ფსიქოლოგიურად და მორალურად გატეხა მათი უმრავლესობა: "მომიჩინეს ადგილი საწოლის ქვეშ, რადგან საწოლები ერთმანეთზე მიდგმული, დაკავებული და ჩალაგებული იყო, როგორც "სილიოტკები". ახალი მისულები ვთავსდებოდით საწოლების ქვეშ, მხოლოდ თავები გვჭონდა გარეთ... თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი, ანდროს მეგობრის ცოლები, დები იყვნენ. ვერ წარმოიდგენთ, იქ რა საშინელებები ხდებოდა. სცემდნენ, ალილაგებდნენ იმ ქალებს. ჩემთან ერთად იყვნენ ლია ელიავას⁶, ლანა ლოლობერიძის⁷, ნათელა ურუშაძის⁸ დედები. ლანას დედა მთელი სამი წელი ჩემს გვერდით იწვა "ნარზე", ციხეში".

საბჭოთა რეჟიმის განსაკუთრებული სისასტიკის დემონსტრირება იკვეთება ლიზიკო აბზიანიძის მეგობრის მონათხრობიდან, რომელიც აღწერს მისი და მისი ძმის მიმართ გამოყენებულ წამების მეთოდებს: "ლიზიკო, შენ წარმოიდგინე, ამოდენა კაცებში ჯერ მცემეს სველი თოკით, მერე რაღაც რკინის ბურთულებიანი ზამბარებით, ვნატრობდი, გონება დამეკარგაო. პირველად აუტანელ ტკივილებს ვგრძნობდიო, მერე მხოლოდ დარტყმის ხმა მესმოდა, სულ იმას მეუბნებოდა, თქვი, რომელ ორგანიზაციაში მუშაობდით შენ და შენი ძმაო... საცოდავს თითები ჰჭონდა დაგრეხილი, თურმე ჩაუწყობდნენ ფანქრებს თითებს შუა და მოუჭერდნენ ხელს, ეს ყოფილა

6 ლია ელიავა (1934-1998) – ქართველი მსახიობი.

7 ლანა ლოლობერიძე (დაბ. 1928) – ქართველი კინორეჟისორი და დიპლომატი.

8 ნათელა ურუშაძე (1923- 2013) – ქართველი თეატრმცოდნე.

ყველაზე მტკივნეული, საშინელი წამება, ან კიდევ ფეხის ფრჩხილებზე ფეხის ქუსლების დაჭერა, ნაწამები გაჭყავდათ და მეოთხე დღეს თავიდან იწყებოდა დაკითხვა. მორალურად ყველაზე მეტად მოქმედებდა, როდესაც თითო ღერ თმას წიწწნიდნენ გატიტვლებულს".

ლიზიკო აბზიანიძე ასახელებს იმ პარტიულ მუშაკებსა და მათ ნათესავებს, რომლებიც მასთან ერთად აღმოჩნდნენ ციხეში და სისტემამ არ დაინდო. აღნიშნავს, თუ როგორ სასტიკად ეპყრობოდნენ მათაც და რისი გადატანა უწევდათ: *"ერთი რაიკომის მდივანი იყო, ვალია კველიშვილი⁹, ფეხმძიმედ იყო თურმე. ცემისგან 3 თვის მუცელი მოეშალა. აბორტი არ გაუკეთეს და ნაყოფი მუცელში დაულპა, საცოდავი იქვე გარდაიცვალა... ჩვენთან იყო ბუდუ მდივანის¹⁰ ქალიშვილიც და ყოფილი განათლების მინისტრის, გეგენავას¹¹ ცოლიც. გეგენავას ცოლს 3 თვის ბავშვი წაართვეს და უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარეს. საცოდავს, რძით სავსე ძუძუებს სათითაოდ ვწოვდით ქალები. მერე დაუსივდა და დაუსკდა მკერდი".*

ლიზიკო აბზიანიძე იხსენებს 1938 წლის 1 მარტს, როდესაც დილის 4 საათზე გამოიძახეს, ბარგით ჩასხეს მანქანებში 300 ქალი და წაიყვანეს ნავთლულში: *"ეს იყო პირველი ეტაპი. ჩავსვავს საქონლის გადასაყვან ვაგონებში, სადაც იყო გაკეთებული ნარები. როცა ციხიდან გამოგვიყვანეს, გარეთ იდგა რიგი გადაცემაზე. ხალხი ღამით იკავებდა რიგს. გაიგეს, თუ არა ქალები მიჰყავთო, გამოედევნენ მანქანებს. ჩვენ თითო მანქანაზე მოგვიყენეს 4 "კანგოი". შეიქნა საშინელი კივილი, ყვირილი... თოვს და ამ თოვლში გაისმის ყვირილი შვილო! დედა! ძახილი აქედან, იქედან... ერთი სიტყვით, ეს რაღაც საშინელება იყო".* აღნიშნული ნაწილი ნათლად აღწერს იმ სასოწარკვეთასა და შიშს, რომელიც სდევდა რეპრესიებს. ნორმალური ცხოვრებიდან შრომა-გასწორების ბანაკების მჩაგვრელ გარემოში აღმოჩენამ ბევრს გაუჩინა დეჰუმანურობისა და იდენტობის დაკარგვის გრძნობა. მათი ბედის ირგვლივ შექმნილმა გაურკვევლობამ შიშის ატმოსფერო წარმოქმნა. დასჯის, შიმშილისა და ავადმყოფობის შიშით გაჟღერებული იყო ყოველდღიური ცხოვრება, რამაც გამოიწვია ფსიქოლოგიური დისტრესი და შფოთვა, დაუცველობისა და უიმედობის განცდა.

ლიზიკო აბზიანიძე ფრთხილი, მაგრამ მნიშვნელოვანი კონკრეტული საუბრობს შრომა-გასწორების ბანაკში არსებულ სიტუაციაზე. ხაზს უსვამს გაუსაძლის პირობებს, თუმცა სხვადასხვა პირთან და რეაგირების სტანდარტებთან მიმართებით თავშეკავებული და ლოიალური აღწერით გამოირჩევა:

9 ბარბარე (ვალია) კველიშვილი (1905-1937) – დასაბამიდანვე იყო კასპის რაიკომის მდივანი. 1937 წელს მიესჯა დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით. მინიშება სხდომის ოქმზე: "მე-5 თვის ორსული. მშობარობის შემდეგ შესრულდეს სასჯელი..." (გარდაიცვალა ციხის საავადმყოფოში მიღებული ფიზიკური ტრამების და სეფსისის შედეგად).

10 პოლიკარაბე (ბუდუ) მდივანი (1877-1937) – ქართველი ბოლშევიკი. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1937 წელს მთელი ოჯახით რეპრესიებს ემსხვერპლა.

11 შალვა გეგენავა (1893-1937) - საქართველოს სსრ-ის განათლების სახალხო კომისიის მოადგილე. დახვრიტეს 1937 წლის 3 ოქტომბერს.

"უნდა ითქვას, რომ ჩვენი ლაგერის უფროსი იყო ხანშიშესული და ძალიან უბედური ადამიანი. ისე ვეცოდებოდით ყველა, რომ ასე უსამართლოდ ვიყავით რეპრესირებული, ცდილობდა, იქ მაინც არავის დავეჩაგრეთ. როცა მოვიდა ბრძანება ჩვენი გაგზავნისა, საშინლად შეწუხდა ჩვენი უფროსი, თქვე საცოდავებო, თქვენ არ იცით, წინ რა გელითო. აქ ყველა ერთად ხართ და ერთმანეთს უვლითო, ვეცდები, როგორმე ჩავშალო თქვენი გაგზავნაო... თუმცა ჩვენი გამგზავრება არ ჩაიშალა".

ლიბიკო აბზიანიძის მონათხრობის მიხედვით, მას ყოფნა მოუწია არაერთ ციხეში: ჩელიაბინსკის, სიზრანის, პეტროპავლოვსკის ძველ ციხეებში. ის დეტალურად აღწერს ციხეში არსებულ სიტუაციასა და გაუსაძლის პირობებს. შემდეგ კი თხრობას განაგრძობს ყაზახეთში გადასახლების აღწერით, სადაც გადაიყვანეს როგორც არქიტექტორი, სხვა არქიტექტორ და ეკონომისტ ქალებთან ერთად ახალი ქალაქის - ჯუზკაზგანის დასაპროექტებლად. მათთან ერთად აღნიშნული სამუშაოს შესრულებაში ჩართული იყვნენ: **"გამოჩენილი ბაქტერიოლოგის ელიავას"¹² შვილი, სპეციალობით გეოლოგი, მარია ხოზუა - ექთანი, უნივერსიტეტის პარტკომის ცოლი - ლილი ჩიქოვანი - სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ქმრის გამო დაპატიმრებული, სავა კასიმენკო-ზარხინა, რაიკომის მდივნის ცოლი, სპეციალობით ელექტროინჟინერი".**

სწორედ ჯუზკაზგანში ყოფნის დროს გაიგო ლიბიკომ თავისი შვილის ამბავი, რომელზე დარდიც დიდი ხნის განმავლობაში მოსვენებას უკარგავდა: **"შრომაში ვიკლავდით თავს. თუ გეგმას 110%-ით შეასრულებდი, მხოლოდ მაშინ გაძლევდნენ სახლში მიწერ-მოწერის უფლებას. მაშინ გავიგე, რომ ჩემი შვილი ცოცხალი იყო".**

ლიბიკო აბზიანიძე გადასახლების პერიოდში რამდენიმე რთულ დაავადებას გაუმკლავდა. ერთ-ერთი დაავადებით, **"ავიტამინოზით"**, გამოწვეული გართულების მკურნალობის დროს ლაზარეთში განვითარებულ მოვლენებს აღწერს, სადაც საუბრობს სერგო გოგლიძის¹³ ძმისწულის მიერ გამოჩენილ ყურადღებაზე, რომელსაც იურიდიული ჰქონდა დამთავრებული და პრაქტიკაზე იყო ლენინგრადიდან ჩასული. მისი დახმარებით ის საწყობის გამგე დიასახლისად მოეწყო. გამოჩანმრთელების შემდეგ კი ისევ არქიტექტორად გააგრძელა მუშაობა, სადაც დაპროექტების გარდა, ქალაქის მშენებლობაზე ტექნიკური ზედამხედველობაც ევალებოდა.

გადასახლების ვადის გასვლის შემდეგ ლიბიკო აბზიანიძეს ქალაქში ცხოვრების უფლება

¹² გიორგი ელიავა (1892-1937) – ქართველი მეცნიერი, მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგი, ბაქტერიოფაგის საკვშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამარსებელი და პირველი დირექტორი. 1937 წელს მას ბრალი დასდეს საფრანგეთის მთავრობის ჯაშუშობასა და მოსახლეობაში ეპიდემიის გავრცელების მცდელობაში. 1937 წლის 9 ივლისს გიორგი ელიავას უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დახვრეტა მოუსაჯა. ის და მისი მეუღლე დახვრიტეს 10 ივლისს, ზოლო მათი ერთადერთი ქალიშვილი შუა აზიაში გადაასახლეს.

¹³ სერგო გოგლიძე (1901-1953) – საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, „განსაკუთრებული სამეულის“ წევრი.

მისცეს. მიუხედავად ბანაკის ხელმძღვანელობის მხრიდან გულუხვი შემოთავაზებისა, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა: **"დღეს გააზრებაც კი მიჭირს, როგორ გადავიტანე ამდენი უბედურება, მაგრამ, ეტყობა, ერთმანეთის ჭირმა გაგვამაგრა და გაგვადლებინა. ვითხარით, ბუდუ მდივანის ქალიშვილი ჩემთან ერთად იყო-მეთქი. საცოდავი, გაათავისუფლეს, მაგრამ წამოსვლამდე ვიღაცამ ესროლა და დღესაც არავინ იცის, ვინ მოკლა".**

განსაკუთრებულ ემოციურ ფონსა და რეპრესიის ფაქტობრივ, მტკივნეულ შედეგს გვიხატავს ლიზიკო აბზიანიძისა და მისი ქალიშვილის, ლამარას შეხვედრა ცხრა წლის შემდეგ: **"დაგაკაჯუნე კარზე, კარი გამიღო გოგონამ, რომ გაიარა, მივხვდი, ის ლამარა იყო. მე ხომ ის 9 წელი არ მენახა... რომ მობრუნდა, ვუთხარი, შენ ლამარა არ ხარ-მეთქი, კი, ბატონოო, მე ვუთხარი, გოგო, მე ვერ გიცანი, შენ დედა რატომ ვერ იცანი-მეთქი. "მე შენ სხვანაირი მახსოვხარო, მითხრა, "უფრო მაღალი და სხვანაირი", ამ დროს იმ მუშამ, რომელმაც ჩემოდანი მომატანინა, ალბათ ვერ გაუძლო ჩვენს შეხვედრას და მიატოვა ჩემოდანი, არც ფული უთხოვია, ისე წავიდა".** აღნიშნული ეპიზოდი მკაფიოდ აღწერს იმ რთული სოციალურ-კულტურული ტრავმის ნიუანსურ გამოვლინებას, რომელიც გასული საუკუნის მოვლენებმა ჩამოაყალიბა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, როგორც ლიზიკო აბზიანიძე აღწერს, ცდილობდა მეუღლის ბედის გარკვევას, რადგან ოფიციალურად მისი დახვრეტის შესახებ ცნობა არ ჰქონდა მიღებული: **"მხოლოდ ქალაქი მოვიდა თურმე, რომ ციხეში ფილტვების ანთებით გარდაიცვალაო. მერე ინაურთან"¹⁴ შევედი და მან მითხრა, რომ ანდრო, "ტროიკის" გადაწყვეტილებით, მაშინვე დაუხვრეტიათ. ყველაზე დიდი უბედურება კი ჩემთვის რეაბილიტაციის ქალაქის მოსვლა იყო. ქმარი დამიხვრიტეს, მე ციხე-ციხე მატარეს, შვილი სადღაც სარდაფში გაიზარდა და ბოლოს თურმე "თქვენ დამნაშავე არ ყოფილხართ და ყველაფრისთვის ბოდიშს გიხდითო". ამაზე უფრო საშინელი ბოდიში ჩემთვის არ არსებობს. იმ პერიოდში ისე ვიყავი, ჩემი შვილიშვილი, ჩემი ზაზა რომ არ დაბადებულიყო, თავსაც მოვიკლავდი ალბათ..."**

1937-1938 წლებში ე.წ. შრომა-გასწორების ბანაკებში გადასახლება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა იყო, რამაც თავისუფლების, ღირსებისა და საყვარელი ადამიანების დაკარგვასთან, შიშთან, მწუხარებასთან და მორალურ დილემებთან ერთად, გადარჩენილთა ფსიქიკურ კეთილდღეობაზე ხანგრძლივი კვალი დატოვა. მსგავსი აღუწერელი სისასტიკის წინაშე გამძლეობისა და წინააღმდეგობის ისტორიები ემსახურება ადამიანის განსაკუთრებული უნარის წარმოჩენას, გაუძლოს და გადარჩეს ყველაზე ბნელ დროსაც კი. ისტორიის ამ პერიოდის გახსენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლთა პატივისცემისა და წარსულის შესწავლისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი რეჟიმების აღმოცენება მომავალში.

¹⁴ ალექსი ინაური (1908-1993) - ქართველი საბჭოთა გენერალ-პოლკოვნიკი. საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (КГБ) თავმჯდომარე 1954-1988 წლებში.



დავიბადე ქ. ქუთაისში 1907 წ. ვიზრდებოდი მამის ოჯახში. მამა სარდიონ დიონისეს-ძე აბზიანიძე იყო უაღრესად პატიოსანი და ბუნებით კულტურული ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ განათლება მხოლოდ ორი კლასით იფარგლებოდა. იყო ნაკითხი, განათლებული, ბუნებით თანამედროვე ადამიანი. დედა ეკა კუხიანიძის ქალი იყო, ქმარ-შვილის მოყვარული დიასახლისი. ჩემს მშობლებს ცხრა შვილიდან ოთხი შევრჩით: ორი და და ორი ძმა: ვერა, ტარასი, ლადო და მე. მამის ოცნება იყო, რომ მის შვილებს მიეღოთ უმაღლესი განათლება და მიაღწიეს კიდეც. ვერა უფროსი იყო და ჰქონდა თავისი ოჯახი დაბა სურამში. უფროსი ძმა ტარასი იყო პედაგოგი, სწავლობდა პეტერბურგში. დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკური და ასწავლიდა ფიზიკას კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც სწავლობდა მეორე ძმა ლადო, შემდეგში ცნობილი ფინანსისტი.

მე ვსწავლობდი ყოფილ წმინდა ნინოს სასწავლებელში, რომელიც 1921 წელს გადააკეთეს შრომის სკოლად. შემდეგ გადაგვიყვანეს ძველ სათავადაზნაურო სასწავლებელში, რომელიც გადააკეთეს II საშუალო სკოლად და დავამთავრე 1925 წ. მიუხედავად იმისა, რომ მამა სულ მინერგავდა უსათუოდ სწავლა გამეგრძელებინა, რათა ვყოფილიყავი დამოუკიდებელი პიროვნება, იმავე ზაფხულს გავთხოვდი, რამაც დიდი უსიამოვნება გამოიწვია ოჯახში. როგორც ვიცით, საქართველოს გასაბჭოება სულ რაღაც 3-4 წლის წინ იყო მომხდარი და ქართველები ამას ვერ ურიგდებოდნენ, რაც გამოიხატა 24 წლის აჯანყებაში. ჩემი ოჯახი ზედმიწევნით პატრიოტული იყო და სხვაგვარად როგორ უნდა შეხვედროდნენ?!

მე 18 წლის ასაკში გავთხოვდი და გავყევი სამხედროს და ისიც კომუნისტს, მე, რასაკვირველია, არც მისი წარსული ვიცოდი და არც ოჯახი. მხოლოდ მწამდა, რომ თვითონ ჩემი ქმარი იყო დადებითი პიროვნება, რაშიც მე არ შევმცდარვარ.

ჩემი მეუღლე ანდრო მიხეილის-ძე კობაძე მუშაობდა ქართული დივიზიის შტაბში, პოლიტგანყოფილებაში, რომელიც განლაგებული იყო ქალაქ ქუთაისში. მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა და ასაკთან შედარებით დარბაისლობისა და განვითარებისა (ის თითქმის ყველაზე ახალგაზრდა იყო, დაბადებული 1904 წელს), მისი უფროსი იყო მასზე 10 წლით დიდი კ. ბლუაშვილი, რომელიც დიდ პატივს სცემდა თავის ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელს.

როდესაც ჩემს ოჯახში დაუახლოვდნენ და კარგად გაიცნეს, დიდი პატივისცემით აღივსნენ ანდროს მიმართ, განსაკუთრებით ჩემი უფროსი ძმა ტარასი. ჩემი ყოფილი პედაგოგი ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მე ასეთი რამ ჩავიდინე და რამდენიმე ხანს ხმას არ მცემდა. მიუხედავად ამისა, ისე დაუმეგობრდა, რომ ერთი დღე არ გავიდოდა, რომ არ მოენახულებინა. უმცროსი ძმა ლადო კი მას სტუდენტობის დროს იცნობდა და ძალიან ახლო დამოკიდებულებით გახდა მასთან. ასე გავიდა სამი წელი. ქუთაისში ვცხოვრობდი მის ოჯახში, დედასთან ერთად.

ლონიკო აზნაურიძის ოჯახი



მამიკონი და მამიკონი მკვლავი: ბიკონი ძველი, ქაქა აზნაურიძე, სპა ჯობაძე.

მამი ხანი: ვიქს აზნაურიძე, ხელო ვანი ძველი, სკოლი აზნაურიძე და ეკა კახიანი (ლონიკოს მამიკონი), ხელო ლონიკო აზნაურიძე, ალიქსანდრა აზნაურიძე. ქვემოთ სქესი: ნაია ძველი, გოხა ჯობაძე, ლადო აზნაურიძე.

ეს ოჯახი, წესრიგისა და სისპეტაკის განსახიერება, ძველ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული. მამა არ ჰყავდათ და დედა განაგებდა ოჯახს.

დედა ელენე წარმოშობით იყო კოდირიდან შელიას ქალი, მეგრულ-აფხაზურ ტრადიციებზე აღზრდილი, ჰყავდა 8 შვილი - 6 ვაჟი და 2 ქალი. ის ძალიან ახალგაზრდა, 28 წლის დაქვრივებულია

და დარჩა აღსაზრდელად 8 შვილი, მაგრამ თავისი გონიერებით და ხელშეწყობით ყველა შვილს მისცა განათლება.

ჩემი მეუღლის უფროსი ძმა მიხეილ კობაძე იყო შემდეგში ცნობილი ენერგეტიკოსი, პეტრე - ეკონომისტი, გიორგი - ლიტერატორი, კოკი - გეოლოგი, ქალები - ქსენია და ნადია - დიასახლისები. ქუთაისში შემეძინა ქალიშვილი ლამარა. შემდეგ 1929 წელს ანდრო გადაიყვანეს ქ. თბილისში II ქართული დივიზიის გაზეთის, „წითელი არმიელის“, რედაქტორად. როდესაც ცხოვრების გამოცდილება მივიღე, სულ მამის რჩევა-დარიგება მიდგებოდა თვალწინ და გადავწყვიტე,

ანდრო კობაძის ოჯახი



მსიხინიძან: მიხეილი, ქსენია, აქქი, მიხეილი, ვიოხვი, ნადია, ქონე ზღოთა (ხელში კონსტანტინე), ანდრო (როიზიკოს მყელი) და ალიქსანდრე (სამა) კობაძეები.

სწავლა გამეგრძელებინა. ვისარგებლე იმით, რომ თბილისში ვცხოვრობდი და გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანე. მიყვარდა ხატვა და მოწაფეობისას ქუთაისის სამხატვრო სტუდიაში ვსწავლობდი.

ჩემი პედაგოგი იყო ჭეიშვილი, რომელიც ყოველთვის მირჩევდა, სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ, როგორც იცით, მე სხვა გზით წავედი და ახლა აღმეძრა სურვილი სწავლის გაგრძელებისა. ამას ხელი შეუწყო ჩემმა მამულმა მიშამ, რომლის მადლიერი ვიყავი ყოველთვის. ის მუშაობდა თავის პროექტზე, სპეციალისტებისათვის ცნობილ მტკვრისა და რიონის შეერთებით უდიდესი ჰესის აშენებაზე.

როცა მასთან მივდიოდი, ხაზვასა და შეფერადებაში ვეხმარებოდი. მაშინ მან მითხრა, ლიზიკო, ცოდვია შენ რომ სახლში იჯდე, უნდა ისწავლო, შენგან კარგი არქიტექტორი გამოვაო. მაშინ გადაწყვიტე, შევსულიყავი არქიტექტურულ ფაკულტეტზე. მოვემზადე დამოუკიდებლად, რასაც ყველა ძალიან სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ მოხდა ის, რომ გავხდი სააღმშენებლო ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი. ისე დავეწაფე სწავლას, როგორც მშვიერი ადამიანი საჭმელს. ვითვლებოდი ძლიერ სტუდენტად. ჩემთან სწავლობდნენ აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, პროფესორი რუსუდან მეფისაშვილი¹, თეონა ნიკოლაძე, მანანა კანდელაკი, რუსუდან გვერდწითელი² და შემდეგში ძლიერი არქიტექტორები, ჩემი ცხოვრება კი სხვაგვარად წარიმართა.

სტუდენტობის დროს ვმუშაობდი ჩემს მასწავლებელთან, პროფ. კალგინთან³, პროფ. ჰენრიკ ჰრინვესკისთან⁴ (ფერწერა), ვეხმარებოდი, რაც შემეძლო. შ. თავაძეს ვეხმარებოდი ქუთაისის თეატრის პროექტში. შემდეგში, მე-4 კურსზე შევასრულე ქუთაისის თეატრის ტექნიკური პროექტი, რომლის კონსულტანტი იყო ცნობილი რეჟისორი სანდრო ახმეტელი.

ამ პერიოდში ანდრო მიაგლინეს სასწავლებლად მოსკოვში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. გამოვიარე ძალიან ძნელი ეკონომიკური წლები, რადგან იმ ხანებში, როგორც ცნობილია, ძალიან ჭირდა ცხოვრება. ეს იყო 1931-1935 წ. 1935 წ. ანდრომ დაამთავრა სწავლა და დანიშნეს თბილისში ამიერკავკასიის სამხედრო გაზეთის „კრასნოვინის“ რედაქტორის მოადგილედ. რედაქტორი იყო

1 რუსუდან მეფისაშვილი (1913-2002) - არქიტექტორი, მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ერთ-ერთი დამფუძნებელი.

2 რუსუდან გვერდწითელი - (1909-1994) არქიტექტორ-რესტავრატორი, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების რესტავრაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პირველი რესტავრატორი ქალი საქართველოში.

3 ანატოლი კალგინი (1875-1943) - ინჟინერი, არქიტექტორი. 1917 წელს მონაწილეობდა ექვთიმე თაყაიშვილის თაონობით გამართულ ეპსუპდიციაში ტაო-კლარჯეთში. 1927 წელს ლეონტიევიან და მაჭავარიანთან ერთად ზემო ავჭალის ჰესი.

4 ჰენრიკ ჰრინვესკი - პოლონური წარმოშობის ქართველი მხატვარი, არქიტექტორი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს არქიტექტურის მკვლევარი. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხუროთმოძღვრული ორნამენტის ერთ-ერთი პირველი სპეციალისტი, ილია ჭავჭავაძის თხზულებების პირველი ილუსტრატორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი.

არაბელსკი, ტუბერკულოზით დაავადებული, რომელიც მალე გარდაიცვალა და ანდრო დანიშნეს პასუხისმგებელ რედაქტორად. მეც იმ ხანებში, 1936 წელს, დავიცავი დიპლომი და დავიწეე მუშაობა „ქალაქკომუნპროექტში“, სადაც მმართველი იყო თომა ფოცხიშვილი.



თბილისი. 16.01.33 წ.
გვოსხობის აღსანიშნავი ქაღალდი, კონიკო, შაქოვო, ლოცო.



კონიკო ფოქო სკოლაში, კოსტელოვთან ერთად.

და დაიწყო საბედისწერო 37 წელი. ყოველდღე ჩვენი ოჯახის კარგი მეგობრები ჭრებოდნენ. ანდრო დღე და ღამე რედაქციაში იყო და სულ ვთხოვდი, ფრთხილად ყოფილიყო, არაფერი გაპარვოდა გაზეთში, რომ დანაშაულად არ ჩაეთვალათ. მაშინ მჯეროდა, რომ უდანაშაულოდ არავის იჭერდნენ. საშინელმა გრძნობამ მოიცვა ჩემი არსება, ეს მხიარული ქალაქი ჩამკვდარიყო, ირგვლივ ჩაბნელებული ფანჯრები, შემზარავი სიჩუმე სუფევდა. ერთხელ ანდრომ მთხოვა, ოპერაში წავყოლოდი და როდესაც ორკესტრმა დაუკრა, ისე ამეშალა ნერვები, ვუთხარი, ახლავე თუ არ წავედი აქედან, იცოდე, ისტორიკა მომივა-მეთქი. მან მითხრა, შენ ნერვები არ გაქვს წესრიგში და ექიმთან მიდიო.

ვმუშაობდი ალექსანდრე მინას-ძე ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით. ეს იყო უაღრესად კულტურული და კეთილშობილი ადამიანი. ამ დროს გაიხსნა ახალი განყოფილება კულტურის სამინისტროში და გადავედი იქ საპროექტოში არქიტექტორად.

ანდრო დღე და ღამე რედაქციაში იყო ან ვინ გაუბედავდა და ეტყოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. მე ხომ ყველაფერს ვუყურებდი სამსახურში. ჩემთან არავინ არაფერს მალავდა. იცოდნენ, რომ მე ენა გრძელი არ მქონდა და ყვებოდნენ, რომ აღარ შეეძლოთ იმ შენობაში ცხოვრება, სადაც შინსახკომი იყო განთავსებული - ისეთი ყვირილი და წივილი გამოდისო.

ანდრომ ხომ არაფერი იცოდა ამის თაობაზე. აბა, ვინ გაბედავდა და იტყოდა რამეს... თუნდაც მე. მას სწამდა, რომ უდანაშაულო ადამიანის დასჯა შეუძლებელი იყო. როცა ვეკითხებოდი, ანდრო, რას ფიქრობ, შენი ამხანაგებიდან რომ არავინ დარჩა, ყველა დამნაშავეა-მეთქი? მიპასუხებდა, ჩვენებს ბერია არ უყვართ, ცუკას მდივანი ჰუმანური ადამიანი უნდა იყოსო და ალბათ რამე თქვეს და ლავრენტის მიუტანესო. მე კი ვფიქრობდი, რაღაც უბედურება ხდებოდა.

ანდრო და კონიკო
ქანსაყბოთი ვაყვაროქს ხუშობით.





.....
მამის და მამის
დასახლებაში
დასახლებაში

ჩვენი ბინის პირდაპირ, კამოს ქუჩაზე, სამხედრო სკოლა იყო განთავსებული. მისი ეზო გამოდიოდა კამოს ქუჩაზე, სადაც ყოველდღე მანქანების რიგი იდგა. მოწყვდათ სამხედრო მოსამსახურეები და ოჯახებს ქუჩაში, ე. ი. ეზოში, ყრიდნენ. ერთხელ ვერ მოვიტმინე და ვუთხარი, ანდრო, ეს ხალხი რომ დაბრუნდება, რა პასუხი უნდა გასცენ, რომ მათ ცოლ-შვილს ასე ეპყრობიან-მეთქი. იცი რა, ლიზიკო, ალბათ ეს ხალხი არასდროს დაბრუნდებოდნენ და მძიმედ ამოისუნთქა. არ ვიცი, რას ფიქრობდა მაშინ. მე კი საშინელი სიბრაღული დამეუფლა მის მიმართ. მეცოდებოდა, რომ ასე სწამდა სიმართლის და პატიოსნების, რომელიც უკვე აღარავის გააჩნდა.

აგვისტოში გამოიძახეს მოსკოვში, რედაქტორების საკავშირო შეკრებაზე. იქიდან დაბრუნდა, დაახლოებით, 25-26 აგვისტოს ძალიან კმაყოფილი, რადგან მისი მუშაობა დადებითად შეაფასეს. აქ მინდა, ცოტა რამ წარსულზე გიამბოთ...

რაც ანდრო თბილისში გადმოიყვანეს, ამიერკავკასიის სამხედრო პოლიტსამმართველოს უფროსად იყო დანიშნული კოლია ბლუაშვილი, რომელიც I დივიზიის პოლიტსამმართველოს უფროსი იყო ქუთაისში. კოლია დიდი პატივისცემით და ნდობით იყო ანდროს მიმართ გამსჭვალული. თვითონ ძალიან პატიოსანი და პირდაპირი ადამიანი იყო. ერთხელ ცეკას პლენუმზე მასსა და ბერიას შეკამათება მოუვიდათ, რომლის დროსაც ბერიას უთხრა, „შენი პოლიტიკა ფაშისტურიაო“. ამის შემდეგ ის თბილისში აღარ გაჩერდა, „სანამ ბერია საჭარტველოში იქნება, მე მასთან არ ვიმუშაებო“ და გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში პოლიტსამმართველოს უფროსად. როდესაც ის თბილისში ჩამოდიოდა, ყოველთვის მოინახულებდა ანდროს რედაქციას. ეს, რასაკვირველია, ბერიას უყურადღებოდ არ დარჩებოდა და სწორედ მოსკოვიდან



ანდრო მეომრებიან: 1.ფოქოზი მახვილივ 2.ფოქოზი ქრეჩიზი



ჩამოსვლის მეორე დღეს გამოიძახა ბერიამ და დაავალა, ბლუაშვილის შესახებ მიეცა ჩვენება. ანდროს განუცხადებია, მე მას ვიცნობ, როგორც სპეტაკ და პატიოსან ადამიანს და ეს შემიძლია დაგიდასტუროთო. მაშინ ბერიას უთქვამს: „ეს არის შენი უკანასკნელი სიტყვაო?“ და გამოუსტუმრებია. როცა სახლში მოვიდა, მომიყვა ეს ამბავი, მე ვუთხარი, განწირულები ვართ, ბერია ამას არ გვაპატიებს-მეთქი. აბა, რა უნდა მეთქვაო?! შენ სწორად მოიქეცი, მაგრამ ჩვენ დაღუპულები ვართ-მეთქი. უკვე ვიცოდი, რაც ხდებოდა, მაგრამ ანდროს მაინც არ სჯეროდა, რომ სამართალს ვერ იპოვიდა.

3 სექტემბერს გამოიძახეს პოლიტსამმართველოში და გარიცხეს პარტიიდან, როგორც აზნაური და ბურჟუის შვილი. როდესაც ეს მითხრა, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ანდროს მამა 40 წელი რკინიგზაზე მუშაობდა და დედა პენსიას იღებდა. საიდან მოიტანეს ეს-მეთქი. „ვინ მომცა ხმის ამოღების ნება, მითხრა, ეს გადაწყვეტილიაო“ და ასე დაიწყო ჩვენთვის საბედისწერო 37 წელი.

4 სექტემბერს, გამთენიას მოაკითხეს შინსახკომიდან და წარუდგინეს დაპატიმრების ორდერი. დახედა ორჯერ და გაეღიმა. ის ღიმილი არასდროს დამავიწყდება. რა გაეწობაო, უპასუხა. მე მომიბრუნდა და მითხრა: „ძალიან გთხოვ, დაიჯერო ერთი ბეწო ჭუჭყი არ მცხიაო“, მე ვუპასუხე:

„ექვი არ მეპარება-მეთქი“. ისე შემეცოდა, რომ რწმენა სამართლიანობის, რომელიც მას ჰქონდა, უსაფუძვლო აღმოჩნდა. ის წაიყვანეს, დარჩა ორი, რომ ჩხრეკა ჩაეტარებინათ. შემდეგ დაბრუნდნენ ისინიც, რომლებმაც წაიყვანეს. მე გავაფრთხილე, რაც გნებავთ, ის გააკეთეთ მხოლოდ თუ იმას მეტყვით, რომ ჩემი ქმარი გაიძვერაა, იცოდეთ, ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი. მესმოდა, როცა მიჰყავდათ ვინმე, ოჯახში დარჩენილებს ლანძღავდნენ, რომ თქვენ ასეთები ხართო, მაგრამ ჩემთან ეს არ მომხდარა. მე ისინი გავაფრთხილე, აკრძალულ წიგნებს ტყუილად ეძებთ-მეთქი. ერთი წიგნს ატრიალებდა ხელში გამარჯვებული იერთო, აი, ხომ გამოგჩხრიკეთო.

მე შორიდან დავინახე, ეს იყო ჯავახიშვილის წიგნი. მე ვიცანი, რომ ეს იყო ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორია“ და ვუთხარი, კარგად წაიკითხეთ-მეთქი, უფროსმა ისე შეხედა, ლამის თავისი ქვეშევრდომები იქვე გაშეშდნენ, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩააგდეს იგი. გამოიტანეს, რაც მე და ბავშვისად ჩათვალეს, კარები დალუქეს და ჩვენ წინა ოთახში გამოგვიყვანეს. იმ დღიდან დაიწყო ჩემი ნერვების წყვეტა. დღეში რამდენიმეჯერ მოდიოდნენ ბინის სანახავად. ქუჩაში ნაცნობები და ისეთებიც, რომლებიც ჩემი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ, როცა დამინახავდნენ, მეორე მხარეს გადადიოდნენ, რომ არ მომსალმებოდნენ. ჩემთან რომ არავინ დადიოდა, არ ვამტყუნებდი, მე თვითონ ვერიდებოდი ვინმესთან ურთიერთობას, ვიცოდი, ეს მათ რას მოუტანდა.



ოთხივესა და მამას, კამბლ ქ. 84, ვაქსახოქაძე.

ჩემი ძმები ტარასი და ლადო 1921 წელს რეპრესირებულები იყვნენ და მათაც ავუკრძალე მოსვლა. მხოლოდ ლამის 3-4 საათზე თუ დამირეკავდნენ და მიკითხავდნენ, როგორ ვიყავი.

ჩემთან იყო ჩემი დედა, რომლის ცქერა უფრო მტანჯავდა, რომ ეს მოხუცი ქალი, მაშინ ის იყო 73 წლის, უცრემლოდ იტანჯებოდა. მე მისი ბოლო შვილი ვიყავი, მისთვის ყოველთვის პატარა ვიყავი. მას ძალიან უყვარდა ჩემი ქმარი, რომელიც მის მიმართ ძალიან დიდი სიყვარულით და პატივისცემით იყო გამსჭვალული.

დედა იყო მორწმუნე და კვირაში სამჯერ უსათუოდ მიდიოდა სიონში.

ანდრო მას ყოველთვის ეუბნებოდა „დედა, ეს 3 მანეთი და საყდარში სანთელი აანთეთო“.

ერთხელ დედას ვუსაყვედურე, ამ სიშორეზე



ზემოთ: ვივი როლოყა, ლიზიკო ახზიანიძე, ქსენია და კონსტანტინე
ქვემოთ: ანტონ კოპაძე, კოვან როლოყა

დადიხარ (მაშინ ვცხოვრობდი კამოს ქუჩაზე), რამე რომ დაგემართოს, არ გეშინია ადამიანო მეთქი. აქვეა რუსების ეკლესია და იქ იარე-მეთქი. ამ დროს ანდრო თურმე მეორე ოთახში უსმენდა ჩვენს ლაპარაკს. ცოტა ხნის შემდეგ დამიძახა, "ლიზიკო, ერთი წუთით მოდიო." ჩემს მტერს, მე მან დღე მაყარა, როგორ გაბედე და დედას ასე როგორ უთხარი, ქალი დაბერდა რწმენაში და შენ გული როგორ ატკინეო. კეთილი ინებე და მიიყვანე და წამოიყვანეო.

ამიტომ განიცდიდა საცოდავი დატანჯული დედა ასე ძლიერად ჩვენს უბედურებას. დედა მოსული ქალი იყო. ეს მათ ჯიშად ჰქონდათ. ის კუხიანიძის ქალი იყო და მისი ნათესავები ყველა წარმოსადეგნი იყვნენ და ამ რამდენიმე დღეში ამხელა ქალი მოიბუზა, დაპატარავდა. მისი დანახვა გულს მიკლავდა.

ჩემი შვილი ლამარა მაშინ 10 წლისა იყო და ბავშვი გრძნობდა, რომ რაღაც დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ერთხელ მეუბნება (ის მამის წაყვანის მერე ჩემთან იწვა საწოლში, თითქოს ერთმანეთს ვამაგრებდით), დედა, წუხელ მთელი ღამე არ მეძინაო. ჩვენ წინ სამხედრო სკოლიდან უოველდამე მიყავდათ ხალხი. მას თურმე ეგონა, ალბათ დედას წასაყვანად მოდიანო. უნდა გითხრათ, სულ იმას ვფიქრობდი, როდის დამთავრდებოდა ეს ჩემი ტანჯვა.

ვიცოდი, რომ უსათუოდ დამაპატიმრებდნენ და მინდოდა, რომ ეს ჩქარა მომხდარიყო. რომ ვიფიქრე, იქნებ როგორმე ბინა გავცვალო-მეთქი, წავედი სამხედრო პროკურორთან და ვთხოვე, მე არ მაქვს საშუალება, ამხელა ბინის ქირა ვიხადო და გთხოვთ, ერთი პატარა ოთახი მომცეთ-მეთქი. როცა ვკითხე, რაში ადანაშაულებთ ჩემს ქმარს-მეთქი, მიპასუხა: იცით, რა გითხრათ, მაგას ნურავის ჰკითხავთ, სულ ერთია, არავინ გეტყვით სიმართლესო. რაც შეეხება ბინას, არავინ გერჩითო, თუმცა დაჭერილის ცოლები სულ იმას ჩივიან, კობახის ცოლი რა წითელი კვერცხიაო, რომ არც ბინას ართმევთ და არც ტელეფონს უხსნითო. ჩემი სურვილი კი იყო, როგორმე ბავშვი დაბინავებული დამეტოვებინა.

გადიოდა დრო, სამსახურში არ მიღებდნენ. ვიყავი დარჩენილი უსახსროდ, ხელფასიც კი არ ჰქონდა აღებული ანდროს, დავწერე განცხადება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. მაშინ ამ თანამდებობაზე იყო ბაქრაძე⁵, დავწერე, რომ თუ დამნაშავე ვარ, დამიჭირეთ და თუ არა, მაშინ მომეცით საშუალება, ბავშვი გავზარდო-მეთქი, მომეცით ნება, ვიმსახურო-მეთქი.

დადგა ნოემბერი. მამშვიდებდნენ, რომ ნოემბრის დღესასწაულს თუ გადაურჩი, მერე არ დაგიჭერენო, გავიდა 7 ნოემბერი და 16-ში ღამის 2 საათზე მესტუმრნენ. ადრე ვთხოვე ლამარას, ისტერიკებიარმოეწყოთ, როდესაც წამიყვანდნენ. ვთხოვდი, თქვენს ცრემლებს იმათნუ დაანახებთ-მეთქი, და, აი, მოვიდნენ კიდევ. ვუთხარი, მოვემზადო-მეთქი? როგორ, მოგველოდითო? როგორ არა, ქალი არ დაგიტოვებიათ გარეთ და მე რა თავზე ხელს გადამისვამდით-მეთქი, არა, ჩვენ ბინის აღსაწერად მოვედით, ერთი იყო რუსი, მეორე ქართველი. ქართველის გვარი დამამახსოვრდა -კერვალიძე, ძალიან ზრდილობიანად მეპყრობოდა. მერე მითხრა, ელიზავეტა სარდიონოვნა, ჩვენ რასაც გვიბრძანებენ, იმას ვაკეთებთ და რა ვქნათ, თქვენ უნდა წამობრძანდეთო. ალბათ ეგონათ, წივილ-კივილს აგტეხდი. შე კაი კაცო, ესე გეთქვა-მეთქი, მივუგე მე. ბავშვს და დედას ტირილი რომ არ დაეწყოთ, ვუთხარი, აბა, ჩემოდანი გამოიტანეთ-მეთქი. რასაკვირველია, არაფრის წაღება არ მინდოდა, ყველაფერს უკან ვყრიდი. მაგრამ იმ კერვალიძემ თვითონ დაიწყო ჩალაგება. ლეიბი, საბანი, თბილი ტანსაცმელი, ვუთხარი, მაგას არ ვათრევ-მეთქი. იცი რაო, მიპასუხა, ეს ყველაფერი დაგჭირდება და მერე მე დამიწყებ ლანძღვასო, მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ის ალბათ მუშაობდა ჯარში და იცნობდა ანდროს. მას ხომ მეგობრები ხუმრობით იესო ქრისტეს ეძახდნენ და ყველას უყვარდა.

როდესაც ჩამიყვანეს ქვემოთ, მანქანაში, რასაკვირველია ბარგი იმას მოჰქონდა, ლამარა გამოვიდა აივანზე და დაიწყო ყვირილი, დედიკო, ბებიას უთხარი ნუ ტირისო. ასე გამოვემშვიდობე ჩემს დანგრეულ ოჯახს...

⁵ ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე (1901-1971) - საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1937 წლის 10 ივლისიდან – 1946 წლის 27 მარტამდე.

მივდივართ და ერთი სული მაქვს, როდის მიმიყვანენ სახკომში, იქნებ იქ გავიგო რამე ჩემი ქმრის შესახებ. როცა ჩაუარე ფოსტა-ტელეგრაფს, ვკითხე, რატომ არ მიყვავარ შინსახკომში-მეთქი, მიპასუხა: იქ მძიმე ჰაერიაო. აბა, მე მაშინ რა ვიცოდი, რა იყო მძიმე ჰაერი. მიმიყვანეს ციხეში. იქ დამხვდნენ ქალები, რომლებსაც 2-3 შვილი ჰყავდათ დატოვებული უპატრონოდ და საშინლად მოთქვამდნენ. მე ვიფიქრე, რა უფლება მაქვს ამათ შემხედვარე ხმა ამოვიღო-მეთქი და ვიყავი გაყუჩული ჩემს დარდებთან ერთად. მოვიდნენ, ამიღეს ანაბეჭდი თითებიდან და გადამიყვანეს კამერაში ჩემი უშველებელი ბარგით. მის მერე შეკრულ ბარგს რომ დავინახავ, ცუდად ვხდები. გააღეს კარები და ხელით შევათრიე ბარგი. ერთ პატარა კამერაში დაახლოებით 30 ადამიანი მომჩერებია და უცხად მომაძახეს, ქალბატონო, ძალიან დიდხანს სეირნობდი გარეთო. ნაცნობები, მათ შორის ახლობლებიც უკვე გაშინაურებულები იყვნენ. ჩემი ყურადღება მიიპყრო კუთხეში შეშინებული გამომეტყველებით ნაცნობმა სახემ, რომელიც წამოხტა, მომვარდა, გადამეხვია და ატირდა. ლიხიკო, გენაცვალე, მე ადამიანი აღარ ვარო. ეს იყო ჩემი კარგი მეგობარი, ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში, ის კომუნალურ განხრაზე, მე არქიტექტურაზე, მაგრამ ჩვენ ვმეგობრობდით, რადგან მისი ძმა იყო ჩემი მეუღლის ახლო მეგობარი, ჩინად პოლკოვნიკი. გვარს არ ვასახელებ, რადგან არ მინდა, ტკივილი გავახსენო.

მომიჩინეს ადგილი საწოლის ქვეშ, რადგან საწოლები ერთმანეთზე მიდგმული, დაკავებული და ჩალაგებული იყო, როგორც „სილიოტკები“. ახალი მისულები ვთავსდებოდით საწოლების ქვეშ, მხოლოდ თავები გვქონდა გარეთ. და, აი, ჩემი მეგობარი თ.ნ. მარიგებს, იცი, ლიხიკო, დილით ჩვენ გაგვიყვანენ „აპრაზაზე“, ესე იგი, პირის დასაბანად და საპირფარეშოში, რომელიც ხდება დილდილაობით და შენ არ შეგეშინდეს, თუ დალურჯებული ქალები დაინახო და ნურც მე მომაქცევ ყურადღებასო და მართლაც, როდესაც გაგვიყვანეს ხელპირის დასაბანად, ღმერთო ჩემო... ზოგიერთი შინსახკომიდან დაკითხვის მერე იყო მოყვანილი, სულ ჩალურჯებულები, ზოგიერთი სიყვითლეში გადასული ლაქებით, ადამიანს შიშის ზარს დასცემდა.

ჩემი ამხანაგი მიყვებოდა, ის ინსტიტუტში კომკავშირელი იყო, ჰყავდა შეყვარებული, თავისი თანაკურსელი, ცხოვრობდა ძმასთან, რადგან ობოლი იყო და მასთან იზრდებოდა. როდესაც დავამთავრეთ, უნდა დაქორწინებულიყო. ორივე აგროვებდა ფულს, რომ ბინა ეყიდათ და სწორედ იმ დღეს გამოიტანეს თანხა ბინის საყიდლად, როცა მისი ძმა დააპატიმრეს და ნახეს ის ფული. ძმასთან ერთად ისიც დააპატიმრეს და წაუყენეს ბრალდება, თითქოს რომელიღაც ორგანიზაციამ მისცა ფული მას და მის ძმას. არ ისურვეს, შეემოწმებინათ, რომელ შემნახველ სალაროში შეჭმონდათ ხელფასი და დაიწყო მისი რეპრესია, გამომძიებელი იყო არობელიძის ქალი და ვაი, მისი ცოდვა, ვინც მასთან მოხვდებოდა. ლიხიკო, შენ წარმოიდგინე, ამოდენა კაცებში ჯერ მცემეს სველი თოკით, მერე რალაც რკინის ბურთულებიანი ზამბარებით, ვნატრობდი, გონება დამეკარგაო. პირველად აუტანელ ტკივილებს ვგრძნობდიო, მერე მხოლოდ დარტყმის ხმა მესმოდა, სულ

იმას მეუბნებოდა, თქვი, რომელ ორგანიზაციაში მუშაობდით შენ და შენი ძმაო. მითხრა, იცი, რა ვიფიქრე, ჩემმა ძმამ მე გამზარდა და, დაე, მოგკვდე, იმას მაინც არ დავლუპავო. საცოდავს თითები ჰქონდა დაგრეხილი, თურმე ჩაუწყობდნენ ფანქრებს თითებს შუა და მოუჭერდნენ ხელს, ეს ყოფილა ყველაზე მტკივნეული, საშინელი წამება, ან კიდევ ფეხის ფრჩხილებზე ფეხის ქუსლების დაჭერა, ნაწამები გაჰყავდათ და მეოთხე დღეს კიდევ თავიდან იწყებოდა დაკითხვა. მორალურად ყველაზე მეტად მოქმედებდა, როდესაც თითო ღერ თმას წიწკნიდნენ გატიტვლებულს. სიკვდილით არ მოგკვდი, ოღონდ ადამიანი აღარ ვარო, ასე მაძხალებდა ჩემი მეგობარი დაკითხვაზე გამოსაძახებლად, მაგრამ გადიოდა დღეები და არ მიძახებდნენ. მარიგებდა, თბილები ჩაიცვიო, მეორეები მეუბნებოდნენ, თორემ არ გაგხდინაო. ასე რომ, ყოველი კარის გაღება იყო ჩვენი გულის ხეთქვა. აბა, ვის გამოიძახებდნენ და წაიყვანდნენ შინსახკომში. როცა იქ მიჰყავდათ, იძახდნენ, „სვეშჩამი“. დადგა დრო და ლამის 1 საათზე დამიძახეს კოპაძესთან დაკითხვაზე, მაგრამ ბარგი არ მოუთხოვიათ. მითხრეს, ნუ გეშინია, ალბათ შინსახკომში არ წაგიყვანენო. მართლაც ამიყვანეს ზედა სართულზე და დამხვდა ის კერვალიძე, რომელმაც მიმიყვანა ციხეში. შემხვდა როგორც კარგ ნაცნობს, ზრდილობიანად. მკითხა, როგორ ვგრძნობდი თავს. მე ვუთხარი, თქვენი წყალობით, შესანიშნავად-მეთქი, ვკითხე, კი მაგრამ, რას მერჩოდით, რა დავაშავე-მეთქი. ელიზავეტა სარდიონოვნა, მე პატარა კაცი ვარ, ბრძანებებს ვასრულებო. ვუთხარი, ჩემმა ქმარმა რამე დაგიშავათ-მეთქი. ის დაპატიმრებულია კონტრრევოლუციური მოქმედებისთვისო, თქვენ ჯერ ეს ანკეტა შეავსეთ, რა იცით თქვენი ქმრის კონტრრევოლუციური მუშაობისო. ვუთხარი, ჩემი ქმრისნაირი პატიოსანი და სპეტაკი ადამიანი მეორე არ მეგულება-მეთქი, და რომ შემატყო, მოვიმართე, მითხრა: იცით, რას გეტყვით, იმას ვერაფერს უშველით, თქვენ შვილი გყავთ გასაზრდელი და თავი უნდა შეინახოთ თქვენი შვილისთვისო. დაწერეთ, რომ არაფერი იცით და გათავდაო. მე უკვე ვიყავი თქვენთან და ვინახულე თქვენი შვილი და დედაო. ბავშვი გვინდოდა საბავშვო სახლში წაგვეყვანა, მაგრამ დედათქვენმა არ დაგვანებაო. მე ვუთხარი ბავშვს წაართვით მამა, დედა, ოჯახი და ეხლა გინდათ წაართვათ ერთადერთი ადამიანი, რომელიც ნახევრად იმის გაზრდილია, ნუ გეშინიათ, როგორმე დედაჩემი მიხედავს ჩემს შვილს-მეთქი.

ამით დამთავრდა ჩემი პირველი დაკითხვა. როცა ჩავედი და ქალებს მოვუყევი, მითხრეს, იღბლიანი გოგო ყოფილხარო. ეტყობა, ეგ გამომძიებელი შენს ქმარს იცნობსო, მეორე დღეს მოიყვანეს გეგენავას ცოლი ნინო. გეგენავა იყო განათლების კომისარი⁶, მისმა საცოდაობამ ყველას გული დაგვითუთქა და ჩვენი უბედურება დაგვავიწყა. მას ჰყავდა 3 თვის გოგონა, მოატყუეს, თან გაგატანთო, მოიყვანეს ციხეში, ბავშვი კი ბავშვთა სახლში წაიყვანეს. რძე ასკდებოდა ძუძუებში და ჩვენ ვშველოდით გამოწველას. შემზარავი იყო მისი მოთქმა, ის მეგრელი ქალი იყო ისე

⁶ შალვა ივანეს ძე გეგენავა (1893-1937) – საქართველოს სსრ-ის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე. ბრალად დასდეს, რომ იყო მემარჯვენე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი. სსრკ უზენაესი სასამართლო სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, 1937 წლის 3 ოქტომბერს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი აღასრულეს იმავე დღეს.

გულსაკლავად მოთქვამდა, რომ მისი შვილი მშვიერი იყო და ის რძეს „ბარაშაში“ აქცევდა. მისი საცოდაობით ვიწვოდით. მესამე დღეს განმეორდა იგივე შემთხვევა, მოიყვანეს ჩემი სკოლის ამხანაგი და გვანცელაძის ქალი. იმასაც ძუძუს ბავშვი დაატოვებინეს, ისიც მოსავლელი გვყავდა. ის იყო სამხედრო ინჟინრის ცოლი. ამასობაში მე გამომიძახეს მეორედ, ისიც ღამის 1 საათზე. ახლაც იგივე გამომიძიებელი დამხვდა, მითხრა, მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რომ თქვენი გოგონა გადავიყვანეთ სხვა ბინაში პლუხანოვის ქუჩაზე და ჯანმრთელად არისო. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ ალბათ გადაგასახლებენ და ფრთხილად იყავით, თქვენ პირადი საქმე არ გაქვთ და არ შეიძინოთო. უნდა გითხრათ, რადგან გასაკვირია, მაგრამ მე ვიგრძენი, ის ერთგვარ სინდისის ქენჯნას განიცდიდა, რომ ჩვენი ოჯახის უბედურების მონაწილე იყო. ძალიან გამიკვირდა, იმ დროს ადამიანმა გადამარჩინა რეპრესიებს. როცა დავბრუნდი, მართალი გითხრათ, სურვილი მქონდა მადლობა გადამეხადა მისთვის, მაგრამ შევიტყვე, ის აღარ იყო ცოცხალი.

გრძელდებოდა საკნის ცხოვრება. უკვე ვისწავლეთ მორხესეზური ანბანით სხვა კამერებთან დაკავშირება და ახალ-ახალი ამბების გაგება. მეორე კამერიდან შეგვატყობინეს, რომ იქ იმყოფებოდა კასპის რაიკომის მდივანი, ვალია კველიშვილი⁷. ის იყო ფეხმძიმედ და რეპრესიების შედეგად ნაყოფი დაიღუპა, მას აბორტი არ გაუკეთეს და ისიც დაიღუპა ციხის საავადმყოფოში. ჩვენთან მოიყვანეს ავალიანი-ვაჩნაძე, მისი ქმარი იყო კინორეჟისორი. მოიყვანეს საშინლად რეპრესირებული, მაგრამ ადამიანი თურმე ყველაფერს უძლებს. მან მითხრა, რომ შინსახკომის საკანში ვიყავიო. მეორე საკნიდან გადმოგვცეს, მოიყვანეს ქუთაისელი კოპაძეო, რომელსაც ვერაფერი მოგუხერხეთ, ისე განიცდის ყველაფერსო. ეს იყო და ეს, მეტი მე ანდროს შესახებ ვერაფერი გავიგე.

თებერვლის თვეში გამოიძახეს ჩემი ამხანაგი თ.ნ., გამოუცხადეს განაჩენი 5 წელი შრომა გამასწორებელ ბანაკში. ის ზაფხულში იყო დაპატიმრებული და რაც ეცვა, ყველაფერი შემოხეოდა. მე თბილები მქონდა, გამოვაწყვე თბილებში და გავისტუმრეთ შორეულ გზაზე. თებერვლის ბოლოს დაგვიბარეს 10-15 ქალი და წავიკითხეს განაჩენი. 8-8 წელი შრომა გამასწორებელ ბანაკში, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრები. სხვათა შორის, როცა ანდრო დაიჭირეს, მე ვიფიქრე, რომ მას, როგორც სამხედროს, წაუყენეს სამშობლოს ღალატი და მოგნახე საბჭოთა კონსტიტუცია, სადაც ეწერა, რომ მათი ოჯახის წევრები ისეებიან 3 წლამდე. აქ ჩვენ მიგვაკრეს 8-8 წელი.

მეორე დღეს, ე.ი., 1 მარტს, ღამის 4 საათზე გამოგვიძახეს, ბარგით ჩავსხეს მანქანებში 300 ქალი და წავიყვანეს ნავთლულში. ეს იყო პირველი ეტაპი. ჩავსვეს საქონლის გადასაყვან ვაგონებში, სადაც იყო გაკეთებული ნარები. როცა ციხიდან გამოგვიყვანეს გარეთ იდგა რიგი გადაცემაზე.

⁷ ბარბარე (ვალია) კველიშვილი (1905-1937) – კასპის რაიკომის პირველი მდივანი. 1937 წლის 11 სექტემბერს მიესჯა დასჯრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია. ბარბარე კველიშვილის ე.წ. განსაკუთრებული სამეულის სტადომის ოქმზე არის მინაწერი – „მე-5 თვის ორსული. მშობიარობის შემდეგ შესრულდეს სასჯელი...“, თუმცა, კველიშვილი მშობიარობამდე, ციხეში გარდაიცვალა ფიზიკური ტრავმებისა და სეფსისის შედეგად.

ხალხი ღამით იკავებდა რიგს. გაიგეს, თუ არა ქალები მიჰყავთო, გამოედევნენ მანქანებს. ჩვენ თითო მანქანაზე მოგვიყენეს 4 „კანვოი“. შეიქნა საშინელი კვიცილი, ყვირილი... თოვს და ამ თოვლში გაისმის ყვირილი შვილო! დედა! ძახილი აქედან, იქედან... ერთი სიტყვით, ეს რალაც საშინელება იყო.

დილა რომ გათენდა, ნავთლულის მიდამო ჯარით იყო გადაკეტილი, იდგა სახანძრო მანქანები და იქით ზღვა ხალხი. გადაძახილები. დედა! შვილო! და ასე დაიძრა ჩვენი ეტაპი.

ბევრი ახალგაზრდა იყო, ყველა მოიცვა სევდამ, სად მივდივართ, არ ვიცით, გგონია გადასახლებაში და ამ დროს გაისმა საშინლად ნაღვლიანი სიმღერა „მშვიდობით, ჩემო სამშობლო“. ადამიანი ყველაფერს ურიგდება. დაიწყეს ფიქრი, როგორ მოაწყონ ცხოვრება, ჩამოიყვანონ შვილები. ვინ ვისთან უნდა იცხოვროს და ასე შემდეგ. ერთი თვე ვიმზავრეთ ისე, რომ არ ვიცოდით, საით მივდიოდით, თუმცა მარტი იყო, მაგრამ რუსეთისაკენ კი ყინვები იყო. ჩვენ ვიწყეთ, რადგან ორსართულიანი ნარები იყო გაკეთებული და შეიძლებოდა ან წოლა ან ფეხმორთხმული ჯდომა. ვაგონი იყო ნახშირის გადაზიდვის მერე გამოყენებული, ამიტომ ერთიანად გამურული ვიყავით. ვაგონის შუაში იდგა პატარა ღუმელი, რომელზედაც ხანდახან ხელებს ვითბობდით. ღამე, დაძინებისას, თბილი საბანი ისე მიეყინებოდა ვაგონის კედლებს, რომ ძლივს ვაგლეჯდი. საკვები იყო გამხმარი თევზი, 300 გრ. პური და წყალი. ისიც არ იშოვებოდა და ამოჭკონდათ მატარებლის გაჩერების დროს გაყვითლებული ჭაობიდან, მიკვირს რამ გადაგვარჩინა, ალბათ ზამთარი რომ იყო, იმან გვიშველა. ერთი თვის მერე გაჩერდა ჩვენი ეტაპი ღამით, სადღაც უღრან ტყეში. წარმოიდგინეთ, ერთი თვის დაკუნტულები გადმოვედით ერთ მეტრ თოვლში. აბა, თბილისიდან რა უნდა გვქონოდა, დაგვირიგეს „ვალინკები“, დაგვხვდა მთელი „როტა“, ძალღებით გარს შემოგვერტყა, მაშინ მივხვდით, როგორ გადასახლებაში მივდიოდით.

გაგვიყენეს გზას, რომელიც არ თავდებოდა. სიარულს გადაჩვეულები ამ მძიმე ქეჩის ჩექმებით ძლივს მივათრევდით ფეხებს. როცა ვკითხავდით, როდის მივალთ ადგილზეო, გვპასუხობდნენ, მალეო, ასე „მალე-მალე“ ვიარეთ ამ ყინვაში რამდენიმეფსაათი, მივადექით ორ მესერ შემოვლებულ ადგილს, შეგვრეკეს შიგ. ამ მესრებში შეუშვეს ძაღლები, გეგონებოდა დიდი ავაზაკები მოიყვანესო. შიგ ეზოში გავარჩიეთ რამდენიმე ბარაკი და შავ ტანისამოსში მოძრავი ადამიანები. ესენი იყვნენ ჩვენზე ადრე მოყვანილი ცოლები სხვადასხვა კუთხიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უკრაინიდან და სხვა. როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ საქართველოდან ვიყავით, ნიშანი მოგვიგეს, „ბიძიამ არ გიშველათო?“ ჩვენ მოგვათავსეს ჩვენთვის განკუთვნილ ბარაკში, ერთად 300 ქალი.

ამ ბანაკში დაახლოებით 4000 ქალი ვიყავით და ასეთი ბანაკი აქ 5 ყოფილა. ეს ადგილი მდებარეობდა რიაზანთან ახლოს, „პოტამაში“ გაკაფულ ტყეში. აქ უწინ თურმე დამნაშავეთა ბანაკი ყოფილა და ისინი გადაუყვანიათ სხვაგან. დაიწყო ახალი ცხოვრება 300 გრ. პური და ბალანდა. დილა-სალამოს ქერის ფაფა. ბანაკში მყოფთაგან დაახლოებით 95% უმაღლეს დამთავრებული ქალი იყო. რასაკვირველია, იყვნენ დიდი თანამდებობის პირების, დიპლომატების, გენერლების ცოლები,

ასევე პატრიოტული მუშაკები, რაიკომის მდივნები, მფრინავები, რომლებიც დაბატიმრებული იყვნენ ქმრების გამო, ჩვენსავით. გადიოდა თვეები, მოწყვეტილებმა უოველგვარ ინფორმაციას, არ ვიცოდით, როგორ იყვნენ ჩვენი შვილები და მშობლები. არც მათ იცოდნენ, ჩვენ ცოცხლები ვიყავით თუ არა. ბოლოს მოვითხოვეთ რაიმე სამუშაო და მაშინ გაგვიხსნეს საქარგავი ცეხი. როგორც მოგეხსენებათ, უკრაინელი ქალები განთქმულნი არიან ქარგავში და მათი დახმარებით დავეუფლეთ ამ პროფესიას. ვქარგავდით ტილოზე მამაკაცის ხალათებს, ქალის საკაბე ნაჭრებს. მოცემული გვქონდა ნორმა, თუ ერთ დღეში დავამთავრებდით ერთ ხალათს, მაშინ თვეში, როგორც ბენსიას, ვიღებდით 3 მანეთს, ეს კი საშუალებას გვაძლევდა, გვეყიდა იქვე ფარდულში სიგარეტი ან რაიმე. იყვნენ ქალები, რომლებსაც თან ჰქონდათ წამოღებული ფული, რომელიც პირად ანგარიშზე ერიცხებოდათ, იქედან აძლევდნენ თვეში 5 - 10 მანეთს, რითაც შეეძლოთ ფარდულში საკვების ყიდვა. მე წამოღებული კი არა, ბავშვისთვის კაპიკი არ დამიტოვებია, რადგან ხელფასი აუღებელი დარჩა ჩემს ქმარს. გადიოდა თვეები და ვიყავი 300 გრ. პურსა და წყალზე. თევზის ნახარშს მე ვერ ვჭამდი, იმ წუთში დამაწყებინებდა გულისრევას. დამემართა „კურინნაია სლეპატა“, ე. ი., როგორც კი შელამდებოდა, ველარაფერს ვხედავდი. ელექტრონის ნათურა მოჩანდა, როგორც ასანთის ღერი. დალამებამდე გავრბოდი ჩემს საწოლამდე, მეორე სართულის ნარზე და იქ ვუცდიდი გათენებას.

დამინიშნეს ნედლი კომბოსტო, ვიტამინების უქონლობის გამო. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, რამდენიმე ხანში გამიარა, შემდეგ დამეწყო შეშუპება და ხელის კიდურების ქავილი, მერე გამისივდა კანი, საიდანაც სითხე მდიოდა, ისევ ვაგრძელებდი კომბოსტოთი მკურნალობას. იმანაც ნელ-ნელა გამიარა. ერთ დილით გამეღვიძა და მთელი ბანაკი ფეხზე დამდგარი დამხვდა. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, მე მქონდა ნერვიული ძილი, ჩემი გაღვიძება არც ისე იოლი იყო, რაც მშველოდა უოველთვის. ვიკითხე, რაშია საქმე-მეთქი. მითხრეს, არ შეგეშინდეს, წუხელ დაურეკავთ, რომ შენ გიძახებენ I პუნქტში, ე. ი. იქ, სადაც მთავარი სამმართველოა. საერთოდ იყო შემთხვევა, რომ ქალებს იბარებდნენ და მიჰყავდათ ხელახალ გამოძიებაზე. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა.

მე ვიყავი ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე უმწეო და ამიტომ ყველას ასე ვეცოდებოდი. მაგრამ მაიმედებდნენ, ნუ გეშინიაო. ერთი ქალი, რომელიც მუშაობდა ბუღალტრად, იყო ჩვენი ოჯახის კარგი ნაცნობი ლილი ბარკალაია-ემხვარი და მას გაუგონია, რომ იკითხეს სპეციალობით არქიტექტორიო და გაჩნდა იმედი, რომ ალბათ სამუშაოდ სპეციალობებით გადაგვაგზავნიანო. იყვნენ ქალები, რომლებიც ადრეც, მეფის დროსაც ისხდნენ ციხეებში და თავიანთი გამოცდილებით მარიგებდნენ, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი, არავითარ პროვოკაციას არ წამოვგებოდი და პირადი საქმე არ დამემსახურებინა. არ გასულა ერთი საათი და უკვე გამომიძახეს ბარგით, მოვიკახმე ჩემი მოკახმულობით - დაბამბული პატიმრის ქურთუკი, შავი ბამბახიის კაბა, კოჭებამდე ფეხსაცმელები 45 ზომის (ბათინკები) და ყურებიანი დაბამბული ქუდი.

Ըրոնիշոմ զբթսևերոյթսն,
Նայիճնի յիճոսն ևս յիսնոսն յիսր.

15.VII.92



Ըրոնիշոմ զբթսևերոյթսն, սյնոն իսրճայիճոսն յիսր.

მოვიკიდე ჩემი ბარგი და გამიყვანეს ზონის გარეთ, სადაც მიცდიდა დროგი (ტელეგა), თივაგადაფენილი ორი კანვოით⁸. დიდი ყინვა იყო, მე ჩავეფალი თივაში და გავუდექით გზას. მივდიოდით სულ ტყე-ტყე, არ მქონდა უფლება, საითმე გამეხედა. ასე სალამოს ჩამოგვიყვანეს მთავარ #1 პუნქტში, სადაც იყო მთავარი სამმართველო. ღამით გადამაბარეს რომელიღაც ბარაკის სტაროსტას⁹. მიჩვენეს ადგილი და მეც მოვთავსდი. ვუყურებ, ეჩხუბებიან ქალები სტაროსტას, ეს ვინ მოგვიყვანე, ხომ გავგჭურდა ამაღამო, ის კიდევ არწმუნებს, რომ მე ვარ ისეთივეს ცოლი, როგორც ისინი, მაგრამ არცერთს იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს შიშით, ეს ვილაცა ჭურდი შემოგვისახლესო.

დილით მითხრეს, სამმართველოში უფროსთან გეძახიანო, მე გამოვიცვალე ტანისამოსი და როცა დავემსგავსე ადამიანს, მომცვივდნენ ქალები, შეკაიქალო, რას გადაგვრიეო, წარმომიდგენია, რა შესახედიც ვიქნებოდი. მივედი სამმართველოში. მეუცნაურა მათი მხრიდან თავაზიანი მიღება, მომიკითხეს, თუ გექნათ სურვილი, დაგვეხმარე, პროექტები გვაქვს გასაკეთებელი, წლიური ბიუჯეტი რომ დაგვიმტკიცონო. ჩემთან ერთად სხვადასხვა პუნქტიდან ჩამოიყვანეს 25 ქალი /ყველა ცოლები/ სხვადასხვა სპეციალობის და ჩამოაყალიბეს პატარა საპროექტო. მუშაობისთვის შეგვიქმნეს ყველა პირობა, მახსოვს „რეიშინას“¹⁰ და ფანქარს ხელი რომ მოვიკიდე, ცრემლები მომადგა. იმაზე უფრო ახლოებული იქ არავინ მყავდა. ისე მიყვარდა ხატვა, ხაზვა და ჩემი სპეციალობა, რომელსაც მოკლებული ვიყავი. თვე-ნახევარში დავამთავრეთ პროექტები, ხარჯთაღრიცხვები და გადაგზავნეს მოსკოვის მთავარ სამმართველოში დასამტკიცებლად. მთელი გულაგის ინჟინერ ტექნიკური პერსონალი განაცვიფრა ტექნიკურად ასე შესრულებულმა პროექტმა და აგვიყვანეს აღრიცხვაზე. ერთი თვის შემდეგ, ე.ი. 1939 წლის ოქტომბერში, გაგვანაწილეს 25 თვე კახახსტანში ჯეზკახგანის¹¹ მშენებლობაზე. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ლაგერის უფროსი იყო ხანშიშესული და ძალიან უბედური ადამიანი. ისე ვეცოდებოდით ყველა, რომ ასე უსამართლოდ ვიყავით რეპრესირებული, ცდილობდა, იქ მაინც არავის დავეჩაგრეთ. როცა მოვიდა ბრძანება ჩვენი გაგზავნისა, საშინლად შეწუხდა ჩვენი უფროსი, თქვე საცოდავებო, თქვენ არ იცით, წინ რა გელითო. აქ ყველა ერთად ხართ და ერთმანეთს უვლითო, ვეცდები, როგორმე ჩავშალო თქვენი გაგზავნაო. იქ ჩვენ გვქონდა სამკერვალო ფაბრიკა და ვასრულებდით შეკვეთებს. მხოლოდ ეს იყო შეღავათი იმ ფაქტზე, რომ ჩვენ ყველა ვიყავით ქმრების გამო რეპრესირებული ცოლები.

ჩვენთან იყვნენ მთავარსარდლების, ელჩების, ერთი სიტყვით, დიდი ხალხის ცოლები, ხალხის, რომლებიც ცხოვრობდნენ მთელი ცხოვრებით და როცა მათ მონაყოლს ვისმენდი, ჩემი თავი მეცოდებოდა, რომელმაც არაფერი ვიცოდი ინსტიტუტისა და ოჯახის გარდა და ვცხოვრობდი

8 კანვოი (რუს. Конвой) – ტრანსპორტირების პროცესში რაიმე ობიექტის გამყოლი დაცვა.

9 სტაროსტა (რუს.) – ხელმძღვანელი, თანამდებობის პირი.

10 რეიშინა (რუს. Рейшина) – პორიზონტალური ზაზების გამელები სპეციალური საზაზავი.

11 ჯეზკახგანი – ძირითადად, გადასახლებულების მიერ აშენებული ქალაქი ყაზახეთში.

იმ იმედით, რომ დავამთავრებდი ინსტიტუტს და მე და ჩემი ქმარი გავიმართებოდით წელში. ჩემი ქმარი 1936 წლამდე სწავლობდა მოსკოვში უშრნალისტიკის ფაკულტეტზე. ასე რომ, ვრწმუნდებოდი იმაში, რომ ვიყავით ბრიყვები. რასაკვირველია, ჩვენი გამგზავრება არ ჩაიშალა და დაიწყო ჩვენი მოგზაურობა სტოლიპინის ვაგონით¹². აბა, ამის აღწერა განა შეიძლება, რაც ჩვენ გამოვიარეთ გზაში. იყო ომის წინა პერიოდი, მთელი რკინიგზა დაკავებული იყო პატიმრების გადაყვანით. სწორედ მაშინ იყო პოლონეთის კამპანია, ე.ი., ვინც დაარღვია სახლგარე ფაშისტების მოწოლის გამო, ყველას ბანაკებში უკრეს თავი და ჩვენც მოგვიხდა რამდენიმე ციხის გამოვლა, ჩელიაბინსკის, სიზრანის, პეტრე-პავლეს ძველი ციხის. ერთი სიტყვით, გამოვიარეთ ყველა სიამოვნება, რომელიც შეიძლება ადამიანს ერგოს.

სიზრანის ციხეში უფრო ურადლებით მოგვიტანეს თბილი საჭმელი და ცალკე საკანი მოგვცეს, მაგრამ შემოგვისახლეს უცხო ქალი, რომელიც სულ აგინებდა კომუნისტებს. ჩვენთან იყვნენ გამოცდილი, მაშინვე აუღეს ალღო შექმნილ ვითარებას და გააფრთხილეს, თუ არ შეწყვეტდა გინებას, პროკურორს გამოუძახებდნენ. მეორე დღით გაიყვანეს და ჩვენ ის აღარ გვინახავს.

მეორე დღეს, როცა ჩამოდგა პატიმრების ეტაპი, ჩვენც მიგვაყოლეს და რამდენიმე დღის შემდეგ მიგვიყვანეს ჩელიაბინსკის ციხეში. იქ დაგვანაწილეს საკნებში, საკნები დიდი იყო, ვის არ ნახავდი იქ. პოლონელებს, ებრაელებს და დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს. საკნის ბატონ-პატრონები როსტოვიდან ჩამოყვანილი ბანდიტები იყვნენ, რომლებიც საწოლის ფიცრებზე იწვნენ, რადგან ქვეშაგები საერთოდ არ იყო. დანარჩენები კი ისხნენ იატაკზე გასასვლელში. არ შემიძლია, დავივიწყო ის პირველი შეხვედრა დამნაშავეთა სამყაროსთან. ისინი იყვნენ ძალიან ლამაზი ქალები, სულ ტიტვლები, მართო საცვლითა და ბუზგალტერებით. ტანისამოსს არ იჩერებდნენ, რათა ეტაპში არ წაეყვანათ. ტანი სულ მოსვირინებელი ფანტასტიკური ნახატებით, ზოგს კი შუბლიც რომელიც თავსაფრით ჰქონდათ დაფარული. იყო ერთი მოხუცებული ქალი, რომელსაც ტანი ჰქონდა ფერადი სვირინგით დაფარული, ისეთი ხელოვნებით მოხატული, რომ მხატვარსაც კი შეშურდებოდა. თუ დაეჯერება, ინდოეთში გამიკეთესო. პირველად რომ დავინახე, სიზმარში მეგონა თავი, მაგრამ როცა პირი დააღეს, და აღმოხდათ სიტყვები, გაოგნებული დავრჩი. ქალი და ამნაირი გინება ვერ წარმომედგინა. ერთი სიტყვით, ბატონ-პატრონები ისინი იყვნენ. „თქვენ სტუმრები ხართ. ჩვენი მშობლიური სახლი ეს არისო“, იტყოდნენ. უნდოდათ, მოგცემდნენ ადგილს დასაჯდომად, უნდოდათ, მოგცემდნენ ბალანდას; ეს იმათი ნება იყო, გამკითხველი არავინ იყო. სხვათა შორის, როცა გაგვაგზავნეს ეტაპში, გამოცდილმა ქალებმა დაგვარიგეს, თუ ვინიცობაა, დამნაშავეთა სამყაროსთან მოგიხდათ უოფნა, თამბაქო გაუნაწილეთო, ჩვენც ასე მოვიქეციით.

¹² სტოლიპინის ვაგონი, იგივე “ვაგონზაკი”, დაკავებული ან პატიმრობამისჯილი პირების გადასაყვანი სპეციალური ვაგონი. ხალხში ვაგრცელებული სახელი მიიღო რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსნის, პეტრე სტოლიპინის (1862-1911) გამო, რომლის დროსაც დაიწყო ვაგონების გამოყენება.


მაშინ მე ვეწეოდი და თამბაქოც მქონდა. როგორც კი შევთავაზეთ თამბაქო, ადგილიც გაჩნდა, დასაჯდომი კი არა, დასაწოლი. მოიტანდნენ თუ არა ბალანდას, პირველს ჩვენ შემოგვთავაზებდნენ, მაგრამ მე ისე ვიყავი გაოგნებული და შეშინებული, ვიჯექი კუთხეში და ჩემი 300 გრ. პურის მეტს არაფერს ვეკარებოდი. მოვიდა დრო ჩვენი ეტაპში გამგზავრებისა და სულ ვფრთხილობდი, ნუთუ კიდევ ციხე, მაგრამ ჯერ სად ხარ თურმე. მიგვიყვანეს პეტრე-პავლეს ძველ ციხეში. ეს შენობა შედგებოდა პატარ-პატარა საკნებისაგან, დაახლოებით, 10 მ2, რომელშიც მოთავსებული იყო 25-25 კაცი. მათ დასაჯდომი ადგილი არ ჰქონდათ, როგორც თევზები ისე იყვნენ ჩალაგებული. დაგვანაწილეს, 3-4 კაცი. ჩემთან ერთად იყო არქიტექტორი ვარია ანდრეასოვა კილურაძე¹³, ჯერ კიდევ თბილისში, ინსტიტუტიდან ვიცნობდით ერთმანეთს, კიდევ იყო ერთი ლენინგრადელი ახალგაზრდა გოგონა, სპეციალობით გეოლოგი. საკანში შეგვიყვანეს, ადგილი არ იყო. იქ იყვნენ მოთავსებული ყაჩაღები და მკვლელები, რომლებიც ჯერ კიდევ 19-22 წლისა თუ იქნებოდნენ. 25-25 წელი ჰქონდათ მისჯილი. უნდა გენახათ, რა დღე გვაყარეს, ხალხის მტრებოო, აი, თქვე კონტრებო, თქვენი გულისათვის პატიოსანი ხალხი ვიტანჯებითო. ფეხი არ გადმოდგათ, თორემ წიხლებით მოგახრჩობთო, თითქოს ჩვენი სურვილით მოგვიხდა მათი შეწუხება. ასე ვიდრე კარებთან, აბა, ვინ იყო გამკითხავი. მე მომიწია პარაშასთან დოგმა /პარაშა განავლით საგსე კასრია/ არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი იქ, როცა აზრზე მოვედი, ვიწვექი დერეფანში იატაკზე და ვარიას ჩაველო ჩემთვის ხელი და არ მაყოლებდა ზედამხედველს. ეგონა, ველარ მოგზრუნდებოდი, მაგრამ ცხოველი ვერ გაუძღლებს იმას, რასაც ადამიანი. ეს ამბავი საკნებში შეიტყვეს ჩვენმა ქალებმა და შიმშილობა გამოაცხადეს, მოითხოვდნენ პროკურორს, როცა პროკურორი მოვიდა, უთხრეს, თუ თქვენ არ გაქვთ ადგილი პატიმრებისათვის, მოდით, გაგვაგზავნეთ უკან, ჩვენ მშენებლობაზე ვართ გამოგზავნილები სპეციალობით და არ გაქვთ უფლება, ასეთ პირობებში გვამყოფოთო, ამან გაჭრა და კიბის ქვეშ მოგვცეს ბინა. ასე ვიყავით რამდენიმე დღე. გვითხრეს, რომ მეტი ციხე აღარ შეგვეხებოდა და როგორც იყო, ამოვისუნთქეთ შვებით, მაგრამ რაც წინ გველოდა, ვერც წარმოგვედგინა.

ჩამოვიდა ეტაპი და ჩვენც გავემგზავრეთ ჯუჯახგანისაკენ, რომელიც მდებარეობდა ჩრდილოეთ კახახსტანში. იქ იყო ძველად ინგლისელებისაგან მიტოვებული შახტები, საიდანაც ამოჰქონდათ სპილენძი და შენდებოდა ქარხნები და ქალაქები. მივდივართ მოტიტვლებულ სტეპებში, რომელიც, როგორც ზღვა, ლელავს ქარბუქისაგან. რამდენიმე დღის შემდეგ გაჩერდა მატარებელი, გადმოგვსხეს, გვითხრეს, უკვე მოვედითო. დაგვხვდა გულაგის ადმინისტრაცია. გავიხედეთ, არცერთი შენობა. ყველგან ყრია ხე-ტყე და სამშენებლო მასალა. როცა ვიკითხეთ,

13 ბარბარე (ვარია) ანდრეასოვა-კილურაძე (1911) – ინჟინერ შალვა კილურაძის მეუღლე. შალვა კილურაძე 1937 წელს დააპატიმრეს და მკვლელობის ბრალდებით დახვრიტეს, არქიტექტორი ბარბარე ანდრეასოვა კი შრომა-გასწორების კოლონიაში გადაასახლეს. ყაზახეთში 5 წელი გაატარა, დაბრუნების შემდეგ მუშაობდა არქიტექტორად. 1999 წელს გამოიცა მისი წიგნი - Этому преступлению нет срока давности.

Фиг. 1

Кузова вагонов, т. е. помещения для перевозимого груза или людей, бывают
зличны у разного типа вагонов, в зависимости от назначения их.



“სქოლიონის” ქონის მაქსიმალური ვაგონის ნახაზი

თარგმანი: მაქსიმალური ვაგონის სპეციფიკაცია, ენ. სივრცე, თანხი, რომელიც შესაძლებელია გამოიყენოს მხოლოდ ამ ადგილზე გასაადვილოდ. ამ სპეციფიკაციის საფუძველზე, იმის მიხედვით, თუ ჩინური ვაგონის გამოყენება.

სად უნდა ვიცხოვროთო, გვითხრეს, ააშენეთ და იცხოვრეთო. ერთი სიტყვით, არ ვიცოდით, რა მოგველოდა. მივდივართ და შორიდან ვუყურებთ შავ ზოლებს, ეს პატიმრები მოჰყავთ სამუშაოდ. გავიხედეთ, დავინახეთ ეკლიანი მავთულით შემოღობილი ზონა. ოთხივე კუთხით საყარაულო კოშკებია, ერთი სიტყვით, გაოგნებულები ვართ ახალი სანახაობით.

ვნახოთ, ჩვენს დანახვაზე გამოცვივდნენ ნახევრად-შიშველი ქალები, ისეთი შესახედავები, გეგონებოდა, ციხის ჯამბაზები არიანო. დაიწყო ჩვენი ორსართულიანი შემოკობა. აქაც ის სამყარო დაგვხვდა, რაც ციხეებში. ახლა კი შიშმა აგვიტანა. ბევრი სიარულის შემდეგ ბადრაგმა მიგვიყვანა ეკალშემოვლებულ ზონასთან, შემოგვხვდა ამ პუნქტის ადმინისტრაცია, ლაგერის უფროსი უოფილი პატიმარი ქალი და მისი თანამშრომელი აღმზრდელი დარგში, ისიც უოფილი პატიმარი დამნაშავეთა სამყაროდან, რომელზეც ჰქონდათ მინდობილი ჩვენი გამოსწორება. ზონაში იდგა ერთადერთი ხის ბარაკი, დანარჩენი იყო სულ „პალატები“ ამ 40 გრადუსიან ყინვაში. ეს ბარაკი ჰქონდათ დაკავებული ამ ბანაკის ბატონ-პატრონებს /უიგანებს/¹⁴ და როცა ჩვენ მიგვიყვანეს, ეს ბარაკი ჩვენთვის დააცლევინეს, რაზეც განრისხებული იყვნენ. როგორც წესი, ახალ ჩამოყვანილ პატიმრებს სანიტარული დამუშავება - დაბანის პროცედურა უტარდებოდათ

¹⁴ უიგანი (რუს. Жиган) – რუსული კრიმინალური სამყაროს სლენგი, ძირითადად, გამოიყენებოდა კანონიერ ქურდების, რეციდივისტების და ა.შ. აღსანიშნად.

და ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ უნდა გავსულიყავით „ვახტასთან“ წასასვლელად. მე მგზავრობის მერე ძალიან ცუდად გავხდი და დამტოვეს რამდენიმე ქალთან ერთად. როცა ჩვენები წავიდნენ, არ გასულა ორი წუთიც და დაიწყო ჩვენი ფანჯრების ლაწა-ლუწი ნაჯახებით და ისმოდა „ვედროების“ საშინელი ბრახუნის, ჩვენ კარები ჩაკეტილი გვქონდა. ჩვენი ყვირილი რომ არ გაეგო დამცველ ნაწილს, გვემუქრებოდნენ, ერთიანად ამოგწყვეტო. ჩვენდა საბედნიეროდ, ბადრაგი უკან დაბრუნდა და ის ქალები ყველა უკან დააბრუნეს. ასე გადავრჩით ამოწყვეტას, მაგრამ მე ამივარდა ისტერიული ტირილი და მას მერე გარეთ ვერ გამოვდიოდი თუ არ მახლდნენ ჩვენი ქალები. ღამე კუთხეში დამაწვინეს და გარშემო ჩვენები იწვნენ, რომ მე როგორმე დამეძინა. მეორე დღეს გამოგვეყვეს სამი ქალი: ორი არჩიტექტორი და ერთი ეკონომისტი, ორივე ხანშიშესულები იყვნენ. არჩიტექტორი იყო ბრესლავ უდანოვიჩის ცოლი, რომელიც ინგლისში იყო ელჩად. ცოლი ძალიან დაახლოებული იყო ლენინის ოჯახთან, ასევე ლენინის დასთან, მეფის დროს ციმბირში იყო გადასახლებაში. მანქანებით წაგვიყვანეს, რადგან რკინიგზის გაყვანა ჯერ არ იყო დასრულებული. მიგვიყვანეს მალაროებში, სადაც იყო ჯუჯაკაზგანის მშენებლობის მთავარი სამმართველო.

აქიყოერთიაგურისბარაკისმაგვარიშენობა,რომელშიცმოთავსებულიიყოსამმართველოსთვის განყოფილებები. აქ ადგილობრივებიც და ჩამოსულებიც მიწურებში ცხოვრობდნენ, პატარ-პატარა ბეტონის ქოხებში კი - ჩამოსულები, რომლებსაც „ვოლნონაიომნიკებს“ უწოდებდნენ. როცა ჩვენ მიგვიყვანეს, არ იცოდნენ, სად წავეყვანეთ, რადგან იყო ერთი მამაკაცების ზონა დამნაშავეთა სამყაროდან და გამოყოფილი პატარა ზონა პოლიტიკური პატიმრებისათვის, ისიც მამაკაცების. რადგან ჩვენ პოლიტიკურ პატიმრებთან საერთო არ გვქონდა, გადაწყვიტეს, ისევ მეორე ზონაში მოვეთავსებინეთ. ერთ კუთხეში ამოთხარეს მიწური დააფარეს ფიცრები, დააყარეს მიწა და უკვე მზად იყო ჩვენი საცხოვრებელი ბინა. დაახლოებით 15 კვადრატული მეტრისა და ირგვლივ ფიცრის ნარებით, შუაზე რკინის ღუმელი. ვიფიქრე, გათავდა ჩვენი წვალუბა-მეთქი, მაგრამ სულ სხვას ფიქრობდა ყოველივეში გამოცდილი ნადეჟდა ვასილევნა, ასე ერქვა მეორე არჩიტექტორს. მას ძალზე შეშინებია, რომ მე ასე ახალგაზრდა ასეთ გარემოცვაში აღმოვჩნდი და დედაშვილურად მითხრა, ტანზე ისე ჩაიცვი, რომ მოხუცებულს ჰგავდეთ და თავზე თავსაფარი დამახურა. ასე გავატარეთ სამი დღე.

ლაგერის ბინადრებმა გაიგეს, რომ მოიყვანეს სამი მოხუცებული ინჟინერი ქალი, რომლებიც მიწურში არიან დაბინავებული. მიგვიჩინეს ერთი მოხუცებული კაცი მომსახურებისათვის, რომელსაც მოჰქონდა წყალი, ანთებდა ცეცხლს და სასადილოდან ჩვენთვის მოჰქონდა საჭმელი. ღამე ჩვენს მიწურში ეძინა. ეს იყო ციმბირელი, ძალიან კეთილი მოხუცი, რომელიც სპეკულაციის ბრალდებით იყო გასამართლებული თავისივე მოწეული პურის მარცვლისათვის. მოვიდა ჩვენი სამსახურში მისვლის დროც და აღმოჩნდა, რომ ამ სამი მოხუცებულიდან ერთი თურმე ახალგაზრდა ყოფილა. მიგვიყვანეს შახტების სამმართველოში და ჩაგვაბარეს იქ. ჩვენ ლაგერისგან

ვიყავით მიჭირავებული ინჟ. ტექნიკური პერსონალი და ჩვენს ხელფასს იღებდა ლაგერი ჩვენი შენახვისათვის ლაგერი კი გვაძლევდა თვეში, როგორც პრემიას, 15 მანეთს საჭიროებისათვის.

გაგვანაწილეს საპროექტოში როგორც არქიტექტორები. სალამოს დაბრუნებისას, შევედით თუ არა მიწურში, დაიწყო ვიზიტები ჩვენს გასაცნობად. მოხუცმა გაგვაფრთხილა, რომ ის გააფრთხილეს, კარი არ დაეკეტა. ვიჯექით მთელი ღამე და ვისმენდით იმათ ლაქლაქს. ერთი პარტია წავიდოდა, მეორე მოვიდოდა. როგორც გათენდა, წავედით სამმართველოში. ვთხოვე მთავარ ინჟინერს მიღება. მიმიღო. მე ავუსხენი, რომ ამ პირობებში მუშაობას ვერ შევძლებდი, ვუთხარი, რომ მთელი ღამე არ მიძინია და ყველაფერი მოგუჟევი. ვუთხარი, რომ მე ლაგერში არ წავალ და აქ დავრჩები-მეთქი. სალამოს გამომიძახა ლაგერის სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა და მითხრა, შეგიძლიათ წახვიდეთ, თქვენი უსაფრთხოება უზრუნველყოფილიაო. ჩვენ მოგვცეს თავისუფალი მსვლელობის საბუთი, გვქონდა ბანაკიდან სამსახურში და უკანვე ბანაკში უკანვლივ დაბრუნების უფლება. სხვაგან არსად წასვლის უფლება არ გვქონდა და როდესაც მივედით ბანაკში, ვნახეთ, რომ ჩვენი მიწური ეკლიანი მავთულით იყო გამოყოფილი, გამოსასვლელი პირდაპირ გარეთ დაეტოვებინათ.

განკარგულება იყო გაცემული, რომ ვინც არ უნდა მიახლოვებოდა ჩვენს მიწურს, ეს იქნებოდა თავისუფალი თუ პატიმარი, ესროდნენ. ასე გადავრჩით ერთ უბედურებას. ცოტა ხნის შემდეგ შემოგვემატა სხვა ბინადარნი. ესენი იყვნენ გამოჩენილი ბაქტერიოლოგის ელიავას¹⁵ შვილი, სპეციალობით გეოლოგი, მარიკა ხობუა - ექთანი, უნივერსიტეტის პარტკომის ცოლი - ლილი ჩიქოვანი - სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ქმრის გამო დაპატიმრებული, სავა კასიმენკო - ზარხინა რაიკომის მდივნის ცოლი, სპეციალობით ელექტროინჟინერი. ყველა ვმუშაობდით პროფესიით. ვაპროექტებდით ახალ ქალაქს - ჯეზკაზგანს.

შემდეგში ყველა სპეციალისტ ქალს, რომლებიც ჩამოვედით, სამმართველოში მოგვიყარეს თავი, გარდა რამდენიმესი, რომლებიც დატოვებულნი იყვნენ გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობაზე.

მძვინვარებდა ომი, ჩვენი კომბინატი გასამხედროებული იყო, რადგან აქ სპილენძის მოპოვება მიმდინარეობდა. ჩვენი მდგომარეობაც ცოტა გაუმჯობესდა. ვიღებდი სახლიდან წერილებს, რომლებსაც ადრე მოკლებული ვიყავი. პოტამში¹⁶ ერთხელ ყველა მიგვიწვიეს კრებაზე და მმართველმა გამოგვიცხადა, იცოდეთ, თქვენ ჩვენთვის პატიმრები არ ხართ, თქვენ ხართ სპეციალისტები, რომელთა წინადადებები ჩვენთვის კანონია, თქვენ ჩვენთან ზიხართ შტატში და აქ მომუშავე თანამშრომლებთან ხართ გათანაბრებული უფლებებითო. თქვენი გულაგი ჩვენ არ

15 ვიორგი ელიავა (1892-1937) – დიდი ქართველი მეცნიერი, ბაქტერიოლოგი. ბაქტერიოფაგის ინსტიტუტს, რომელიც ვიორგი ელიავამ დააარსა, დღეს მისი სახელი ეწოდება. გასამართლეს ჯაშუშობის ბრალდებით და დახვრიტეს 1937 წლის 9 ივლისს.
12 ივლისის დახვრიტეს ვიორგი ელიავას მეუღლე – ამალია ვოლ-ლევიცკაია (ლევიცკა), ზოლო მათი ერთადერთი ქალიშვილი ცენტრალურ აზიაში გადაასახლეს.

16 პოტამა (რუს. Потьма) – დაბა მორდვეთში (Мордовия).

გვეხება, მათ თავიანთი წესები შეასრულონ, ჩვენსაში ჩარევის უფლება არ აქვთო.

ამან მორალურად გაგმართა წელში, თავი ადამიანებად ვიგრძენით. ჩვენს ხელფასს, როგორც ვთქვი, იღებდა ლაგერი, მაგრამ პრემიები, რომელიც მოდიოდა ჩვენს სახელზე, ირიცხებოდა ჩვენს პირად ანგარიშზე, ასე რომ, პრემიას ლაგერს არ აძლევდნენ. ჩვენ არ გვჭონდა უფლება, სადმე გვესადილა ან რაიმე გვეყიდა, მაგრამ კომბინატის ხელმძღვანელობამ მიმართა ხრიკებს. მოგვცა ტალონები სასადილოში, როგორც თავისუფალ სპეციალისტებს და არალეგალურად ვსადილობდით, ჩვენი პრემიიდან ნაწილს არაოფიციალურად გვაძლევდნენ ხელზე, რადგან ჩვენ არ გვჭონდა მაღაზიებში შესვლის უფლება. ჩვენი თავისუფალი თანამშრომლები არ დაიხარებდნენ ხოლმე, რომ ჩვენთვის ეყიდათ, რასაც ვთხოვდით, ასე რომ, თითქმის აეწყო ცხოვრება. ის, რომ მთელი დღე სამუშაოზე ვიყავით და არ ვუყურებდით იმ უხნეობას, რაც ბანაკში სუფევდა, ადამიანად გვაგრძნობინებდა თავს. როდესაც ჩვენი კონტინგენტი გაიზარდა, დაგვემატნენ ექიმები, ექთნები, გადაგვიყვანეს ერთ კაპიტალურ ბარაკში, კაცების ზონაში, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობდა ქალების ზონა. ჩვენი ბანაკის ახლოს იყო მოთავსებული ლაზარეთი 500

კაცზე. უკვე ჩვენს მიმართ შეიცვალა ამ კონტინგენტის დამოკიდებულება, უფრო მორიდებით და პატივისცემით გვიყურებდნენ. ლაზარეთში მუშაობდნენ პატიმარი ექიმები, უმეტესობა ცოლები, მაგრამ იყვნენ პოლიტიკური პატიმრებიც. მთავარი ჭირურგი ქალი იყო ნინა აფანასევა, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა საფრანგეთში და მუშაობდა კრემლის საავადმყოფოში. 25 წელი ჰქონდა მისჯილი შპიონაჟისთვის. იყვნენ აზერბაიჯანელი პროფესორები, უსინბეკოვი, და დ. ზეინალოვი - პედიატრები. იმათაც განათლება მიღებული ჰქონდათ საფრანგეთში. ერთი სიტყვით, იყვნენ ყველა სპეციალობის ექიმები. ყველა თავისუფალ მოსამსახურეს უნდოდა ჩვენ ლაზარეთში მკურნალობა.

მიდიოდა დრო, მძვინვარებდა ომი, მაგრამ ჩვენთან ომის სიმწარე არ იგრძნობოდა, რადგან მომარაგება გადაყვანილი იყო | კატეგორიაზე. საერთო კონტინგენტი ლაგერში იცვლებოდა 3 წლის



ლიბიკო ვაქსანოქაძე (კამოს ქ. #84)

ფოქო ანჰო კოქაძე

მერე და გადაჰყავდათ ერთი ადგილიდან მეორეზე, ეს წესი ჩვენზე არ ვრცელდებოდა. მე საშუალება მქონდა, შევხვედროდი ახალ კონტინგენტს და გამოემკითხა ყველაფერი, რაც მაინტერესებდა. მე ვეძებდი, იქნებ ჩემი ქმრისათვის მიმეგნო. იმედი მქონდა, იქნებ სადმე გამეგო მისი ამბავი. არ მჯეროდა მისი მოსპობა. ვხვდებოდი პატიმრებს შორეული ლაგერებიდან, "მედვეჟაია გარა", "ნორილსკი", "სახალინი" და სხვადასხვა. მეუბნებოდნენ, არის დახურული ლაგერები, რომლებშიც არ ვიცით, ვინ იმყოფებიანო. ჩვენ მოგვაქვს პროდუქტი, მერე იმათ მოიყვანენ და გადაზიდვენო, ასე რომ, იმათთან შეხვედრა არასდროს ხდებოდა. ისე რომ, ვერაფერი გავიგე. გავიდა დრო და ფეხის გულზე გამომივიდა წყლულები. ექიმებმა დაასკვნეს "ავიტამინოზი". ჩემი სიარული არ შეიძლებოდა, რადგან მტვერი მოქმედებდა და საშინელი ტკივილები და დაჩირქება მქონდა. დამაწვინეს ლაზარეთში სამკურნალოდ. ჩვენი სანიტარული განყოფილების გამგე იყო ყოფილი პატიმარი ქალი, რომელიც ქმრის გამო იყო რეპრესირებული. მას მცირე სასჯელი ჰქონდა ჩვენთან შედარებით, 3 წელი, ჩვენ კი 8 წელი. ის იყო შორეულ აღმოსავლეთში. ის იყო ძალიან უურადლებით ჩემ მიმართ. მომათავსა ერთ პატარა პალატაში, მარტო. თავისუფალ დროს ყოველთვის ჩვენი ქალები ჩემთან იყრიდნენ თავს. გადიოდა თვეები და ჭრილობა არ ხორცდებოდა. ერთხელ ვიღაც ახალგაზრდა ქალმა ჩამოიარა ჩვენი ლაზარეთი და დაათვალიერა. მითხრეს, ეს არის პრაქტიკანტი ლენინგრადიდან, დაამთავრა იურიდიული და აქ გამოაგზავნეს პრაქტიკაზეო.

გამოდგა, რომ ეს იყო გოგლიძის¹⁷ ძმისწული. იმ გოგლიძის, რომელიც ბერიას დროს იყო შინსახკომში. მისი ძმა ლენინგრადში მუშაობდა თურმე და გადმოუყვანიათ კახახსტანის გულაგების მომაგრების უფროსად და იმის ქალიშვილი მოგვევლინა პრაქტიკაზე. ქართული არ იცოდა, დედა ჰყავდა ებრაელი. როდესაც ჩემი პალატა დაათვალიერა, უკითხავს, ეს ქალი ვინ არის, არ ჰგავს სხვა ქალებსო. უთხრეს, არქიტექტორია, კომბინატში მუშაობსო, ქართველი, თბილისიდან, დაპატიმრებულია როგორც ცოლი. ამჟამად მისი სიარული არ შეიძლება ავიტამინოზი აქვს და ესაჭიროება დამატებითი ვიტამინებიო, ერთი სიტყვით, დაუხატეს ჩემი მდგომარეობა. ვნახოთ, მეორე დღეს მომიტანეს მთელი პაკეტით ხილი და მითხრეს, ეს იმ პრაქტიკანტმა გადმოგცათო. შემდეგ თვითონ მესტუმრა და მკითხა, რითი დამხმარებოდა, მე მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, არაფერი მჭირდება, ყველაფერი მაქვს-მეთქი. როგორ თუ ყველაფერი გაქვს, თქვენ კვება გჭირდებათო. შემდეგ მოსვლაზე მითხრა, მე მინდოდა თქვენი მოწყობა უფროსი ოფიცრების სასადილოში, მაგრამ უარი მითხრესო და საშინლად იყო გაბრაზებული, მაგათ რად უნდათ პატიოსანი ხალხი, მაგათ ქურდები უნდა ემსახურონო. მოვიდა ჩვენი სამნაწილის (სამეურნეო ნაწილის) უფროსი, მითხრა, იცი, რა მოვიფიქრე, "ლიზოჩკა", სანამ ფეხი მოგირჩება

¹⁷ სერგო გოგლიძე (1901-1953) – საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი 1937 წლის 1 იანვრიდან – 1938 წლის 14 ნოემბრამდე. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული სამეურნეო წევრი, საქართველოში განხორციელებული „დიდი ტერორის“ ყველაზე აქტიური მონაწილე. სტალინის სიკვდილის შემდეგ დაპატიმრეს და დახვრიტეს 1953 წლის 23 დეკემბერს. იმავე დღეს დახვრიტეს ლავრენტი ბერია.



լի ցույց տալով իր զգացմունքները,
զամռանը հանդիպելով իր զգացողին:

“Դիտար թանկագին լեզուով
մեզին իմանալով անհասկանալի
հարցերով ու ինչ որ
թանկագին...”

Լուսինա

Դիտար մեզին իմանալով իր զգացողին



լի ցույց տալով իր զգացմունքները,
Լուսինա իմանալով “Ինչպե՞ս” զգացողին:

და კომბინატში წახვალ, იმუშავე ჩვენი საწყობის გამგე დიასახლისადო. რა თქმა უნდა, თუ დაგვრთავენ ამის ნებასო და ეს საქმე მიიხდეს იმ ჩემს თანამემამულეს, პრაქტიკანტს. მან ეს საქმე მოაგვარა და ასე აღმოვჩინდი "სესტრა ხახიაიკად", როგორც ჩემს თანამდებობას უწოდებდნენ.

ჩემს მოვალეობას შეადგენდა თეთრეულისა და დამატებითი საკვების განაწილება ავადმყოფებისათვის. აგრეთვე თვალყურის მიდევნება კერძების გაცემის დროს. მე არ ვიცი, სხვაგან როგორ იყო ავადმყოფების კვება, ცუდი იყო თუ კარგი, ის ავადმყოფამდე აღწევდა. მე მათ საუზმეს, სადილს და ვახშამს ვაკონტროლებდი და ყოველთვის ვადევნებდი თვალყურს, რომ ავადმყოფებს თავიანთი ულუფა მიეღოთ, რაც, რა თქმა უნდა, არ აწყობდა მომსახურე პერსონალს, რომლებიც დამნაშავეთა სამყაროდან იყვნენ, მაგრამ ლაგერის ბინადართაგან დიდ პატივისცემას და მზრუნველობას ვხედავდი. ჩემთვის ავადმყოფებში არ არსებობდა არც ქურდი და არც ყაჩაღი... უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ყველა მეცოდებოდა.

იყო 500 კაციანი 11 პალატა. იყო საშინელი ქურდობა. თეთრეული აღარ დარჩა. ვთხოვე უფროსს, მოეცათ ნება, ამეყვანა სანიტრები ჩემი შეხედულებით. მივიღე ამის ნება და ავიყვანე სანიტრებად გაქანებული ქურდები, ჩავაბარე პალატები თეთრეულით და ვუთხარი, აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვლით-მეთქი. ეს ქალები ქალთა ზონიდან იყვნენ. ამ დღიდან ქურდობა შეწყდა, თუ რომელიმეს მოჰპარავდნენ თეთრეულს, ის ან იპოვიდა ქურდს ან სხვას მოჰპარავდა, რომ დანაკლისი არ ჰქონოდა. ეს ქალები არ გადიოდნენ სამუშაოდ, მათ ვერაფერს უხერხებდნენ. ჩემმა უფროსმა ექიმმა მითხრა, ლაგერის უფროსი განცვიფრებულია, ვინ არის ის ქალი, ეს ქურდები რომ აამუშავაო. სხვათა შორის, ჩემი სიტყვა მათთვის კანონი იყო. იტყოდნენ, "ტიოტია ლიხიკომ" რომ გაგვარტყას, ხელს არ გავანძრევთ ალბათო. ღირსები ვართ ალბათ, ის სამართლიანიო. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ იმაში, რომ ჩემთან როდესაც შემოვიდოდნენ თუ საშუალება ექნებოდათ, რაიმე არ გაეყოლებინათ ხელს.

ამასობაში მე ფეხი მომიჩრჩა, მაგრამ საჭეები ჩამოგვართვეს, მე რომ კომბინატში არ წავსულიყავი. არადა, ლაგერს ჩემი სამუშაოზე გამოუცხადებლობის უფლება არ ჰქონდა, რადგან მე სპეცნარიადით ვიყავი მოსკოვის გულაგიდან გაგზავნილი კომბინატში.

რამდენიმე დღის წინ მოკლეს სასადილოს გამგე, რომელმაც შეცვალა ყოფილი სასადილოს გამგე რომელიც სამუშაოზე უარს ამბობდა და იქდა ლაგერში. ერთი სიტყვით, უნდა მეღონა რამე. დავწერე განცხადება და გავუგზავნე მთავარ ინჟინერს და ჩემს სახელოსნოს გამგეს, რომ მე უკვე ჯანმრთელად ვარ და, როგორც იქნა, დავალწიე თავი ბანაკში მუშაობას-მეთქი. დავუბრუნდი არქიტექტორულ სახელოსნოს. ვმუშაობდი უფროს არქიტექტორად. დაპროექტების გარდა, მიხდებოდა ქალაქის მშენებლობაზე ტექნიკური ხედამხედველობაც. ასე დაიწყო ჩემი მოღვაწეობა ქალაქ ჯეზკაზგანის მშენებლობაზე კახახსტანში. ქალაქის მშენებლობა ახალი დაწყებული იყო,

გავაკეთეთ საძირკვლების სამუშაო ნახაზები, დაიწყო მათი ჩაყრა.. პატიმარი რომ ვიყავი, მხოლოდ ზონაში მარხილით დაბრუნებისას ვგრძნობდი...

გადიოდა წლები... ერთ დღეს მუცლის არეში საშინელი ტკივილები დამეწყო. სასწრაფოდ მიმიყვანეს ლაზარეთში, იქ ექიმები და ჭირურგები ჩვენი „ცოლები“ იყვნენ. როგორც გამსინჯეს, იმ წამსვე დამაწვინეს საოპერაციო მაგიდაზე და გამიკეთეს კისტის ოპერაცია. ოთხი დღე ვიყავი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. ჩემი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ. მაგრამ ვამბობდი, არ მოგვკვდები, ნუ გეშინიათ-მეთქი. ყველა შეწუხებული იყო, რადგან მე მალე უნდა განვთავისუფლებულიყავი. ყველას ვენანებოდი. მაგრამ თურმე თუ არ გიწერია სიკვდილი, ყველაფერს გაუძლებს ადამიანი. გამოვმჯობინდი და დავიწყე მუშაობა. მომიწია განთავისუფლების დღემაც. დამიძახეს კომბინატში და მითხრეს: შენ ამდენი ამაგი გაქვს, ამდენი მადლობა გამოცხადებული და ასე რომ მიდიხარ, ქალაქში ცხოვრების უფლებას არ მოგცემენო, მოიცადე ცოტა, ჩვენ გავაგზავნით შენს დახასიათებას და შეხლდევს მოგიხსნითო. მეც ვიფიქრე, ამდენი ვიჯექი და ცოტას მოვიციდი-მეთქი. დავწერე განცხადება და მიმიღეს არქიტექტორად. როგორც თავისუფალი, თვეში 3000 მან. ხელფასი. ექვსი თვის მერე მოვიდა პასუხი, რომ მე მაქვს უფლება ყველა ქალაქში ცხოვრების, მაგრამ ახლა სამუშაოდან აღარ მათავისუფლებენ, ცოტაც იმუშავე, სანამ კადრებს მივიღებთო.

ჩვენმა ექიმებმა მითხრეს, როგორც ახალი ნაოპერაციევი, გავტარებულიყავი საექიმო კომისიაში და მეც მომცეს II ჯგუფის ინვალიდობა. ახლა კანონით ჩემი დაკავება აღარ შეეძლოთ. დამიბარეს განსაკუთრებულ განყოფილებაში და მითხრეს, ყველა პირობას შეგიქმნით, ოღონდ დარჩი, ჩვენ კადრები გვჭირდებაო. იცოდე, წახვალ და გული დაგწყდება, რომ შენ ყველასათვის უცხო იქნები და მოიგონებ ჩემს სიტყვებსო. მე ვუთხარი, ისიც კმარა რაც ვნახე და არ მინდა, ჩემმა შვილმაც ნახოს-მეთქი. შენს შვილს მოსკოვში გავაგზავნით სასწავლებლად და შენ ბინას მოგცემთო. მაგრამ რომ ნახეს, ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო, გამომიშვეს. ჩემთან ერთად წამოვიდა ექთანი მარიკა ხობუა. მისი ქმარი უნივერსიტეტის პარტორგი იყო და ისიც დახვრიტეს.

წამოვედით მატარებლით „შორეული აღმოსავლეთი მოსკოვი“. ომი ახალი დამთავრებული იყო. მთელი შემადგენლობა სამხედროებით იყო საგსე. მე ვუთხარი მარიკას, არ დაგცდეს, რომ პატიმრები ვიყავით-მეთქი, მართლაც სულ გვეკითხებოდნენ, ქართველი ქალები ამ სიშორეზე რამ წამოგიყვანათო. მე ვუთხარი, ჩვენ ინსტიტუტიდან მივლინებულები ვიყავით მშენებლობაზე, გაგვითავდა დრო და ახლა ვბრუნდებით სახლში-მეთქი. ასე ჩამოვალწიეთ მოსკოვამდე.

მოსკოვში მივედით ჩემ დისშვილთან, სერიოჟასთან, ის მაშინ პირველ ცოლთან ცხოვრობდა. ძალიან კარგად მიმიღეს. მეორე დღეს გადამიყვებულთან ვიყიდეთ ბილეთები სოჭამდე, რადგან თბილისამდე ბილეთები არ იყო. ჩამოვედით სოჭში, იქ თბილისამდე ვიყიდეთ ბილეთები, მაგრამ მატარებელში დაჯდომა შეუძლებელი იყო, ჩამოდგა თბილისის მატარებელი, თითქმის ყველა

ქართველი იყო. დაგვინახეს, რომ კონდუქტორი არ გვიშვებდა, უთხრეს, თუ ეს ქალები არ აუშვით, მატარებლიდან გადაგყრიტო. შეეშინდათ, ეს ქართველები მართლა გადაგყრიანო და, როგორც იყო, ავედით ვაგონში. მე მარიკა გავაფრთხილე, არ გაგიწყრეს ღმერთი და არ თქვა, რომ გადასახლებიდან მოვდივართ-მეთქი.

სხვათა შორის, ჩვენ ყველაფერი გვქონდა, ფულიც და ბარგიც. რაც კომბინატში პრემიები მერგებოდა, ხელზე მოცემის უფლება არ ჰქონდათ და ჩემს პირად ანგარიშზე ირიცხებოდა. ასე რომ, დამიგროვდა 14 ათასი მანეთი, მაშინ 1946 წ. ეს კარგი ფული იყო, თან კარგი მოზრდილი ჩემოდანი სხვადასხვა ნაჭრით, რომელსაც კომბინატში ვიღებდით სიებით. ასე რომ, საცოდავებად არ ვგრძნობდით თავს, მაგრამ მარიკას იქ თავისი შვილის ამხანაგი სტუდენტი გამოეცხადა და დაპირება დაარღვია, მოუყვა, რომ გადასახლებიდან მოვდიოდით. მე გამიკვირდა, რომ ყველა ადგილს მითმობდა, საჭმელს გვთავაზობდნენ. ვუთხარი, შენ ალბათ ენა არ გააჩერე-მეთქი. რა ვქნა, გოგო, ვერ დაფვარე, ტირილი მინდოდაო. როგორც იქნა, ჩავალწიეთ თბილისამდე.

თბილისი ისე დამხვდა, თითქოს გუშინ წავედი აქედან, არავითარი გრძნობა არც აღტაცების, არც სიახლის განცდის არ მქონია. ავიყვანე მუშა. მარიკამ მთხოვა, იცი, ლიზიკო, არ ვიცი, როგორ დამხვდებიან და მოდი, მიმყევი სახლშიო. ის გოგოლის ქუჩაზე მიდიოდა, თავის მულთან, მისი შვილები იქ იყვნენ. მეც წაყევი. შევედი ეზოში, ატყდა ერთი ვაიუშველებელი მისი შეხვედრა უკვე დავაჟაკებულ ბიჭებთან. მე ვტაცე ჩემოდანს ხელი და გავეცალე იქაურობას.

ჩემი ჩემოდანი მუშას მიჰქონდა. მაშინ ხომ ტაქსები არ იყო. მე ქსენიასთან მივდიოდი პლუხანოვზე, სადგური ახლოს იყო და ლამარაც იქ ცხოვრობდა. შევედი ეზოში, მივადექი ქსენიას კარებს. არავითარი განცდა, ისე ვიყავი გამოთიშული. დავაკაკუნე კარზე, კარი გამიღო გოგონამ, რომ გაიარა, მივხვდი, ის ლამარა იყო. მე ხომ ის 9 წელი არ მენახა. დავტოვე ათი წლის და ამ წლებში ჩამოყალიბდა ქალიშვილად. რომ მობრუნდა, ვუთხარი, შენ ლამარა არ ხარ-მეთქი, კი, ბატონოო, მე ვუთხარი, გოგო, მე ვერ გიცანი, შენ დედა რატომ ვერ იცანი-მეთქი. „მე შენ სხვანაირი მახსოვხარო“ მითხრა, „უფრო მაღალი და სხვანაირი“, ამ დროს იმ მუშა, რომელმაც ჩემოდანი მომატანინა, ალბათ ვერ გაუძლო ჩვენს შეხვედრას და მიატოვა ჩემოდანი, არც ფული უთხოვია, ისე წავიდა. ერთი სიტყვით, ამ დღეს გავიგე ყველაფერი, რაც ჩემს თავზე დატრიალებულა. დედაჩემი გარდაიცვალა, ჩემი დედამთილი გარდაიცვალა, ქსენიას ქალიშვილები ნელი და რიტა კატასტროფაში დაიღუპნენ. ერთი სიტყვით, სასიხარულო არაფერი დამხვედრია. გამოირკვა, რომ ბინა, რომელიც ლამარას მისცეს, საცხოვრებლად უვარგისი იყო და ბავშვი ქსენიასთან ცხოვრობდა. ასე რომ, მე არსად ცხოვრება არ შემეძლო.

დროებით ტარასისთან გავჩერდი საცხოვრებლად, ბავშვს რომ დავლაპარაკებოდი მარტო, ამის საშუალებაც არ მქონდა და გვიხდებოდა ალექსანდროვის ან ვერის ბაღში წასვლა, რათა დავმდგარიყავით და იქ გვესაუბრა. შევატყვე, რაც ყველაზე გულსაკლავი იყო, ბავშვი სრულად

გადამჩვეოდა. ის გრძნობდა რომ მე დედა ვიყავი და უნდა პატივი ეცა, მაგრამ სიყვარული სრულიად არ ჰქონდა. მე ეს არ გამკვირვებია და არც ვადანაშაულებდი ბავშვს. აბა, რა სიყვარული უნდა დარჩენოდა 10 წლის ბავშვს, რომელიც 9 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა უჩემოდ.

ვიგრძენი უსაშველო მარტოობა, ყველა თავისთვის ცხოვრობდა, განსაკუთრებით, გადატანილი ომის და გაჭირვების შემდეგ. სამუშაოზე მოწყობაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი. წავედი რუსთავში. მაშინ რუსთავის მშენებლობა იწყებოდა. იქაც ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა. ვინანე კიდევ ჩამოსვლა, იქ მთხოვდნენ დავრჩენილიყავი, მპირდებოდნენ ყოველგვარი პირობების შექმნას, მაგრამ ამაზე ფიქრი უკვე გვიანი იყო. მხოლოდ ერთი რამ იყო ნათელი ჩემთვის, რომ მე არავისთვის არაფერს წარმოვადგენდი. იმ ზომამდე მივედი, რომ თავის მოკვლაც კი ვიფიქრე, მაგრამ გონებამ გაიმარჯვა. მე ჩემი შვილისთვის საჭირო ვიყავი, მას ვუყვარდი თუ არა და გადავწყვიტე, სადმე რაიონში წასვლა და იქ დამეწყო მუშაობა.

აქ ჩემმა ძმამ ლადიკომ მითხრა, რადგან რაიონში გინდა წასვლა, „ჩაიგრუზიის“ ხაზით წადიო. ის მაშინ იქ მუშაობდა საფინანსო განყოფილების გამგედ და მისი ბევრი ნაცნობ-მეგობარი იყო რაიონში. ასე გამოვიცვალე სპეციალობა და გავხდი სამუშაოთა მწარმოებელი. ჯერ I ჩ/ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა, მერე ჩამაბარეს II ფაბრიკა და ახლად დაწყებული ჩაის გაშენება, ტექნიკურ ზედამხედველად.

სამსახურის საქმეს რომ მოვრჩი, დავიწყე ზრუნვა ლამარას მოწყობაზე. ის უკვე ირიცხებოდა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის I კურსზე, მოსაგვარებელი იყო ბინის საკითხი, სხვათა შორის, ჩემი თბილისში ყოფნის დროს ლამარას ასტივდა თვალეები, ექიმებმა დაასკვნეს, რომ მას ჰქონდა თვალეების ანთება და სჭირდებოდა გაძლიერებული კვება. იყო მაშინ თვალის სნეულების პროფესორი სიხარულიძე, მან მითხრა, ამას ჩვენებურად „საყმაწვილო“ ჰქვიაო, მაშინვე მოვძებნე „პაჭკორია“ რომელიც ამზადებდა საყმაწვილო წამალს. მისმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო, ანთება ჩაქრა. 4 წლის განმავლობაში ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე იღებდა მის წამალს, ანთება ჩაუქრო, მაგრამ ინსტიტუტში არქიტექტურული ფაკულტეტიდან მოუხდა სამშენებლოზე გადასვლა...

ბოლო გვერდი ამოხაულია და ლიონიოს ნაწერი აღარ იხილება.

ლიონიო აოხაძე 1907 - 1998



Բնակչության և տնտեսական կյանքի և զարգացում



Բնակչության, տնտեսական և սոցիալական

(ბერიასთან დიალოგი) აქ დამთავრდა ჩვენი ნორმალური ცხოვრებაც... ბოლო წუთამდე არ სჯეროდა თუ დაიჭერდნენ: ჭვეყანა ჩალით კი არაა დახურულიო, სულ ამას ამბობდა. მეორე დღესვე წაიყვანეს და მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგე. ბინა დალუქეს, მერე მეც დამიჭირეს როგორც **“член семьи врага народа”** ჩემი შვილი კი ბინიდან გამოასახლეს და დედასთან ერთად სადღაც სარდაფში შეასახლეს, სხვა ოჯახთან ერთად. აღარავინ ხმას არ მცემდა, ქუჩაში რომ დამინახავდნენ, პირს მარიდებდნენ, ჩემი ფეხის ხმაზე ფარდებს ჩამოაფარებდნენ ხოლმე. ოი, ღმერთო, ამაზე უფრო საშინელება არაფერია. ასე მეგონა, სიკვდილს ვუყურებდი თვალებში, მაგრამ არ ვეგუებოდი, თავს არ ვაძლევდი იმის უფლებას, ცრემლი მომრეოდა.

31 აგვისტოს ანდრო წაიყვანეს. 17 ნოემბერს კი მე დამაპატიმრეს. წამიყვანეს ორთაჭალის ციხეში, გაოცებული დავრჩი. თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი, ანდროს მეგობრის ცოლები, დები იყვნენ. ვერ წარმოიდგენთ, იქ რა საშინელებები ხდებოდა. სცემდნენ, ალილავენდნენ იმ ქალებს. ჩემთან ერთად იყვნენ ლია ელიავას, ლანა დოლობერიძის, ნათელა ურუშაძის დედები. ლანას დედა მთელი საღი წელი ჩემს გვერდით იწვა „ნარზე“ ციხეში.

ერთი რაიკომის მდივანი იყო, ვალია კველიშვილი. როდესაც დაიჭირეს, ფეხმძიმედ იყო თურმე. ცემისგან 3 თვის მუცელი მოეშალა. აბორტი არ გაუკეთეს და ნაყოფი მუცელში დაულპა, საცოდავი იქვე გარდაიცვალა. ჩვენთან იყო ბუდუ მდივანის ქალიშვილიც და ყოფილი განათლების მინისტრის, გეგენავას ცოლიც. გეგენავას ცოლს 3 თვის ბავშვი წაართვეს და უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარეს. საცოდავს, რძით სავსე ძუძუებს სათითაოდ ვწოვდით ქალები. მერე დაუსივდა და დაუსკდა მკერდი. ისე, სხვათა შორის, ჩემთვის ხელი არ დაუდიათ. ამას კი ჩემს გამომძიებელს, გვარად კერვალიშვილს უნდა ვუმადლოდე.

(რიაზანის გაუვალ ტყეებში) მთელი ღამე ფეხით ვიარეთ. დილით, როგორც იქნა, მივალწიეთ. ლენინგრადიდან, კიევიდან, მოსკოვიდან ჩამოყვანილი 3000 მდე ქალი დაგვხვდა იქ. დაგვინახეს თუ არა **“приехали? ну что дядя вас не спас?”** - ნიშნისმოგებით გვითხრეს.

წამხდარ ქალზე უფრო საშინელება ამ ქვეყნად არაფერი ყოფილა. ქ. პეტრეპავლოვსკის ციხეში "უგალოვნიკი" ქალები ისხდნენ. მკვლელობისთვის 25 წელი ჰქონდათ მისჯილი და ჩვენ გვეუბნებოდნენ, **Вы враги народа, из за вас мы страдаем** - ო, გულში ვფიქრობდი, სადაა ღმერთის სამართალი-მეთქი.

(ჯეკაზგანი) შრომაში ვიკლავდით თავს. თუ გეგმას 110%-ით შეასრულებდი, მხოლოდ მაშინ გაძლევდნენ სახლში მიწერ-მოწერის უფლებას. მაშინ გავიგე, რომ ჩემი შვილი ცოცხალი იყო.

დღეს გაახრებაც კი მიჭირს, როგორ გადავიტანე ამდენი უბედურება, მაგრამ ეტყობა, ერთმანეთის ჭირმა გაგვამაგრა და გაგვაძლებინა. გითხარით, ბუდუ მდივანის ქალიშვილი ჩემთან ერთად იყო-მეთქი. საცოდავი, გაათავისუფლეს, მაგრამ წამოსვლამდე ვილაცამ ესროლა და დღესაც არავინ იცის, ვინ მოკლა.

როდესაც დავბრუნდი, ანდროს ამბავი ვიკითხე. ოფიციალურად მისი დახვრეტის ცნობა არ მოსულა. მხოლოდ ქალაქი მოვიდა თურმე, რომ ციხეში ფილტვების ანთებით გარდაიცვალაო. მერე ინაურთან¹⁸ შევედი და მან მითხრა, რომ ანდრო "ტროიკის" გადაწყვეტილებით მაშინვე დაუხვრეტიათ. ყველაზე დიდი უბედურება კი ჩემთვის რეაბილიტაციის ქალაქის მოსვლა იყო. ქმარი დამიხვრიტეს, მე ციხე-ციხე მატარეს, შვილი სადღაც სარდაფში გაიხარდა და ბოლოს თურმე "თქვენ დამნაშავე არ ყოფილხართ და ყველაფრისთვის ბოდიშს გიხდითო". ამაზე უფრო საშინელი ბოდიში ჩემთვის არ არსებობს. იმ პერიოდში ისე ვიყავი, ჩემი შვილიშვილი, ჩემი ზაზა რომ არ დაბადებულიყო, თავსაც მოვიკლავდი ალბათ...

ლიზიაო ხოვაძე
გაზეთი დრო 1998 №57 (151)

18 ალექსი ინაური (1908-1993) საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკი, იგივე КГБ) თავმჯდომარე 1954-1988 წლებში.

ეს იყო ავად სახსენებელი 1937 წელი, როდესაც დამთავრდა ჩემი უდარდელი ბავშვობა. დააბატიმრეს ჩემი ახალგაზრდა მშობლები. ამის შემდეგ გავხდი სამშობლოს მოღალატეების (მავნებლების) შვილი. ჩამოგვართვეს ყველაფერი, ბინა და რაც გაგვაჩნდა საერთოდ. ჩემთან ცხოვრობდა ორი ბებია - დედის და მამის დედები. დედას დედა ავად გახდა და დარჩა მარტო მამის დედა. მე და ბებია გამოგვასახლეს და შეგვასახლეს სარდაფის სართულში ერთ ოთახში სხვა ოჯახთან ერთად. მაშინ მომაკითხა მამიდამ და მისმა მეუღლემ (ქსენია კობაძე, ლევან ლოლუა) და წამიყვანეს თავისთან. დაუვიწყარია ჩემთვის მამიდას და ბიძის მზრუნველობა. ისინი იყვნენ უაღრესად კეთილი ადამიანები, მთელი ჩემი ცხოვრება მათი მაღლიერი ვიქნები, მაგრამ ეს მაინც არ ცვლიდა დედას და მამას.



რობშისა და ლიბიკო ვაქასელიძემდე



ანჰიო და რობშისა



ქსენია და რომანა კობახიძეები

ლონიკოს გალასტროსის შვილები, ანტონოს და, ქსენიამ და პოსა მუყოლომ, ლონიკოს
ქალის ვახაყვალოსის შვილები, თავის თავზე აიღეს რომანას პაქხონობა.

სკოლის მასწავლებლები ცდილობდნენ შეეწყოთ ჩემთვის ხელი სწავლაში. ყველა თავისებურად მითანაგრძობდა, მაგრამ მაინც უდემამო ვიყავი. მალე მამიდაჩემს შეემთხვა უბედურება, ავტოკატასტროფაში დაეღუპა 20 წლის ქალიშვილი და ძმისშვილი. ეს იყო საშინელი რისხვა ჩემთვის და ყველა ჩვენი ახლობლისათვის. ტანჯვით მიდიოდა ჩემი ახალი ოჯახის დღეები. დედას და მამას ძმები მაქცევდნენ დიდ უპურადლებას.

რამდენიმე წლის შემდეგ დედას მისცეს უფლება, წერილი მოეწერა, თუ მისი ბავშვი იყო ბავშვთა სახლში, დედამ მოგვწერა ჩვენი ყოფილი სახლის მისამართით ბავშვთა სახლში. ეს იყო დიდი სიხარული, რომ გავიგეთ, დედა ცოცხალი იყო. ამის შემდეგ გვჭონდა მიწერ-მოწერა დედასთან, მაგრამ მამის არაფერი ვიცოდით.



მე-10 კლასში გავხდი მძიმედ ავად. მაძლევდა მაღალ სიცხეებს, ვერაფერი გაიგეს და ბოლოს დედას დეიდაშვილის მეშუღლემ პროფესორმა დიდებულმა იმ (ის იყო კარდიოლოგიური განყოფილების უფროსი) წამიყვანა თავისთან საავადმყოფოში და იქ დამაწვინა გამოკვლევაზე. გამოირკვა, რომ მქონდა ჩირქოვანი გლანდები და ის იწვევდა ორგანიზმის მოწამვლას. ამომიჭრეს გლანდები და თანდათან უკეთ შევიქენი, მაგრამ გლანდებმა და მოწამლვამ თავისი კვალი დატოვა. მასწავლებლების ხელშეწყობით დავამთავრე სკოლა, ჩავაბარე გამოცდები უმაღლესში და მოვეწყვე დაუსწრებელზე "გეპეში" (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

ზაფხულის ერთ დღეს მარტო ვიყავი სახლში და კაკუნზე გავაღე კარი.

კარებში იდგა საშუალო სიმაღლის სიმპათიური ქალი. იკითხა, ლამარა თუ აქ ცხოვრობსო, ვერ ვიცანი, მე მახსოვდა დედა მაღალი, მე რომ ბატარა ვიყავი, ჭკვიდან ზევით ვუყურებდი. ამ ქალს კი ზევიდან დავუყურებდი. „მე ვარ ლამარა“, „შვილო, ვერ მიცანი?“ და მერე ვიცანი ჩემი საყვარელი დედა, ლამაზი, ჭკვიანი და როგორი თავგამოდებული.

ჩემი ცხოვრება სულ მთლიანად შეიცვალა. მონატრებული სიტყვა „დედა“ გაცოცხლდა ჩემთვისაც. რაც ცხოვრებაში დამაკლდა უდებობით, ასმაგად ამინაზღაურა.

გავთხოვდი, შვილები აღმიზარდა, შვილიშვილები გამიზარდა, ფეხზე დამაყენა, ამბობდა, შენ შენს ფეხზე უნდა იდგეო და ხელი შემიწყო, უმაღლესი დამემთავრებინა.

ძალიან მენატრებოდა მამა, მაგრამ რას იზამ, თავს ზევით ძალა არ არის.

დედა სპეციალობით იყო არქიტექტორი. გადასახლებიდან რომ ჩამოვიდა, ქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. მუშაობა სჭირდებოდა, ამიტომ მოუხდა რაიონში წასვლა, მუშაობდა ჩოხატაურში, შემდეგ ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში „ტეხნადხორად“.

1956 წელს დედამ მიიღო რეაბილიტაცია და მაშინ გადმოვიდა თბილისში. თბილისში მუშაობდა საპროექტოში. კარგად კერავდა, იღებდა დაკვეთებს და ასე ააწყო ცხოვრება.

დედამ რეაბილიტაციის შემდეგ დიდი ძალისხმევით მიიღო ბინა დავითაშვილის 6 ნომერში. ნელ-ნელა ჩემი ცხოვრება ეწყობოდა. ჩემი გათხოვების შემდეგ მუშაობას თავი დაანება და მომცა საშუალება, მე მემუშავა. ვმუშაობდით მე და ჩემი მეუღლე, დედა კი უვლიდა ოჯახს და ბავშვებს.

ჩემი მეუღლე (შოთა ისაკაძე) ბანკში მუშაობდა, ბანკი აშენებდა სახლს თანამშრომლებისთვის. ძველი ბინა ჩავაბარეთ და მივიღეთ ბინა საირმეზე, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ.

ჩემი მეუღლე ავად გახდა დიაბეტით, უმტყუნა მხედველობამ და მასზე ზრუნვაც დედას დაეკისრა. 1986 წელს ჩემი მეუღლე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაიღუპა. დავრჩით მე, უკვე მოზრდილი შვილები და დედა.

შვილები უკვე დიდები იყვნენ, ბიჭი დაოჯახდა და შეეძინა შვილები. აქაც ჩვენი ოჯახის წამყვანი იყო დედა. შვილები და მე ვმუშაობდით, დედა ოჯახს უძღვებოდა და უვლიდა შვილიშვილებს. მეუღლის დანაკლისი ძალიან განვიცადეთ, მაგრამ ყველა შეძლების მიხედვით უძღვებოდა ოჯახის საქმეს. ასე ვცხოვრობდით, სანამ დედა არ გახდა 93 წლის.

სანამ დედა დამელუბებოდა, ვიყავი ახალგაზრდა, მერე კი ვიგრძენი, რომ მეორედ დავკარგე დედა და ახლა კი სამუდამოდ. ბედს არ ვემდური, მყავს კარგი შვილები, მე კი უკვე მოხუცებული ვარ, დედის გარეშე.

ლამარა ჯოჯაძე

1927 - 2008

დედას რომ არ ეთხოვა ამ ისტორიების დაწერა, ეს ყველაფერი დარჩებოდა ბეზიას მოგონებად, რომელიც ალბათ დროთა განმავლობაში გაქრებოდა. არ მეგონა, თუ გადაწყვეტდა დაწერას, ზოგ ადამიანს საკუთარი ისტორიის გახსენება არც კი სურდა. ბევრმა დაივიწყა, თითქოს არც უოფილაო.

ლიხიკო კი პირიქით, გამუდმებით იხსენებდა ძველ ამბებს და თან ისე დეტალურად ჰყვებოდა, თითქოს ახლახან მოხდა ეს ყველაფერი.. ჰყვებოდა სამხარეულოში, ოჯახურ შეკრებებსა თუ ჩვეულებრივ საღამოებზე, მაშინ, როცა სადილს გვიმზადებდა ან სულაც მზეზე თბებოდა.

90-იანებში სინათლე დიდი ფუფუნება იყო, სიბნელეში, შეშის ღუმელთან, როდესაც ოჯახის წევრები ვიკრიბებოდით, მეზობლებიც ჩვენთან შემოდისოდნენ.. დიდი ამბავი იყო მაშინ გათბობაც. ორივე ხელს გაითბობდა, მერე სახეზე გადაისმევდა გამთბარ ხელისგულებს, იტყოდა "блаженство" და იწყებოდა ამბები, რომლებიც ჩემთვის ზღაპარივით იყო. დაუჯერებელი ამბები...

ძალიან გამიჭირდა ამ ისტორიების შემდგომ წაკითხვა. მოყოლით თითქოს სხვა ადამიანის ისტორიას ვისმენდი. როცა ბებია აღარ იყო. საშინლად მეტკინა ამ ყველაფრის გადაფასება და შეგუება იმ აზრთან, რომ ეს ის ლიხიკო იყო, რომელიც მე ღიმილით და სითბოთი მხვდებოდა სკოლიდან მოსულს, ეს ის ლიხიკო იყო, რომლისგანაც სითბოს, მზრუნველობის და მხარდაჭერის მეტი, არაფერი მახსენდება..

ეს ის ლიხიკოა, რომელიც ჩემი ბებია კი არა, უბრალოდ, ერთ-ერთი მსხვერპლია ამ სისხლიანი, უსამართლო რეჟიმის და გაბოროტებული ადამიანების. ძალიან ძლიერი პიროვნება იყო, გაუძლო, გაიარა და არ გაბოროტდა. არ დაივიწყა, არამედ მიიღო როგორც მისი ცხოვრების დიდი და რთული გამოწვევა.

საოცარი მესხიერება ჰქონდა, ყველას ტელეფონი, მისამართი და დაბადების დღე ზეპირად ახსოვდა. ეცნობოდა ყოველდღიურ პრესას და ტელევიზიას. ჩართული იყო პოლიტიკურ პროცესში. თან ხელიდან ისტორიის წიგნებს არ უშვებდა. ერთი ხელით სადილს ურევდა, მეორით "უქარქაშო ხმლები" ეჭირა და კითხულობდა.

იმდენად ქარიზმატული და ლიდერი იყო ბუნებით, დიდ გადაწყვეტილებებსაც ძალიან მარტივად იღებდა. მისი სიტყვა ყველასთვის კანონი იყო დიდისთვისაც და პატარისთვისაც. ისე განგაწყობდა, რომ წარმოუდგენელი იყო, არ დათანხმებოდი.

მისი პროფესიაც ჩვენი ოჯახისთვის შთამომავლობითი აღმოჩნდა, ისევე როგორც მის მიერ გაკეთებული საცივი, რომელიც ეკას (შვილიშვილი) ანდერძად დაუბარა.

ლამარაც - მისი შვილი კონსტრუქტორი გახდა და საკმაოდ წარმატებული, მამაჩემი ზაზა, მამიდაჩემი ლულუკა ჩემი და ეკა და ძმაც შოთა, არქიტექტორები არიან. მეც მიწოდდა ბებიის კვალს გავყოლოდი, თუმცა მე სხვა პროფესია ავირჩიე, მაგრამ როგორც სახლში მეუბნებიან, ლიზიკო ხარ ხასიათითო, ეს ჩემთვის ალბათ ყველაზე დიდი კომპლიმენტია.

ლიზიკო იყო ადამიანი, რომელიც არ ნებდებოდა და ამ ჯოჯოხეთური ტკივილის შემდეგაც არ დაკარგა ადამიანების რწმენა და სიცოცხლის ბოლომდე იყო სიყვარულით სავსე. ლიზიკომ მისი შვილი, შვილიშვილები დიდი მზრუნველობით გაგვზარდა. სიცოცხლის ბოლო წამიც ჩვენზე ფიქრში გაატარა. დიდი მადლობა მას ყველაფრისთვის.

ამ მოგონებების დაბეჭდვა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, არა მარტო იმიტომ, რომ ეს ჩემი ოჯახის ისტორიაა, არამედ იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მეგულება საქართველოში, რომლის ოჯახსაც მდაგვარი ტრაგედია დაატყდა თავს ამ ყოველად გაუმართლებელი და უპატივბელი რეჟიმის გამო.

დიდი მადლობა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსა და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც შემადგებინა ლიზიკოს მოგონებების გამოცემა.

ნიკო ისაიაძე
2022 წლის 28 დეკემბერი

ნანა თავაძე - ლიზიკოს რძალი

ლიზიკო აბზიანიძე, ჩემი მეუღლის ბებია, ძალიან მიყვარდა. ის უაღრესად კარგი და საინტერესო ადამიანი იყო. იყო ძალიან თანამედროვე, გემოვნებიანი და ნიჭიერი ქალი. არაჩვეულებრივი დიასახლისი, აცხოვდა საუკეთესო ტორტებს, ნამცხვრებს, ასწავლიდა, კერავდა ყველაფერს, ქარგავდა.

ძალიან ახალგაზრდა გათხოვდა, იყო ძალიან მხიარული და სიცოცხლისმოყვარული ადამიანი, უყვარდა ცეკვები. ანდრო - მისი ქმარი, უფრო დინჯი და სერიოზული ადამიანი იყო. ერთხელ, როცა ანდრო მოსკოვიდან ახალი ჩამოსული იყო, მეგობრებმა შემოუარეს და ცეკვებზე დაბატიყეს. ლიზიკოს ფეხსაცემელი არ ჰქონდა, მაგრამ არც შეუმჩნევია, მისი დახეული ფეხსაცემელი წვრილი მავთულით საიმედოდ დაამაგრა ისე, რომ ქმრისთვისაც არაფერი უთქვამს, წაჰყვა და მთელი საღამო მხიარულად და სასიამოვნოდ გაატარეს. "არა ბეჩა, მაგას გავაფუჭებინებდი ახლა საღამოს და ხასიათსო" ასე მითხრა და გაიცინა.

ხშირად მიყვებოდა თავის ისტორიებს, ბავშვობას, ახალგაზრდობას და შემდეგ მისი ცხოვრების ყველაზე საშინელი პერიოდის, 37 წლის გადასახლების ამბებს.

უმძიმესი იყო იმ ამბების მოსმენა, როგორ დაიჭირეს მისი ქმარი, როგორ გამოასახლეს უსაყვარლესი სახლიდან 8 წლის შვილთან ერთად, როგორ დაიჭირეს თვითონ, როგორ ამყოფეს ციხეში და როგორ გაგზავნეს გადასახლებაში.

რუსეთის ბანაკებამდე რამდენიმე ეპიზოდი მახსოვს, განსაკუთრებით ჩემზე იმოქმედა ერთი ქალის ისტორიამ, რომელსაც გამგზავრების წინ ჩვილი წაართვეს. ჰყვებოდა, თუ როგორ ასკდებოდა რძე ამ ქალს ძუძუზე, ჩამოსდიოდა და პატიმარი ქალები ეხმარებოდნენ ტკივილის გაუჩხებაში.

აუტანელ პირობებში, მიწურში ცხოვრება, ყინვა, საშინელი საკვები, ავიტამინოზი, საავადმყოფო, კისტის ოპერაცია, მუშაობა, ათასი დაცინვა და შეურაცხყოფა - ეს მცირედი ჩამონათვალთაა, რაც მას თავს გადახდა. ეს იყო უსასრულო 8 წელიწადი.

პატარა ნათელი სხივი ამ გაუსაძლის პირობებში იყო ის პერიოდი, როცა იგი იქ არქიტექტორად მუშაობდა. მან რამდენიმე პატიმარ ქალთან ერთად დააპროექტა ჯეხაკაზგანის საცხოვრებელი კვარტლები და მათი ინფრასტრუქტურა.

გადასახლებაში საშინელი ტანსაცმელი ჰქონდათ. მახსოვს, მომიყვა, ერთხელ ქალებმა მოხალისეობა გადავწყვიტეთ. აუღიათ თავიანთი ნაცრისფერი კაბები, დაუმზადებიათ შტამპები და საღებავით მოუხატავთ თურმე. იქ ბევრი თანამდებობის პირის ცოლი ყოფილა, ზოგი თავად ყოფილა მაღალი თანამდებობის პირი, ბევრი საზღვარგარეთაც მუშაობდა. თავის ისტორიებს რომ ჰყვებოდნენ, ლიზიკომ თქვა, ვფიქრობდი, ამათ იმდენი რამ უნახავთ ქვეყანაზე და რა დრო აქვთ გატარებული, მე კი ცხოვრებას, ფაქტობრივად ახლა ვიწყებდიო.

საჭმელი, ძირითადად, თევზით იყო დამზადებული, ლიზიკო თევზს არ ჰამდა და ამიტომ დაემართა ავიტამინოზი, უცილო შეშუპება, დაუსივდა ფეხები, დაუსკდა კანი და სითხე სდიოდა. საავადმყოფოში როდესაც გადაიყვანეს, იქ კვება დაურეგულირდა და მალე გამოკეთდა. იქ შეეცოდათ და შესთავაზეს დიასახლისად მუშაობა, რაზედაც ლიზიკო, რა თქმა უნდა, დათანხმდა.

მუშაობდა ბანაკის საავადმყოფოში - დიასახლისად, ძალიან უყვარდათ პატიმრებს, ლიზიკო თავდაუზოგავად უვლიდა მომაკვდავ პატიმრებს, დიდ თანაგრძნობას იჩენდა მათ მიმართ და ცდილობდა, არაფერი მოეკლო. წიგნებსაც კი უკითხავდა დაჭრილ ტყვეებს.

გადასახლებიდან იმ იმედით დაბრუნდა, რომ ქმარს იპოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დახვრეტის ამბავი თბილისში გაიგო, რაც მისთვის უდიდესი დარტყმა იყო, მაგრამ ცხოვრება გააგრძელა, ცდილობდა, თავისი ერთადერთი ქალიშვილისთვის ყველაფერი გაეკეთებინა, რომ

ის სტრესი და უბედურება, რაც ამ ბავშვს თავს დაატყდა, ცოტათი შეემსუბუქებინა.

დიდი ტკივილი იყო მისთვის, მეუღლის რეაბილიტაციის ცნობის მიღება. "ბოდიში", თქვენი ქმარი ტყუილად დავხვრიტეთ და თქვენც ტყუილად გადაგასახლეთო.

ლიზიკო ძალიან ხშირად ყვებოდა ამბებს გადასახლებაზე. საინტერესო მოყოლა იცოდა. ერთხელ ვუთხარი, ეს ყველაფერი დაეწერა. სადამოიბოთ, როცა საქმეებს მორჩებოდა, იჯდა და წერდა თავის ამბებს. ვინ იცის, მერამდენედ განიცდიდა გაუსაძლის ტკივილს.

ახლა ძალიან მწყდება გული, რომ ყველაფერი დეტალურად არ მოვაყოლე და მე თვითონ არ ჩავიწერე. მიუხედავად მისი ასეთი მძიმე ცხოვრებისა, ის იყო ძალიან მხიარული, ოპტიმისტი და მიმტეგებელი ადამიანი. ლიზიკო ძალიან ღირსეული და ყველასთვის საყვარელი და მისაბაძი ქალი იყო. ნათელი მის სულს.

როცა ამას ვწერ, ცრემლები დაბადებით ჩამომდის. ვიხსენებ და პატივს მივაგებ ყველა იმ ადამიანს, ვინც უდანაშაულოდ დაისაჯა და გამწარდა. ნათელი მათ სულეებს.

ამ ცხოვრებაში ყველაზე დიდი საშინელება არის უდანაშაულო ადამიანის დასჯა!

ნანა თაყაი 2022 წლის ნოემბერი.

ლულუა ისახაძე - ლიზიკოს შვილიშვილი

ლიზიკო ჩემი მეორე დედა იყო. კარგა ხანი არ ვიცოდი, რომელი მათგანი იყო ჩემი დედა ლამარა თუ ლიზიკო.

ბებიას სურვილი იყო, რომ დედაჩემისთვის ყველაფერი მიეცა, ის მზრუნველობა და სიყვარული, რაც ახალგაზრდობაში დააკლდა, აენახლაურებინა, ამიტომ, რაც ზაზა და მე გავჩნდით, გადაწყვიტა, სამსახურისთვის თავი დაენებებინა და ეზრუნა ჩვენზე.

მე შევეცდები, გავიხსენო ის ამბები, რომლებსაც ლიზიკო მიყვებოდა და არ მოხვდა მის დღიურში.

ძალიან საინტერესო ბავშვობა ჰქონდა. კარგი აღზრდა მისცეს მშობლებმა და უფროსმა დამამ. დედა, ეკატერინე კუხიანიძე, იყო მორწმუნე ქალი, რომელმაც ლიზიკო 43 წლის ასაკში გააჩინა. ეკატერინეს ამ დროს უკვე შვილიშვილი ჰყავდა და ამის გამო ძალიან ლელავდა.

ასე ეუბნებოდა ლიხიკოს, შენზე დარდი თუ მომკლავსო, აცნობიერებდა რა პასუხისმგებლობას, რომ შვილი გზაზე უნდა დაეყენებინა და ის უკვე ასაკში იყო.

დედისგან განსხვავებით, მამა - სარდიონ აზიანდიე ათეისტი იყო, თუმცა მეუღლეებს შორის არასდროს ყოფილა უთანხმოება ამ თემასთან დაკავშირებით. იმდენად დიდი იყო მათ შორის პატივისცემა, თქვენობით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ლიხიკოს დედა ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა და ბავშვებსაც ამარხულებდა.

ბებია იხსენებდა ისტორიას მარხვის პერიოდში, თუ როგორ ძვრებოდნენ დერგში ბავშვები და დედას საგულდაგულოდ შენახულ, შუაზე გაჭრილ ყველს შიდა გვერდებს აჭრიდნენ და ჭამდნენ. როცა მარხვა დასრულდა, აღდგომა დღეს ამოიღო დედამ ყველი და ყველა თავი განახევრებული დახვდა.

სიცლით იხსენებდა ლიხიკო, გაბრაზებული დედაჩემი ამოსულა საკუჭნაოდან და სარდიონისთვის უჩვენებია ბავშვების ნამოქმედარი. სარდიონს სიცლილი წასკდომია და უთქვამს: აბა, რა გეგონა, ამ ბავშვებს რომ ამარხულებდიო.

ბავშვებს ვახსენებ და ვგულისხმობ ლიხიკოს და მის დისშვილებს, რომლებიც ტოლები იყვნენ და ერთად იზრდებოდნენ.

ერთ ისტორიას იხსენებდა კიდევ ლიხიკო: ებრაელი მეზობელი ჰყავდათ, რომელთან ერთადაც სარდიონი ეზოს გარეთ ხშირად საუბრობდა. ერთხელ მეზობელს უკითხავს: სარდიონ, ამდენი შვილი გყავს და სახლი დიდი არ გაქვს, არც საკარმიდამო მიწა, ქონებაც ისეთი არაფერი, არც განძს აგროვებო, ჩვენ, ებრაელები, ოქროს ვინახავთ და შენ რას უტოვებ ამ შენს შვილებსო? მე ისეთ რამეს ვუტოვებ, რასაც ვერავინ წაართმევსო - განათლებას გულისხმობდა.

სარდიონი ძალიან პროგრესული და თანამედროვე აზროვნების ადამიანი იყო, წინასწარ ჰჯრეტდა ყველაფერს და იცოდა, რომ განათლება იყო ერთადერთი სწორი გზა. მან თავის ყველა შვილს უმაღლესი განათლება მისცა. ლიხიკო წმინდა ნინოს ქართულ სასწავლებელში სწავლობდა.

სარდიონი ერთი იმას დარდობდა, ლიხიკო 18 წლის რომ გაიპარა, უმაღლესი განათლება რომ არ ჰქონდა. თვლიდა, რომ ყველა ადამიანი მხოლოდ თავის თავზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული და საკუთარი თავის რჩენა უნდა შესძლებოდა.

სანამ ლიხიკო ქუთაისში ცხოვრობდა, სამხატვრო სკოლაშიც დადიოდა, ის ძალიან გემოვნებიანი და ნიჭიერი იყო. მისი დის დამსახურებით, შეისწავლა ქარგვა და კერვა, რაც შემდგომ გადასახლებაში ძალიან გამოადგა.

ბებია ამბობდა, რომ გადასახლება ჩემმა ლაღმა ბავშვობამ, განათლებამ და პროფესიამ გადამატანინაო.

ლიზიკოს მამას ჰქონდა ლიმონათის ქარხანა ქალაქ ქუთაისში, რომელიც ლიზიკოს ძმას ტარასის (პროფესიით ფიზიკოსი) თავად გამოუწერია პეტერბურგიდან და აუწყვია. ტარასი ძალიან პროგრესული და განათლებული ადამიანი იყო. მან დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკური უნივერსიტეტი პეტერბურგში, რის შემდეგაც ჩამოვიდა ქალაქ ქუთაისში და დააარსა მათემატიკური სასწავლებელი. მან პირველად ჩამოიტანა რენტგენის აპარატი ქუთაისში, თავად დაამონტაჟა და ამუშავებდა.

ტარასის თურმე სტუდენტობისას, აბასთუმნის ობსერვატორიაში აღმოუჩენია ვარსკვლავი, მოგვიანებით, გერმანიაში დაბეჭდილა სტატია ამ ვარსკვლავის აღმოჩენის შესახებ, რომელიც სხვა გერმანულ მკვლევარს მიეწერა. აქ, სამწუხაროდ, მისი აღმოჩენა არ გაუმყლავნებიათ. მას რამდენიმე ნაშრომი აქვს დაწერილი და ეს ნაშრომები გამოცემულიც არის, ერთ-ერთი ნიუტონის კანონის კრიტიკაა.

მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი, ტარასი გარდაცვალებამდე ელაპარაკებოდა ბებიაჩემს (მთვარეზე პირველი გაფრენა ახალი მომხდარი იყო), ხომ ვამბობდი, რომ იქ მიზიდულობის კანონი არ იმოქმედებს, იქ უწონობაა, ამას როდის ვამბობდიო.

მიგვბრუნდეთ ლიმონათის ქარხანას. აბზიანიძეების გაზირებული წყალი ძალიან ცნობილი ყოფილა იმ დროს ქუთაისში. ეს ის პერიოდია, ლალიძე რომ აწარმოებდა ლიმონათს ქუთაისში. ასე ჰქონდათ გადანაწილებული ბიზნესი, ხიდს იქით აბზიანიძეების ლიმონათი და ხიდს აქეთ ლალიძე.

აბზიანიძეები თურმე ყინულსაც თავად აკეთებდნენ და ცივად ურიკვბით ანაწილებდნენ ქალაქსა და მის მიმდებარედ სარეალიზაციოდ. ამბობენ, რომ მათი გაზიანი სასმლის გემო ძალიან არომატული ყოფილა, თუმცა რადგან ლალიძე რეკლამას აკეთებდა, მან უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვაო.

1921 წელს, მაშინ როცა წითელარმიელები შემოვიდნენ ქუთაისის ქუჩებში, ამ ამბავს დიდი აურზაური მოჰყოლია. თურმე ახალგაზრდა ქალებსა და გოგოებზე ძალადობდნენ და ამის გამო ჩვენი ოჯახის ქალებს სარდაფში უწევდათ დამალვა. სწორედ ამ დროს, ლიმონათის ქარხანა ჩაუბარებიათ თავისით, რადგან მაინც ჩამოგვართმევენ და ჯობია, ნებით ჩავაბაროთო.

ლიზიკომ აქედან ისწავლა ტექნოლოგია, თუ როგორ უნდა მოემზადებინა გაზიანი სასმელი და თვითონაც, გადასახლების შემდეგ, სახლის პირობებში ამზადებდა შამპანურს ოჯახისთვის (ადესის წვენიდან). ბუკიას ბალის მოპირდაპირედ იყო მალაზია, სადაც ყიდულობდა პატარა გაზის ბალონებს, სახლში ამზადებდა ხილის სიროფებს და სხვადასხვა გაზირებულ სასმელს გვასმევდა.

ლიზიკო სკოლის დამთავრების შემდეგ, 18 წლის ასაკში წავიდა თავის დასთან და დისშვილებთან სურამში დასასვენებლად, სადაც გაიცნო ანდრო, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად ყოფილა ჩასული მივლინებაში. ანდრო ლიზიკოზე სამი წლით დიდი იყო.

ერთი კვირის გაცნობილი ჰყავდათ ერთმანეთი, როცა გაიპარნენ. რასაც ჰქვია ერთი ნახვით შეყვარება, ბებია, ისე შემიყვარდაო, მითხრა ლიზიკომ, ლამაზი კაცი ყოფილა ფიზიკურად და ძალიან კარგი პიროვნება.

ლიზიკოს ოჯახში რომ გაიგეს, გაიპარა და თან კომუნისტზეო, გაგიჟებულან, რადგან აზიანინძეები ძალიან პატრიოტები იყვნენ და კომუნისტის გაგონებაც არ უნდოდათ ოჯახში. თუმცა, ანდროს გაცნობის შემდეგ რადიკალურად შეეცვალათ განწყობა და სიყვარულით და პატივისცემით განიმსჭვალნენ მის მიმართ.

ანდროს მამა, მიხეილ კობაძე, 40 წელი მუშაობდა რკინიგზაში. ანდროს დედა, ელენე შელია, ძალიან ჭკვიანი ქალი და ძლიერი პიროვნება ყოფილა, წარმოშობით კოდორიდან ყოფილა, 28 წლის ასაკში დაქვრივებულია. მიუხედავად პატარა ასაკისა, მან შეძლო ფეხზე დამდგარიყო, შვილებისთვის მიეცა განათლება და ღირსეულ ადამიანებად აღეზარდა ისინი. მიხეილი და პეტრე გახდნენ ენერგეტიკოსები, ჟორჟი - ლიტერატორი, ანდრო - ჟურნალისტი, კოკი - გეოლოგი, ქსენია არქივში საქმისმწარმოებელი და ნადია - დედას მეურვე.

ბავშვობაში ყველა და-ძმა ერთმანეთს უვლიდა და გადანაწილებული ჰქონდათ მოვალეობები, ზოგი საჭმელს აკეთებდა, ზოგი ალაგებდა და ასე შემდეგ. ძმები მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავდნენ და ჰქონდათ თავიანთი საოჯახო ანსამბლი. დებს ეძახდნენ „დები ბალახვნიდან“, ისინი იყვნენ ცნობილები იმით, რომ ძალიან კარგად მღეროდნენ.

ანდროს ოჯახში ლიზიკო დიდი სიხარულით და სიყვარულით მიიღეს, არაფერს აკეთებინებდნენ და ძალიან ეხმარებოდნენ, ლიზიკომ საჭმლის გაკეთება არც იცოდა და ასე მიყვებოდა, ბებო, გადავიდოდი დედაჩემთან, ერთ კერძს ვისწავლიდი, გადმოვიდოდი და მერე იქ თავს ვიწონებდიო.. ასე ნელ-ნელა ისწავლა ლიზიკომ დიდ ოჯახში ცხოვრება.

ლამარა ქუთაისში დაბადებულია. ისე მომხდარა, რომ ლიზიკოს წაყვანა ველარ მოუსწრიათ სამშობიაროში და სახლში მოუწია ლამარას გაჩენა. ამ ამბავს, რა თქმა უნდა, ანდრო შესწრებია. ლიზიკო მეუბნებოდა, ფაქტობრივად, ერთად ვიმშობიარეთო, ხელი ეჭირა ჩემი და არ მომშორებიაო. ანდრო გიჟდებოდა ლამარაზე, ლამარაც რომ იხსენებდა, არ მახსოვს რაიმეზე გამჯავრებოდაო, იყო უთბილესი მამაო.

პირველი მშობიარობის მერე მეორე შვილზე საუბარი არც უნდოდა ანდროს, ასე ეუბნებოდა

ლიზიკოს, ლამარა ჩვენი გოგოც არის და ჩვენი ბიჭიც, ყველაფერი ლამარაა, მეტი მშობიარობა არ გამაგონოო. ლიზიკო იხსენებდა, კიდევ კარგი, ერთი შვილი გავაჩინე, ორ ბავშვს რაღა ეშველებოდა, ჩემი გადასახლების მერე ვინ შეძლებდა მათ პატრონობასო.

თანაცხოვრების სამი წლის შემდეგ, ანდრო დააწინაურეს და ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად.

ამ ამბავს სარდიონის გარდაცვალებაც დაემთხვა და ლიზიკოს ოჯახმაც ქუთაისის სახლი (თეთრ ხიდთან) გაყიდა და ისინიც გადმოვიდნენ თბილისში. ლიზიკომ დედამისი თავისთან წაიყვანა საცხოვრებლად, კამოს ქუჩაზე (ახლანდელი უზნაძის 84).

მინდა ვახსენო ის ფაქტი, რომ ლიზიკოს თავის და-ძმასთან ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა ლადიკოსთან ყველაზე მეტად მეგობრობდა, რადგან მათ შორის მცირე ასაკობრივი სხვაობა იყო.

სულ ერთად იყვნენ, ლადიკოს დაჰყავდა საცეკვაო კლუბებში და ასწავლიდა ევროპულ ცეკვებს (ფოქსტროტი, ტანგო).

ანდროს ხშირად აგზავნიდნენ მოსკოვში მივლინებით და ბებიას გადაუწყვეტია უმაღლესში ჩაბარება, როცა გავიხედ-გამოვიხედე, ყველას უმაღლესში ჰქონდა განათლება მიღებულიო, ჩემს რძალს, ანდროს მეგობარ ქალებსო. მეც ის ქალი არ ვიყავი, სახლში დიასახლისად დავმჩადარიყავი და მხოლოდ სახლის საქმე მეკეთებინაო.

ლიზიკოს პროფესიის არჩევაში დიდი წვლილი მიუძღვის ანდროს ძმას, მიშას, რომელიც პროფესიით ენერგეტიკოსი იყო. მას ხშირად სტუმრობდნენ ანდრო და ლიზიკო, ერთ ასეთ სტუმრობაზე, როცა მიშა მუშაობდა დიდი კაშხლის პროექტზე, რომელიც მოიცავდა ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებს, ამ პროექტის დაფერვაში მიხმარებია ლიზიკო. საერთოდ ლიზიკოს ძალიან უნდოდა ექიმობა, კერძოდ, ქირურგია. როცა ვუყურებდი ქეთო თურმანიძეს, როგორ მკურნალობდა პაციენტებს, ძალიან მომწონდა ეს პროცესიო (ქეთო ლიზიკოს რძალი იყო). მაგრამ როცა მიშამ ძალიან მოიწონა ჩემი ხელწერა, როდესაც პროექტის დაფერვაში მივხმარე და მითხრა, საცოდაობაა, ლიზიკო, შენაირი პოტენციალის და ნიჭის პატრონი სახლში იყოო, შენგან კარგი არჩიტიქტორი დადგებოდაო, მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემი პროფესია გახდებოდაო.

ანდროს ლიზიკოს გადაწყვეტილება უმაღლესში ჩაბარებასთან დაკავშირებით, არასერიოზულად მიუღია. საერთოდ, ლიზიკოს გადაწყვეტილებას ყველა სკეპტიკურად უყურებდა, თუმცა იგი ძალიან სერიოზულად მოეკიდა მომზადებას და სულ თავისით, დაუხმარებლად ჩაუბარებია ქალაქ თბილისში არსებულ ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის არჩიტიქტურის ფაკულტეტზე. მივლინებიდან დაბრუნებულ ანდროს ძალიან გახარებია ლიზიკოს სტუდენტობის ამბავი.

ლიზიკო და ლამაშა ანდროს ქონ, ქსენია კოპაძის ოჯახში.



მსოფლიო მსოფლიო: ლიკა და ვაკეა ჭიბისქაშაშვილი, ნაქაოთა ლოლოყა, ნაქა, ლამაშა, აქქე, ლევან ლოლოყა, ქსენია კოპაძე, ვივი ლოლოყა, ლიზიკო, ნელი ლოლოყა.

ლიზიკოს კურსელები იყვნენ: ვახტანგ ბერიძე, რუსუდან მეფისაშვილი, თეონა ნიკოლაძე (იაკობ ნიკოლაძის ქალიშვილი). ლიზიკო თავდაუზოგავად სწავლობდა. ის ძალიან შრომისმოყვარე და წარმატებული სტუდენტი ყოფილა.

ძალიან ძლიერი ლექტორები ჰყავდა: გრინვესკი, კარლინი და სხვ. ამას კი იხსენებს, როცა პროექტირებას ვაკეთებდი, ბოლომდე მაინც არ მასწავლიდნენ ტექნიკასო, როცა საბოლოო შტრიხების გაკეთება იყო საჭირო დაფერვაში, ასე მეუბნებოდნენ, ახლა წადი და დანარჩენს ჩვენ დავასრულებთო, მაგრამ ლიზიკო მაინც იძიებდა ბოლომდე და ბევრ საინტერესო მეთოდს აგნებდა.

მეოთხე კურსზე დახურული კონკურსი ჩაუტარებიათ ქუთაისის თეატრის დაპროექტებისთვის,

ლიზიკოსაც მიუღია მონაწილეობა, სადაც მეორე ადგილი აუღია. სახლში დაურეკავთ, ქალბატონი ლიზიკო გვინდოდაო და ანდრომ სიცილით, ქალბატონო ლიზიკო, თქვენ გთხოვენ ტელეფონთან და ასე შეუტყვია ლიზიკოს ეს ამბავი. ფულადი პრემიაც აუღია და მუქი მწვანე ხავერდის ნაჭერი შეუძენია ამ თანხით ფარდებისთვის, საფარდე ნაჭერი დაუჭრია და შემოულამბავს, შეკერვა კი ვეღარ მოასწრო, გადასახლებაში წაიყვანეს, თუმცა, როგორც გადმოცემით ვიცით, ასეთი დაუმთავრებელი, შემოლამბული ნაჭერი დაუკიდიათ ამ სახლის მომავალ პატრონებს ფარდად.

როცა გადასახლებიდან ჩამოვიდა ლიზიკო, რეაბილიტაციაც უკვე მიღებული ჰქონდა, მივიდა ლამარასთან ერთად თავისი სახლის სანახავად. სახლში როცა შევიდნენ, ის ფარდები ისევ შემოუტეხავი ეკიდათ.

ლამარას ძალიან უნდოდა ერთი სანათურის დაბრუნება, რომელიც ძალიან უყვარდა, თუმცა სახლის ახალმა პატრონებმა არ გამოატანეს. გულდაწყვეტილი წამოსულან და იმის მერე ჩვენს სახლში ამ თემაზე საუბარი აღარ ყოფილა. არც სახლზე და არც იმ სახლში დატოვებულ უამრავ საყვარელ ნივთზე, რომელსაც ანდრო საგულდაგულოდ აგროვებდა.


ჰქონდათ ერთი დიდი კედელი წიგნებით სავსე. აღარაფერი დარჩა სახლიდან, მხოლოდ ლიზიკოს მამის ნაყიდი ერთი პიანინო, რომელიც ლამარას მუსიკის მასწავლებელმა შეუნახა და რამდენიმე წიგნი, რომელიც ტარასმა სკივრით შეუნახა და გადაურჩინა. ერთი კი ვიცი, ათი წელი იცხოვრეს ერთად და როგორც ლიზიკო მეუბნებოდა, ისე უყვარდათ ერთმანეთი ათივე წელი, როგორც სულ თავიდან.

მინდა გავიხსენო ორი ისტორია, რომელიც უკავშირდება ლიზიკოს მეგობარს და თანაკურსელს, ვახტანგ ბერიძეს.


გადასახლებამდე, როდესაც ანდრო დააპატიმრეს და ლიზიკო გადასახლების მოლოდინში იყო, ნათესავებთან და ახლობლებთან კონტაქტს ერიდებოდა მათი უსაფრთხოების მიზნით, შემდგომში რაიმე პრობლემა რომ არ შეჰქმნოდათ. ბებია ნაცნობებს თვალს არიდებდა და ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა. ამ პერიოდში ლიზიკოს ბატონი ვახტანგი შეხვედრია, როგორც წესი, ბებია მისგან თავის არიდებას ცდილობდა, მაგრამ ბატონ ვახტანგს ხელით შეუჩერებია და უსაყვედურია, რა დაგემართა, გოგო, როგორ დაუშინებხართო. მეორე შეხვედრა გადასახლების შემდეგ შედგა. ძალიან თბილად მოიკითხეს ერთმანეთი, ვახტანგს გამოუკითხავს მისი საქმიანობის შესახებ, რადგან ის კარგად იცნობდა ლიზიკოს პროფესიულად. ლიზიკომ მიუგო, რომ მან არქიტექტურას თავი დაანება და შვილიშვილებს ზრდიდა. ვახტანგმა მიუგო, რომ ამაზე კარგ საქმეს ცხოვრებაში ვერაფერს გააკეთებდა. ეს ადამიანების უმთავრესი მისიაა, სწორად აღზარდო მომავალი თაობა და კარგი განათლება მისცეო.

ლიზიკომ მოუყვა თავისი გადასახლების ამბავი. როგორც გაირკვა, ვახტანგი მივლინებით თურმე ჯეზკაზგანში ყოფილა და როდესაც ქალაქში გასულა და დაუნახავს შენობები, უკითხავს, ეს ქართული არქიტექტურა აქ საიდანო. იქ უთქვამთ - ეს შენობები ქართველმა პოლიტპატიმრებმა დააპროექტესო (როგორც წესი, მხატვრებს, ასევე არქიტექტორებს ჩვენი ხელწერა გვაქვს და ერთმანეთის ნამუშევრებს ხელწერით ვცნობთ). ასე უცნია მასაც ქართული ნაცნობი არქიტექტურული ხელწერა. ახლა მივხვდი თურმე ვინ ყოფილა ამ შენობების ავტორიო.

პატიმარი არქიტექტორები არა მხოლოდ აპროექტებდნენ შენობებს, ისინი მშენებლობის პროცესს ზედამხედველობასაც უწევდნენ. საბოლოოდ, მათი ნამუშევარი და ამშენებული ქალაქი მიეწერა კომკავშირული აქტივისტების საქმიანობას, თუმცა არის აქა-იქ ინფორმაცია, რომელშიც პატიმარი ქალები არიან ნახსენები ამ ქალაქის მშენებლობის კონტექსტში.



საქმთავროს სახლი მახაძეში.
მხოუქცილ ავქოხი ქოილსაქ (ლიზიკომ) კოაქცი.



სახლითა და სხვათა დასახლება.
 შიშვენილი ავსტრიის ქალაქი (ლიხივი) კონსტანტინოპოლში.

ერთი ასეთი ფაქტი იყო გადასახლებამდე, საქართველოში უკრაინიდან ხალხის დიდი ნაკადი ჩამოსულა. ბევრი უკრაინელი ლტოლვილი ჩამოსახლეს. ზუსტად არ ვიცი, რა ფაქტს უკავშირდება, მაგრამ მახსოვს, მიყვებოდა ბებია, ეს იყო 35-36 წლებში. როგორც ვიცი, დავალება იყო ასეთი, სამთავრობო, რომ ერთი ადამიანი უნდა წამოგეყვანა ოჯახში უკრაინელი ლტოლვილებიდან. ანდრომ და ლიხიკომაც წამოიყვანეს ერთი გოგო, ერქვა კაწია (გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს). ის იყო 14 წლის. ლიხიკოს უთხრეს ლამარაზე - ცოტას მოგეხმარება კიდევო. ლიხიკომ თქვა, ეს ბავშვი აქეთ გასაზრდელია, მე რა უნდა მოგეხმაროსო.

კაწია იყო ობოლი, ამიტომ გადაწყვიტეს, აეყვანათ და მისთვის ეპატრონათ. აყვანიდან მეორე დღეს სახლში დაბრუნებული ლიხიკო სახტად დარჩენილა. კაწიას სახლი დაეწკრილალებინა, სადილი გაეკეთებინა და ლამარასთვის მოეგლო. ლიხიკომ უთხრა, რომ არ იყო საჭირო ამის

კეთება, რადგან ეს არ შედიოდა მის მოვალეობებში. კაწიამ კი უპასუხა, მე მრავალშვილიან ოჯახში ვიზრდებოდი, ჩემს და-ძმას შორის ყველაზე უფროსი ვიყავი და როდესაც ჩემები ყანაში გადიოდნენ სამუშაოდ, სახლში ყველაფერს ვაკეთებდიო. გთხოვთ, აქაც გავაკეთებ ბევრ რამეს, ისე უსაქმოდ ვერ დავჯდები, მოგეხმარებით ყველაფერშიო.

მართლაც ასე მოხდა. ძალიან ეხმარებოდა კაწია ლიზიკოს. ლიზიკო და ანდროც ყველაფერს უკეთებდნენ, ღამის სკოლაშიც შეიყვანეს. ლიზიკო ამბობდა, კაწია მეორე შვილად მყავდაო. ძალიან მეხმარებოდა, საჭმელების კეთებასაც კი მასწავლიდაო. მე ინსტიტუტში დავდიოდი და ასე იზრდებოდა ჩვენთან ერთადო. მოგვიანებით კაწიამ ტექნიკუმში ჩააბარა და გათხოვდა კიდევ. თურმე გათხოვების მერეც ხშირად სტუმრობდა ლიზიკოს და ანდროს. ძალიან უყვარდა ეს ოჯახი. ლამარა დად მოიხსენიებდა კაწიას, ამაზე კი კაწია უბედნიერესი იყო.

სანამ ბაბუას დააპატიმრებდნენ, ერთ დღეს ნამტირალევი მოვარდნილა კაწია ლიზიკოსთან, საშინელი სიზმარი ვნახე, ვითომ ანდრეი მიხაილოვიჩის თეთრი პერანგი სულ სისხლში იყო ამოვლებულიო და ძალიან ცუდად მენიშნაო. სწორედ ამ ამბის მეორე დღეს წაიყვანეს ანდრო ბერიასთან შეხვედრაზე.

როდესაც ლიზიკო გადასახლებიდან დაბრუნდა, მაშინ ბევრი სამწუხარო ამბავი დახვდა. გაიგო, რომ კაწია მშობიარობას გადაჰყვა. მისი დედა ლიზიკოს წაყვანის შემდეგ სამ თვეში გარდაცვლილა. ასევე გარდაცვლილა მისი საყვარელი დედამთილი.

ლამარას სტუდენტობის პერიოდში, რეაბილიტაციის შემდეგ ლიზიკომ მიიღო ერთი ოთახი დავითაშვილის ქუჩაზე, სადაც უკვე მე და ზაზაც ვიზრდებოდით (დავითაშვილის ქუჩის ბოლო აღმართი #6).

როცა ლიზიკო ამ ამბებს მიყვებოდა, მახსენდება ჩვენი სამზარეულო დავითაშვილის ქუჩაზე. სადილობის დროს, ზღაპრების ნაცვლად ვთხოვდი, რამე სხვა და ახალი მოეყოლა, ლიზიკოც იჭდა და იგონებდა თავისი ბავშვობის და ახალგაზრდობის ამბებს და ასე გადიოდა წლები.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელიც ამ ქუჩას უკავშირდება: ყოველ დღით ალიონზე, სიჩუმეში ისმოდა მამაკაცის გოდების ხმა და ხმამაღალი შეძახილები: „გაიიიიი.. გაი!!!! მოკლეს! მოკლეს!“ მოგვიანებით გავიგეთ, რომ ის მამაკაცი ბერიას მძღოლი ყოფილა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ხმა შეწყდა, ან გარდაიცვალა ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

ლიზიკოს დიდხანს ეიმედებოდა, რომ ანდრო ცოცხალი იყო...

იგი იხსენებდა გადასახლების პერიოდს, მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ არსებობდა დახურული

- 14 -

29

1916 թ. Երասխա

1. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Երվանդ Լուկինիչա	9512	43 Մարտի 1916 թ. Երասխա
2. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Նիկոլայ Սփրիդոնովիչ	22518	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 15
3. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Ռոբերտ Իոհանեսովիչ	9996	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 18
4. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Ալեքսեյ Վասիլևիչ	10557	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 15
5. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Գրիգորի Գեորգիևիչ	10079	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 15
6. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Ալեքսանդր Մաքսիմովիչ	9947	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 18
7. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Սերգեյ Իվանովիչ	10871	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 16
8. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Անդրեյ Միխայիլովիչ	10229	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 19
9. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Ալեքսանդր Վասիլևիչ	10143	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 16
10. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Վասիլի Գեորգիևիչ	10860	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 16
11. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Փավել Փավլովիչ	10856	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 16
12. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Գեորգի Պրոքոփի	10855	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 16
13. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Սերգեյ Գեորգիևիչ	9505	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 17
14. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Գրիգորի Փոլեկեյտովիչ	10422	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 17
15. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Փեդր Փավլովիչ	10128	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 19
16. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Օտար Իոսիփովիչ	9769	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 19
17. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Գրիգորի Նեստորովիչ	9977	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 16
18. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Իվան Նիկոլայևիչ	10012	" Մարտի 10/11-32-մ-2 " 16
19. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Մամուդ Տուլեյմանովիչ	23355	44 Մարտի 15/11-32-մ-2 " 45
20. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Նիկոլայ Դյովլևիչ	20591	" Մարտի 15/11-32-մ-2 " 44
21. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Օսման Ալևիչ	21985	" Մարտի 15/11-32-մ-2 " 44
22. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Իլյաս Դուրսունովիչ	23692	" Մարտի 15/11-32-մ-2 " 44
23. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Դավիթ Մելիտոնովիչ	9822	" Մարտի 12/11-32-մ-2 " 49
24. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Վասիլի Իոսիփովիչ	10141	" Մարտի 12/11-32-մ-2 " 49
25. ԹԵՎԻՇՅԱՆՆԻ Կարակի Իվանովիչ	9694	" Մարտի 12/11-32-մ-2 " 49

“Գրանցում” բնօրինակը շահագրգռված էր և ներկայումս
 չկարող է լինել # 10229 - բնօրինակը 10.11.1937 թ.

ПРОТОКОЛ
Заседания Тройки НКВД ГРУЗ. ССР

93
9/11-37

СЛУШАЛИ:

Дело № 10229 -5 Отдела УТБ
НКВД ГССР по обвинению:

КОПАДЗЕ Андрей Михайловича, 1902
г.р., ур.г. Кутаисий из дворян,
служащий, женат, ранее являвший-
ся членом партии соц. федерали-
стов, исключен из ВКП(б) в 37г.
за связь с врагами народа и за
антипартийные высказывания.
До ареста ответ. редактор
газеты "Красный Воин"

ОБВИНЯЕТСЯ в том, что:

1. Являясь членом к-р троцкистской
террористической, шпионской воен-
ной организации др Груз. ССР и
частям ЗакВО, вел его заданные
к-р вредительскую работу в газе-
те "Красный Воин", -

т.е. в преступл. предусотр. ст.ст.
58-1-б, 58/7 и 58/11 УК ГССР.

Докладчик: ВАСИЛЕНКО

ПРЕДСЕДАТЕЛЬ

ЧЛЕН:

СЕКРЕТАРЬ

ПОСТАНОВИЛИ:

КОПАДЗЕ Андрея
Михайловича

*რასეტყისა
მისი. კრისტო მისი
სამს. კონკ.*

*არადას
მისი
მასობრივი
მკვლევანი*

საქმის კომისიის დასკვნის მიხედვით 09.11.1937 წ.

ზონები, გასაიდუმლოებული ბანაკები, რომლებშიც უსახელოდ, მხოლოდ ნომრებით ჰყავდათ პატიმრები. ასეთი ადგილი იყო „მედევეჟაია გორა“, ნურინსკი და სახარინი. იხსენებდა ლიზიკო, პატიმრებს პროდუქტი აკრძალულ ზონაში მიჰქონდათ, რომელიც მავთულის დიდი ბადეებით იყო გამოყოფილი და უკან ბრუნდებოდნენ, შემდეგ სხვებს მიჰქონდათ ეს პროდუქტი საიდუმლო ბანაკამდე.

კიდევ ერთ ამბავს იხსენებდა ლიზიკო, ზუსტი ლოკაცია არ ვიცი, ამერიკიდან ორი გემი მოადგაო, ნახევარი ტყვეები დახვრიტეს და ნახევარმა მოასწრო ამ გემებზე შესვლა და ამერიკაში გაქცევაო. ამის გარდა, ორთაჭალის ციხეში, მორხეს ანბანით გადასცემდნენ ქალები ერთმანეთს ინფორმაციას და იქ გაუგია, ქუთაისელი კობაძე ჰყავთ მოყვანილი შინსახკომში და ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, ისეთში, რომ გონზე ვერ მოჰყავთო.

ერთი ასეთი საინტერესო ისტორია უკავშირდება მამაჩემის მოსკოვში სამსახურებრივ ვიზიტს.

მამაჩემმა დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. მაშინ წარმატებულ სტუდენტებს მოსკოვში გზავნიდნენ სამუშაოდ. მამაჩემიც გაანაწილეს „ბადმასკოვიეში“ გასაიდუმლოებულ ქალაქში, ინჟინრად. თან ლამარა და ერთი წლის ზაზა (ჩემი ძმა) ჰყავდა წაყვანილი. ლიზიკო თბილისში დარჩა. მამას რუსეთში კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუს მაღალი თანამდებობის პირებთან.

ერთხელ ერთ-ერთი ჩინოსანი სახლში ჰყოლიათ მოპატიჟებული სტუმრად. მამას უთხოვია ლამარას დასაქმება, ლამარა მაშინ უკვე კარგი კონსტრუქტორი იყო. ჩინოსანი დაჰპირდა სამსახურს, უბრალოდ, ითხოვა, ლამარას დაეწერა მისი ავტობიოგრაფია. ლამარამაც ყველაფერი დაწერა, როგორც იყო. გავიდა ხანი, მაგრამ ლამარას სამსახური ისევ არ ჰქონდა. მამამ მის ნაცნობს უსაყვედურა, რომ არ დაეხმარა ლამარას სამსახურის დაწყებაში. მაშინ ამ ადამიანმა მიუგო, რომ ლამარას ავტობიოგრაფია არასწორად იყო შედგენილი, არასწორი ინფორმაცია ეწერათ. როცა მამა ჩაეძია, თუ რას გულისხმობდა არასწორ ინფორმაციაში, ასე მიუგო, ლამარას მამა არ დაუხვრეტიათო. როცა მამამ დეტალების დაზუსტება დაიწყო, ამ კაცმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, ალბათ რაღაც შემეშალათ, უთხრა და ამ დღის მერე მას მამასთან საერთოდ გაუწყვეტია ურთიერთობა.

ამის შემდეგ ბებიამ არაერთხელ სცადა ამ ინფორმაციის გადამოწმება, თუმცა ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

ლიზიკო იძულებული გახდა, შეეგუებოდა იმ აზრს, რომ ანდრო დახვრიტეს და თავისი საყვარელი ადამიანის ბოლომდე ერთგული დარჩა...

სულ მეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს გაიღებოდა კარი და ბაბუა შემოვიდოდა სახლში... სულ ის მაინტერესებდა, როგორ შეხვდებოდნენ ბებია და ბაბუა ერთმანეთს..

წლების შემდეგ ქეთო თურმანიძემ დაურეკა ლიზიკოს და უთხრა, რომ მასთან სამკურნალოდ იყო მისული ერთი პიროვნება, რომელმაც აღიარა, რომ ერთ მოწმესთან ერთად ბაბუაზე დაწერა ცრუ ჩვენება... აბა, რა მექნა, რომ არ დამეწერა, მეც დამხვრეტდნენ და ჩემს ოჯახსაც რა ელოდა, არავინ იცოდაო...

რადგან ზემოთ კაწიას სიზმარი ვახსენე, ჩემს სიზმარსაც მოყვები... სახლს, რომელშიც ბებია და ანდრო ცხოვრობდნენ, კამოს ქუჩაზე (რომელსაც დიდი ძიების შემდეგ ახლახან მივაგენით), ვფიქრობ, შეგნებულადარგვაჩვენებდა, რადგან ბებიისთვის მძიმე იყო ამ სახლთან დაკავშირებული ნებისმიერი შეხება. რეალურად სახლი არ მქონდა ნანახი. მესიზმრა, ვიყავი ამ ძველ სახლში. ბინაში ორი ოთახი იყო. მე პირველში შევედი. მახსოვს ხის დიდი თეთრი შესასვლელი კარი.

სახლი მაღალჭერიანი იყო. მეორე ოთახი აივანზე გადიოდა. შვედი ოთახში და ვხედავ ბაბუას. მაგიდასთან იჯდა და წინ გადაშლილი წიგნი ჰქონდა, რომელშიც გამოსახულება მოძრაობდა, ეკრანის მსგავსად. მაშინ ლექტორები არც არსებობდა, რომ წარმომედგინა, წიგნის ყდა ეკრანით ჰქონდა ორივე მხარეს, სადაც საქართველოს ისტორია გადიოდა ვიზუალურად, კინოსავით... შლიდა ანდრო ამ წიგნს და დროც იცვლებოდა. კადრები მოდიოდა ძველი დროიდან დღემდე, მოვედით არსებულ დრომდე, ჩვენ არ ვსაუბრობდით, პირდაპირ მომდიოდა მისი ნააზრევი და მეც გულში ვეკითხებოდი, აქ რას აკეთებ-მეთქი. მიპასუხა: სამოთხის კართან ვდგავარო. სამოთხის კართან რა გინდა, შენ ხომ კომუნისტი იყავი-მეთქი, აქ იმიტომ ვდგავარ, რომ უდანაშაულოდ ვარ დაღუპულიო, ცოდვა არაფერში მიმიძღვისო. ისევ ვკითხე: აქ რატომ მოხვედი, ბებია უნდა წაიყვანო-მეთქი? ბებია მხოლოდ მაშინ მოვა აქ, როცა თავად გადაწყვეტს ამასო, მიპასუხა... როცა გამოვიღვიძე, ლიზიკოს აღვუწერე სახლი და მანაც დამიდასტურა, ზუსტად ასეთი იყო.

გარდაცვალებამდე ბებია მოგვიხმო ოჯახის ყველა წევრი და სათითაოდ დაგვმოძღვრა. დედაზე დარდობდა და ამბობდა, როგორ მიხაროდა, რომ ახალგაზრდობაში ჩემი შვილი ჩემი ტოლი ეგონათო, ახლა აღარ მიხარია, ჩემი შვილი ჩემთან ერთად რომ ბერდებაო.

მოგეხსენებათ, 90-ანი წლებში არც სინათლე გვქონდა, არც გათბობა, უმძიმეს პირობებში გვიწევდა ცხოვრება, თუმცა აქაც ლიზიკოს გადასახლების გამოცდილება ძალიან გვადგებოდა ყველა მიმართულებით.

ოთახს, რომელშიც ბებია იწვა, ნავთის ქურით ვათბობდით, ამის გამო ხშირად ვანიავებდით და ამიტომ ტემპერატურაც ხშირად ეცემოდა.

ლიზიკოს გათბობის მიზნით გვერდით ვეწეჭი. ბებო, არ გაცივდე, დაიფარეო, მეუბნებოდა. მაშინაც ჩემზე ფიქრობდა, როცა თავად უკვე უმძიმეს მდგომარეობაში იყო.

- პირველი ორი წელიწადი გაგიჭირდებათ უჩემოდ, მეორეც გაგიჭირდებათ ალბათ და მერე ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება და ისეთივე ახალი წელი გექნებათ, როგორც გვქონდაო (ლიზიკო 28 დეკემბერს გარდაიცვალა).

ლამაზი ყუყუნა თვალელები ჰქონდა ბოლომდე, მოჭუტა და ასე თქვა:

- ბატკანმა ჩამირბინა ზანზალაკებით.
- რა, ბებო? ვკითხე...
- არაფერი, ნუ გეშინია, ისე, ძილბურანში ალბათ რაიმე დამესიზმრა...

- რამდენი საშინელება და უბედურება არ გადამხდენია ამ ცხოვრებაში, რა არ გამომივლია, მაგრამ რა ძნელი ყოფილა სულის ხორციდან განშორება.

ამ სიტყვების მერე ნანამ გამომიყვანა ოთახიდან და თვითონ დარჩა მასთან ბოლო წუთებამდე...

ლიზიკო ჩემთვის არის სამაგალითო ადამიანი. ყველაფრის მიუხედავად, ამდენ ჭირვარამგადავლილი ქალი ბოლომდე დარჩა უბოროტოდ და სიცოცხლის მოყვარედ. ცხოვრებაში ალბათ არ უნდა გაბოროტდე და მაინც უნდა დარჩე ადამიანად. თუ ხარ სულიერად ძლიერი და დიდი ბუნების, ვერაფერი გაგაბოროტებს, მოგერევა და შეგცვლის.

ლიზიკო არის სახე, ვისზეც დღემდე მაქვს სწორება. ის მთელი ჩემი ცხოვრების არსი და ღერძია, რომლის გარშემოც დღემდე ტრიალებს ჩვენი ოჯახი.



ლულუა ისახაძე
02 თებერვალი, 2023 წელი

ლულუა ისახაძის ჩანახატი "ლიზიკო"

1982 წელი

Տեղիտ շտանձոՒ զթարթալալա ալալալալա (ԼՏերաձ)

Իձաձան Տեղիտ Տիալալա զալալալալա ուա, ձՏ Տիալա
ալալալալալալա թա Նաձալա ուալա. ոՒ ալալա ալալալա զանալալա թա
Տեղալալա ալալա կլալալա ԼՏերաձ. Տալալա, Տեղալա ալալալա յՒ
Տիալալա, Տալալա յալալա ձալալա ձալա ձալա զալալալալա ալալալալա.
Իալալալա զալալալա զալա ոՒ զալալալալալա ալալալա ալալալալա.

Տերա յալալա



ԿՏալա, լալալա թա ձալա Տեղալալա



Կալալալա զալալալա (թալա), լալալա թա լալալա ձալա (Տեղալալա թալա)



Լալալա թա ալալալա լալալալալա



Լուսինա և Ձեզմ



Ալեհանու Դաւթաբեկու և Լուսինա



Լուսինա Զյունիկեան և Դաւթ



..... և լուծույթ
սեփու շոմսով զբաղւածու զույն

սեփու և մու զըմէն



զբաւճեղմաճի հաճեղնձ ենու սի զբաղւածու զույնովն շոմս իւկս # 84.



22 декабря. 1918 года

Дорогой Миря!

Ваше письмо получено и очень приятно. Спасибо за внимание к моему делу. Я постараюсь ответить как можно скорее. Если вы не против, то пришлите мне пожалуйста свои фотографии. Я очень хочу увидеть вас. До свидания.

Миря

Сухоминъ

գրքատան օգնու ընդ հիմնը զայնքան

գրքատան օգնու ընդ հիմնը.



Լեզվաբանական



Լեզու, Լեզու յեռոցիտեճ լոռնոյո մէճոտն յիտաք. Կոտեղոտո շոմե, Տերտերոտո պնճոմոմ յիպիս # 81.



“ԻտղէՏԻ ԻճոյճճԵՒԼ ԻՅՁՁՁՁ
 ՁՁԻճՁՁՁ, ԻճճճճճճճճՁՁՁ
 ՈՁՁ ՁՁՁՁՁՁՁ, ՁՁՁՁՁ ճՁՁՁՁՁ
 ՁՁՁՁՁ ԲՁ ԲՁՁՁՁ ԿՁՁՁՁՁ,
 ԲՁՁՁՁ ՁՁՁՁՁ ԿՁՁՁՁՁ ՁՁ
 ՄՁՁՁՁՁ. ՁՁ ճՁՁՁՁՁՁՁՁՁՁ
 ԻՅՁՁ ԲՁՁՁՁՁՁՁՁՁ...”
 ԼՁՁՁՁՁ

ՅՁՁՁՁՁՁ ճՁՁՁՁՁՁՁՁ 2022 ՆՁՁՁ
 ՁՁՁՁՁ: ՆՁՁՁ ՈՁՁՁՁ

Свидетельство:

Дано ея дочери ^{ру} Мухамма Котажу,
Кеския в^н сына, в^н томъ, что у нея
наибольш^е плеч^ь иш^ьяется ея зр^ет^ь
н^евозмо^жно кривитой пред^обра^жженной
осел^ь и что а^бра^же ея у^др^еств^ор^ена
но. 29 Май 1905 года.

Судский братъ Суванаро

Уажа Котерин



20 12 1905
20 12 1905



сб^рп^тм з^мс^дн^л б^лр^мб^сб^лн



Համաժյւղով միտնով շարժւած մարտիկները
յճիւրհով համարձակ լսուցողներու.



Լուսինա Կոնյալյան
Կոնյա. (Լուսինա Կոնյալյան Կոնյա)

յրևես, յրևա քս լուսնիս



սեպտեմբեր 1942 թվական



լուսնիս (Երևանի Լուսնիս)



սեպտեմբեր 1942 թվական



յրևես սեպտեմբերի և լուսնիս
հոկտեմբեր 1949 թվական



..... լուսնիս և յրևան յրևանի



Ըրոնճւո՞ր հսկճո՞ւ, շթսԼՏԵրոյԹո՞թսԵ հճմԼՅՐո՞ՒԼ ՅճԵՅՅ.



ժամախ ևս լողնույր. հսո՛ւ ցճճճուո՛ւ շրոյր/ճոցճճ յիճճ.



հս/ճո



լողնույր



Բոբոնուհի և Եմմա (նշրմանը)



Բոբոնուհի, Եմմա, Բոբոնուհի և
Յուսուհի - Բոբոնուհի ծնունդը



Լուսինա Բեգլարյան
Զեմա և Լուսինա ուսանողին



Լուսինա և Լուսինա



Լուսինա (Բեգլարյան) և Լուսինա



Դ՛հար՝ Ես և իմ քույրը, (Երևանի քաղաքում ծնված, Երևանում (ԵՍ) ծնված և Երևանում լուրջ ծնված) Երևան և Երևան շրջանը:

լոնոնչմ թս ձոնո ձոնո



լոնոնչմ թս լոնոնչմ



լոնոնչմ, լոնոնչմ թս լոնոնչմ



Լուսինե և Լուսինեի զբոսայգիում ընկալված լուսանկարը:



Հոռնոյն զբաւսեցողիս, Լեւոն - շնորհ զ. #84
Գրիմ: Ներսիս Յովսէփ



լուսնային ժամանակ



լոռնոյն

“Երբ շատեցողովոր ձիւղ թ կսխալ ձմեռնայն
չաւնիւս ձեռնակն իմն լոռնայն իկտտն
զոյն սիլոռն. ժլոռն պոռնոս զոյն
չիւզոնզոն ձոյն, ձիւս պիւլոյն...
Տիւզոն Տի պոռնոս զոյնչիւզոն;
լի զոյն կիւն սիլոռն թիւլոն.
Ձմեռ լոռն պիւլոս ձոյնչիւլոն
և պոռնոս: ոյն լի իկոն ձիւլոն
ձոն թլոյն - Լձմեռնոն ձոյնչիւլոն,
չոնիւս կոն ձմեռն ձիւլոն լի
զոյն պոյն ձիւլոն ձիւլոն.
Ձմեռ զոյնչիւզոն, Լձմեռնոն կոնչիւլոն
և ձմեռնոն լի զոյն. ձմեռնոն լոռն
Լձմեռն ձոյն և ձիւլոն լոռնոն ձոյնչիւլոն
լոռնոն ձոյնչիւլոն.”

լոռնոն



ADAMSON'S
 1910
 THE CITY OF
 BIRMINGHAM



After visiting the various districts
 Birmingham has a population
 of over 1,000,000 people and is
 the 2nd city in England

Birmingham is a city of
 industry and commerce. It is
 the largest city in the
 Midlands and is one of
 the most important cities
 in the world. It is a
 city of many industries and
 is one of the most
 important cities in the world.

LEGEND

- Residential areas
- Parks and open spaces
- Public buildings
- Industrial areas
- Railway lines
- Canal lines
- Water courses
- Streets
- Railway stations
- Public houses
- Churches
- Schools
- Hospitals
- Government buildings
- Other buildings

**СХЕМА
ЖЕЛЕЗНЫХ ДОРОГ
СССР**



Лейтенантский железнодорожный узел

*Лейтенантский железнодорожный узел в 1923 году. Узел
образован в результате объединения Лейтенантского
железнодорожного узла 1923 года и 1924 г.*

*Лейтенантский железнодорожный узел в 1923 году. Узел
образован в результате объединения Лейтенантского
железнодорожного узла 1923 года и 1924 г.*



Лейтенантский железнодорожный узел